

# ՈՍՔՐԱԿԱՆ

ՅԱԺԱԿԱՀՈՅ  
ՇԱԺԱՄԱՆԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



ՅՈՒՂԵՐՈՍ  
ՄԱԿԱՆԱՏՆԵԼՈ  
ՄԱՐԱԲՈ

ԸՆԴՈ ՍՅՈՒԹԻԱ—  
ԿՐԹԵՐ ԳԱՅԵԼՈՒԻԻ  
ԵՐՈՍԹՈԱՆԱԼՈ ՍԱՄՎԱՐՈ

ՀԱՅՈԹ ԱՐ ՈԼՈԹԵԱԾՎԵԱՆ  
ԱՐԱՐԱԿԵԱՅ


ԺԱՐԴԵՎԵԼ ԱՐՑՈՒՆԱՅԹԵ  
ՊԱՏԵՐԱԿԵԱՅԱՅ  
ՏԱՑԻԱՖԱՍԱՑԱԼՈ ԿՐԵՎԵԹՅՈ

ԴԵՋԴԵՐ ՀԱՅԵՎԵԼՈՒ:  
“ԱՅԻՌՈՒՎԱ ՄԱՐԴԵՎԵԼՎԵ  
ՑՈՎԱԼՈՍԱ”

ՅԱԺԱԿԱՀՈՅ ԲԱՆԺԵՎԵԱՅ  
ՅԱԱՅ—ԵԹԱՆԱՎԵ ՑՐԱՅՈ

ՏԱՑԴԱՍԵԽԱ ՍԼԵՋԱՎԵԴՈՒ  
ԱՐԵՑՈՒՄԵՎԵՑԵ

ՈՏՐԱԵԼՅՇՈ ԵՐԵ-ԵՐԵ  
ՍԴՅԵԼՎԵՍՈ ԾՅԵԽՈՍ ՄԱՐԿԱՆ  
ԱԴՅՈՎԱՔՈԵՎԵ



## ჯოგეფ ჰელერი

ხაფანგი-22

თომი ||

25 მაისიდან  
1 ივნისამდე



## სემიუელ ბერძი

მერსი და კამი

უოთი

8-დან

15 ივნისამდე

გაზეთ „პვორის პალიტრასთან“ ერთად



6



8




26



12



45





30

## საჩინო

<b>ასალი ემზაბი</b>	
ვიკინგების ეპოქა დანიიდან იმყენა .....	6
<b>ჩვენებულები</b>	
დედამისი დღე თერეპთელ ქართველებაზე .....	8
<b>ომაცე ემზაბი</b>	
რატომ არ იღიავგამდენ ვარაონები .....	10
<b>საილაშო მასალები</b>	
კიტლერის უკანასკნელი დღეები .....	12
<b>სახსროს უცხლებილება</b>	
აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას	
უცხოები ზერილი .....	20
<b>საქართველოს იღვესტიერები ისტორია</b>	
ფარნავაზი .....	26

<b>ბახვასამყარო კართველთა თვალსებისი</b>	
გალტიისკინომი ქართველთა ნააზრები ..	30
<b>სახელური ფოსტა</b>	
სტამბოლელი ქართველები დედამისის	
სცაგობებები .....	38
<b>ვახნესაში</b>	
რუსულან ფერვალიაზე მხატვრების „ისტორია“ .....	40
<b>კასახათიცო ლავიცებები</b>	
რაინტერული ფიგი „აცხოთა და მისი ტაქარი სვეტიცხოველი“ .....	45
<b>გაყინვ</b>	
როგორ გაიხლობა ქინისტიანული	
სამყარო – დიდი სპირია .....	52



## საქართველო

ისელი ბაზოის 200 წლისთვა	
გატერლოვი – ისტორიის უმოგარუებება ..... 60	
გატერლოვი განტევების	
გაცი – ემანუელ ბრუში ..... 68	
ილი პოლისერსახი	
თეოდორ რუზველტი: „ამერიკა უაილდენისა“ ..... 76	
მითის გამოსხივა	
2015 ქართველ არაორნავთოა ფათორაკებიანი თავდაცასაცალი კოლექტივი ..... 84	
ბახელან ლანახედი საქართველო	
შარდების საქართველოში მოგზაურობის „დასასრული“ ..... 92	
საქართველოს ქაბეაბი	
თბილისის დედაბისე – ნარიყალა ..... 96	
კავკა კაბანი	
ისრაელში ერთ-ერთი უპელესი დანიელი მარანი აღმოჩინეს ..... 103	
მარილ კაბაბი	
უპელეს ეპოკულ შემის	
ტატუ აქვს ..... 104	
საბორიტის ისარიილი	
თავდასხმა სლოვაკეთის პრეზიდენტზე ..... 105	
სხვობა	
ქართული კინოს ლეგენდა დასრულდა ..... 113	
ფახსლაბი ნახსელიან	
ისტორიული ამავები მემლი ქუჩნალ-გაზეთებიდან ..... 119	
სკანდორდი ..... 122	

ქურნალ „ისტორიანის“ ძველი ნორების შექმნა შეიძლიათ  
 „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი





# ვიკინგების დასწყისასა და გეოგრაფიაზე წარმოდგენა ახალმა კვლევებმა შეცვალა. აქმდე შეცნიერება მიიჩნევდნენ, რომ ეს ეპოქა 793 წლიდან იღებდა სათავეს, როცა ნორვეგიელები ინგლისს პირველად დაესხნენ თვეს. ვიკინგების ისტორიაში ყველაზე ცნობილი სწორედ ნორვეგიელთა სასტიკი თავდასხმებია, მაგრამ მეცნიერთა გარუდით, ამ სისხლიან ეპიზოდებს წინ უსწორედა მშვიდობიანი ლაშქრობები, რომლებიც დანიას უკაუშირდება.

ვიკინგების პირველი სუარცხელი და ირმის რეგბი  
დანიიდან

დანიის ორპუსისა და დიდი ბრიტანეთის იორქის უნივერსიტეტების არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ საზღვაო მოგზაურობა ნორვეგიიდან დანიის უძველეს საყაჭრო ქალაქ რიბეში, ვიკინგების ეპოქის საყოველთაოდ აღიარებულ დასაწყისამდე გაცილებით ადრე დაიწყო. შეცნიერთა გამოკვლევის მიხედვით, რომელიც European Jurnal of Archaeology-ში გამოქვეყნდა, ვიკინგების პირველი ნაოსნობა რიბეში 725 წლით თარიღდება. თვიანთ თეორიას ნაშრომის აუტორები რიბეს ძველი ბაზრის ტერიტორიაზე ნაპოვნი ირმის რეგბით ადასტურებენ. მეცნიერთა მოსახრებით, რეგბი ნორვეგიულ ჩრდილოეთის ირემს ეკუთვნის.

**სორენ სინდბეგი** (პროფესორი, კვლევის ავტორი): „ჩვენ პირველებმა დაგამტკიცეთ, რომ ზღვაოსნობის კულტურა, რომელიც ვიკინგების ეპოქის საფუძველი იყო, რიბეში დაიწყო. ამას არ ველოდით“.



კითხვაზე — პქონდა თუ არა ქალაქ რიბეს საკუნძომ მნიშვნელობა ვიკინგების აღრეული კულტურისთვის, მეცნიერთა პოზიცია ორად იყო გაყოფილი. ჩანდა, რომ ჩრდილოეთის უდიდეს საფაჭრო ქალაქს ვიკინგების ზღვაოსნობის დასაწყისთან კავშირი პქონდა, მაგრამ დამატებით ცენტრული საბუთი არ არსებობდა.

**დაგვინი სკრუ** (პროფესორი): „აღფრთოვანებული დავრჩი, როცა ნაშრომი წავიკითხე. მეცნიერები ამას დიდი სანია ეჭვობდნენ, მაგრამ ვერ ადასტურებდნენ. კვლევა მეტად დამაჯერებელია“.

ირმის რქები დანიასა და ნორვეგიას შორის საზღვაო-საფაჭრო კავშირის პირველი მტკიცებულება იყო. ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ სწორედ იქ იღებდნენ ვიკინგები სანაოსნო გამოცდილებას.

ნაოსნობის გარეშე ვიკინგების წარმოდგენა ძნელია, მათი ხანგრძლივი ლაშქრობები იმ დროისთვის უნიკალური იყო. 793 წელს, როცა ვიკინგები თავს დაესხნენ ლინდისფარნის მონასტერს ჩრდილოეთ ინგლისში, მათ წარმოდგენაც არ პქონდათ, ვის შეხვდებოდნენ. ვიკინგები კარგი ზღვაოსნები ერთ დღეში არ გამხდარან. მკვლევართა აზრით, ამისთვის ბევრი დრო, ცდა და რესურსი დაიხსრა.

**სორენ სინდებუკი:** „ვიკინგების ეპოქა უნიკალური მოვლენა იყო დასავლეთ ევროპის-

თვის, რადგან მათ ისწავლეს მობილურობის, როგორც უპირატესობის გამოყენება. ვიკინგები დაუფლენენ ზღვაზე ცურვის ოსტატობას, შეეძლოთ ინგლისის ნაპირზე ისეთ ადგილას გადასვლა, სადაც არავინ ელოდათ. ისინი მოულოდნელად ჩნდებოდნენ, ძარცვაზენებ და სწრაფად უჩინარდებოდნენ.“

ჩვენ ა ხლა შეგვიძლია მსჯელობა, რატომ დაიწყეს ნაოსნობაზე დიდი რესურსის ხარჯვა. როცა ორი ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება — ურბანიზაცია და საზღვაო თავდასხმები — დროში ერთმანეთს ემთხვევა, თამამად შეიძლება თქმა, რომ ისინი ურთიერთკავშირშია“.

კვლევამ აჩვენა, რომ ვიკინგებმა ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობები წამოიწყეს VIII საუკუნის დასაწყისში, რიბეში ბაზრის გაჩენისთანვე. სკანდინავიულების ცნობილი ლაშქრობები შესაძლოა პირდაპირ უკავშირდებოდეს რიბეს, როგორც ქალაქისა და საფაჭრო ცენტრის განვითარებას.

პროფესორ სინდებუკის აზრით, ამ აღმოჩენათა შემდეგ შესაძლებელია იმის თქმა, რომ ვიკინგების მოგზაურობები, რომლებმაც ისლანდიისა და გრენლანდიის აღმოჩენამდე მიგვიყვანა, არა მხოლოდ თავდასხმების ისტორია იყო, არამედ ვაჭრობისაც.

**მომზადებულია [Scienzenordic.com](http://Scienzenordic.com)-ის მიხედვით**

ასე გამოიყურება დღეს უძველესი საფაჭრო ქალაქი რიბე





ინგოლელი პატარა ქართველები

## დედა ენის დღა თურქეთის ქართველებთან

თურქეთის რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა „დედა ენის დღე“ . კონფერენციები გაიმართა დუზჯეს ქართულ სათვისტომოსში, სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრსა და სტამბოლის ქართული ხელონიების სახლში.

2014 წელს ქალაქ ინგოლში (ბურსის რეგიონი) „დედა ენისადმი“ მიძღვნილ პირველი სამეცნიერო-პორტულარულ კონფერენციის შესახებ „ისტორიანი“ უკვე მოგითხობდათ. წლეულს ღონისძიება მეორედ გაიმართა და იმდინარება ტრადიციად იქცვა.

ინგოლის „კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოებაში“, რომლის ხელმძღვანელია ბატონი ომერ ფარუქ დემირთაში და „საქართველოს ახალგაზრდა ელჩმა“ თურქეთის რესპუბლიკაში თურნა ვარშალომიძემ, ადგილობრივ მოღვაწე ქართველთა და ხმარებით (გურჯან ჰაირიონი) მომართდა. ტურქეთის აქტივისტები, ბარიშ აქციები, ნური ილდირიმი, აქმეთ შენი, ბარიშ აქციები, ნური ილდირიმი,

მესტაფა ბაიკანი, ქადირ ქანდემირი და სხვები), ინგოლის მერიის დარბაზში კონფერენცია 18 აპრილს მოწყვეს, რომელსაც ბარიშ აქციები უძღვებოდა.

ინგოლელმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა იაბდულ აპთათარ ოღლუშ ისაუბრა თურქეთის ქართველობაში ქართული ენის დღვეუნდელი მდგომარეობისა, პრობლემებისა და შესწავლის პერსპექტივების შესახებ. საქართველოდან მოწვეულმა მეცნიერმა, პროფესორმა როზეტა გუჯეჯანმა წაიკითხა მოხსენება „ქართული ანბანი, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი“, ხოლო ისტორიის დოქტორმა ზურაბ ბატიაშვილმა — „ქართული ენის მოკლე ისტორია“. სიტყვით გამოვიდა თურნა ვარშალომიძეც, რომელმაც თურქეთული ქართველებისათვის დედა ენის მნიშვნელობაზე, მისი შესწავლის აუცილებლობასა და საშუალებებზე ისაუბრა.

დედა ენის შემსწავლელი ჯგუფის მოწაფეებმა ქართული ლექსები და სიმღერები წარ-





დედაქანის დღე ინჯოლში

მოადგინეს. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს ელჩი თურქეთში ირაკლი კოპლატაძე მეუღლესთან ერთად. მონაწილეებს ინვიტაციის მერიის წარმომადგენერლი თურგაი იელი მიესალმა. ინვიტაციი ჩასული იყვნენ სტამბოლელი, ბურსელი, ართვინელი, იზმითელი, გოლჯუელი, ორპანგაზელი ქართველებიც.

„კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოებაში“ მდიდარი ტრადიციების მქონე ადგილობრივი ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა კონცერტი გამართა. მეორე დღეს კი როზეტა გუჯეჯიანი, ზურაბ ბატიაშვილი და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი, გიორგი ირემაძე დედაქანის გაკვთილს დაესწრნენ.

**როზეტა გუჯეჯიანი** (ისტორიის დოქტორი, ეთნოლოგი): „მნიდა გითხრათ, რომ თურქეთის ქართველები განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავენ უურნალ „ისტორიანის“ მიმართ, რომელიც მუდმივად წერს მათ ყოფა-ცხოვრებასა და სოციალურ-კულტურულ პროცესებზე.“

უკვე ტრადიციად ქცეული დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი „ქართული ზემოდი“ კვლავაც საქართვის რეგიონის საფანჯის რაიონის ილ ორმანის ტყე-პარკში იმართება — წლიერულ უკვე მესამედ.“

დასასრულ დავამატებდით, რომ „ისტორიანი“ მკითხველს ილ ორმანის ტყე-პარკიდან რეპორტაჟსაც შესთავაზებს.

„ისტორიანი“

## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შეინარჩუნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

### კალიტრა მელია გისმენი!..

☎ დარეკალი: 219 60 13

✉ მოგვცერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



ჯვიპტურებს თანამედროვე ხორბლის პრიმიტიული წინაპარი მოჰყავდათ

## რატომ არ იღიმებოდნენ ფარაონები

ძველი და ბანვითარებული ქვეყნის მოსახლეობას კბილის ტკიცილი პურის ბამო ტანჯავდა

ფარაონი ამენპოტეპ III ძველი გვეიპტის ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი იყო. ქვეყანამ მის ხელში აყვავების მწვერფალს მიაღწია: ურიცხვი მონების შრომით იქმნებოდა უდიდესი ქანდაკებები, შენდებოდა ბრწყინვალე ტაძრები, ოქროს მდინარედ დიოდა ხორბალი, პური, ლუდი. ფარაონი და მისი სასახლის ბინადარნი ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. მაგრამ ამენპოტეპ III-ის მუმიის შესწავლამ აჩვენა, რომ ფარაონის სიცოცხლე ერთი დიდი ტანჯავა იყო: საკედის ყოველი ლუკმა განუმეორებელ ტკიფილს აყენებდა, რადგან ჯერ კიდევ შემორჩენილი კბილები ფესვებამდე იყო დამპალი. რატომ არ მიმართავდა ფარაონი ექიმებს?

სამეცნიერო წიგნებში გავრცელებულ მოსაზრებათა სწინააღმდეგოდ, დღეს უკვე შეიძლება თქმა, რომ ძველ გვეიპტეში არ არსებობდა სტომატოლოგია. ინგლისელმა სტომატოლოგმა ჯუდით მილერმა, სამუშაურო კოლექციიდან 500-მდე ძველ გვეიპტური თავის ქალა შეისწავლა და მოვდა დასკვნამდე, რომ ძველ გვეიპტელებს კბილები საშინელ დღეში ჰქონდათ.

მათ კბილებზე არანაირი მკურნალობის კვალი არ აღმოჩნდა. ასე რომ, ამ მდიდარ და მაღალკულტურულ იმპერიაში ვინმეს თუ კბილი ასტრიკედებოდა, მას მხოლოდ მოთმინებადა დარჩენოდა.

სპეციალისტებმა დინასტიამდელი და შემდგომი პერიოდის ბავშვებისა და მოზრდილების თავის ქალებიც გამოიკვლიერები. თითქმის ყველას აკლდა კბილები. დარჩენილი კი, ან ბოლომდე გაცვითილი იყო, ან კარიესით დაზიანებული. ბევრგან იყო აბსცესის ანდა ყბის ძვლების ქრონიკული ინფექციის კვალი. მაგრამ გვეპტელთა მთავარი უბედურება მაინც კბილების ცვეთა იყო.

მაინც რით იკვებებოდნენ ეგვიპტურები ათასობით წლის წინ — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მეცნიერები არქეოლოგების მიკვლეულ ნაგვის გროვებს სწავლობენ. ამას გარდა, სწავლობენ პაპირუსებს, სადაც აღწე-

რილია ჯარისკაცებისა და მონების კვების რაციონი; წარწერუბს ტაძრების კედლებზე, სადაც აღწერილია ღმერთისადმი შეწირული სურსათი. დასასრულ, უგვიპტელთა რაციონზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ საკვებითაც, რასაც მიცვალებულებს იმგვენად ატანდნენ.

დინასტიამდელ უგვიპტეში მომთაბარები თავს ნადირობით, თუვზაობითა და შემგროვებლობით ირჩენდნენ. რაციონში ბევრი ცილა იყო. დაახლოებით 4000 წლის წინ ადამიანებმა ნილოსის პირას დასახლება დაიწყეს. მექინდვრების განვითარებას საკვებში ნახშირწყლების წილის გაზრდა მოჰყავა. პირველი ფარაონების დროს უგვიპტელებს უკვე მოჰყავდათ ქერი, ხორბალი, ბოსტნეული და პარკოსანი კულტურები, ჰქონდათ ხეხილის ბაღები, ჰყავდათ შიანური ცხოველები, სუამდნენ რძეს და შესაძლოა ყველსაც ამზადებდნენ. უბრალო უგვიპტელის მენიუში ხორცი იშვიათი ფუფუნება იყო, მაგრამ ფარაონები და სასახლის დიდებულები საკმაოდ ბევრს მიირთმევდნენ.

ასეთი ჯანმრთელი კვებისას რას უნდა გაეფუჭებინა კბილები? ძირითადად, მაინც პურს. მას თანამედროვე ხორბლის პრიმიტიული წინაპრის წერილი მარცვლებისგან აცხობდნენ. მარცვლებს ჯერ ხელის წისქვილით ფეხებზენ, შემდეგ უკვე დიდ წისქვილში. დღობაბები ქვისა იყო და ფეხებზი ქვის მინარევები ერია. ამას გარდა, ცომის მოზელისა და ცხობის დროს პურში უდაბნოს ქვიშაც ეროვდა — საცხობები ხომ ღია ცის ქვეშ იყო. ხოლო ადგილად რომ დაეფევათ, ზოგჯერ ქვიშას საგანგებოდაც კი ურულენენ ხორბალში. ასეთი პური კბილებს ძლიერ ცვეთდა. ამას გარდა მაშინდელი პურის გული ძლიერ წებოვანი იყო. დიდხანს ეწებებოდა კბილებს და ხშირად მათ შორისაც აღწევდა. ეს კი მიკრობების გამრავლებასა და კარიესს იწვევდა. კბილების ხეხვა უგვიპტელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ.

პტოლემეოსთა ბერძნული დინასტიის გამოჩენას, ქრისტეშმობამდე 305 წლიდან, უგვიპტეში ხორბლის კულტურული ჯიშების შემოტანა, მარცვლეულის დაფქვისა და პურის ცხობის უფრო თანამედროვე ტექნილოგიები მოჰყავა. პური რბილი და არც ისეთი წებოვნი იყო.

მაგრამ პტოლემეოსების მოსვლას კბილებისთვის კიდევ ერთი საშიში ფაქტორი


დაემატა — თაფლი. მანამდე თაფლი გარეული ფუტკრისგან მოიპოვებოდა და იგი მხოლოდ ფარაონებსა და ქურუებებს ხვდებოდათ. ასე რომ, ამენპოტეპ III ჭამდა წებოვან პურს და არანაკლებ წებოვან თაფლს აყოლებდა. მაგრამ როცა უგვიპტეში სკები გაჩნდა, თაფლით პირის ჩატყაბარუნება ყველაზ შეძლო. ასე რომ, კბილების ცვეთა კი შემცირდა, მაგრამ კარიესის ალბათობა გაიზარდა.

პაპირუსებიდან ცნობილია შვიდი სტომატოლოგის სახელი. აქედან ექვსი ძველი სამეფოს (ძვ. წ. 2800-2250) პერიოდში ცხოვრობდა, მეშვიდე კი 1500 წლის შემდეგ. რით იყვნენ ისინი დაკავებული, უცნობია. შესაძლოა, შელოცვა იცოდნენ, ანდა მცენარეთა ნახარშს ამზადებდნენ ტკიფილის შესამსუბუქებლად.

საუკუნის დასაწყისში გერმანელმა არქეოლოგებმა ერთ-ერთ უგვიპტურ სამარხში ოქროს მავთულით გადაბმული როი კბილი ნახეს და მიიჩნიეს, რომ ეს სტომატოლოგიური ხიდის წინამორბედი იყო. მაგრამ ეს უფრო უგაროზი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მილერის შესწავლილ თავის ქალებზე დანატისტის ხელოვნების არავითარი კვალი არ არის. მაშინაც კი, როცა მტკიცანი კბილი მოჰყეული იყო, მას არც კი აძრობდნენ, რათა ტკიფილი ოდნავ მაინც შეეჩერებინათ.

### მოშადებულია New Scientist-ისა და Discover-ის მიხედვით

საცხობები ხომ დია ცის ქვეშ იყო და ცხობის დროს ჟერში უდაბნოს ქვაშაც კრულდა



# პიტლერის უკანასკნელი დღეები

ოთახი  
პიტლერის  
ბუნკრში

ხელის  
პიტლერი

(მიხეილ ჭიათურების პირად არქივი აღმოჩენილი უნიკალური  
დოკუმენტების მიხედვით)

ექვთიმე თაყაიშვილის ტაო-კლარჯეთში მოწყობილ ექსპედიციათა მასალების შესწავლისას და გინტერის რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის არქივით, რომელიც საქართველოს ხელოვნების სასახლეში ინახება (ყოფილ თუატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში). როგორც ცნობილია, 1917 წელს ტაო-კლარჯეთში თვითი რიგით მესამე ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილს მიხეილ ჭიაურელი ახლდა. რეჟისორმა დიდი დაზმარება გაუწია ექსპედიციას, რასაც თავად ექვთიმეც არაერთხელ აღნიშნავდა. არქივზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიქცა რამდენიმე საინტერესო დოკუმენტმა, რომელიც ნაცისტური გერმანიის ლიდერს — პიტლერს ქებოდა. საუბარი იყო ფიურერის ცხოვრების ბოლო დღეებზე, ე.წ. ბუნკერის პერიოდზე, ასევე ძის თვითმკვლელობაზე. მასალა ერთი შეხედვითაც მეტყველებდა, რომ საქმე გვქონდა იმ დროისთვის „საიდუმლო“ გრიფით დაცულ დოკუმენტებთან. აღნიშნული მასალა მიხეილ ჭაურელს აშკარად KGB-ს ფონდებიდან პქონდა მიღებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ მსგავსი შინაარსის საარქივო დოკუმენტები საბჭოთა უშიშროების სპეცფონდებში ინახებოდა. აქ თავმოყრილი

იყო ყველა საბუთი თუ არტეფაქტი, რომელიც შექმნებოდა პიტლერის, გებელის, ბორმანის ბოლო დღეებისა და მათი ცხედრების მოძიების სპეცოპერაციის დეტალებს.

პიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ მოკავშირებმა ცალ-ცალკე შექმნეს საგამომძიებლო ჯგუფები, რომლებიც პიტლერის ბუნკრში მყოფთა შესახებ ყველა სახის მასალას აგროვებდნენ. საბჭოთა მხარე ამ თვალსაზრისით მდიდარ მასალას ფლობდა. აქ შეხვდებოდით დაკითხვის ოქმებს, ფოტოსურათებს, პიტლერის, გებელისას და მათი ოჯახის წევრების პირად ნივთებს და რაც მთავარია, ბუნკრთან სიახლოეს აღმოჩენილ პიტლერისა და ესაბრაუნის ცხედრების დამწვარ ნაწილებს. აღნიშნული მასალა 1996 წელს გასაჯაროვდა და მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი გახდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მოკავშირეთა სპეცსახურების მიერ დაკითხულმა პიტლერის გარემოცვის ერთმა ნაწილმა მოგვიანებით საინტერესო მოგონებები დატოვა. საბჭოთა საგამომძიებლო ჯგუფის მასალის გარდა, კველა სხვა სახელმწიფოს შესაბამისი სამუშაო ჯგუფების ნამუშევარი გამოძიების დასრულების შემდეგ მალევე გასაჯაროვდა.

გამონაკლიის იყო საბჭოთა უშიშროება, რომლის მასალებს დიდი ხნის განმავლობაში ედო გრიფი „საიდუმლო“. 2000 წელს მოსკოვში გამოვიდა აღნიშნული დოკუმენტების კრებული — Агония и смерть Адольфа Гитлера, Составители: В.К. Виноградов, Я.Ф. Погоний, Н.В. Тепцов (Сборник совершенно секретных материалов Центрального архива ФСБ России развенчивает мифы вокруг последних дней Гитлера и Геббельса, а также относительно их останков, уничтоженных по инициативе КГБ СССР в 1970 году), М., 2000. მათი შესწავლა ცხადყოფს, რომ მიხეილ ჭიაურელის არქივში დაცულია სწორედ ამ მასალის ერთი ნაწილი, რომელიც რეჯისორს სჭირდებოდა მხატვრული ფილმისთვის — „ბერლინის დაცემა“. იმ დროისთვის ეს იყო გასაიდუმლოებული დოკუმენტები. ამასთანავე, მიხეილ ჭიაურელის არქივში შემონახული მასალა ნაწილობრივ განსხვავდება რუსეთის უშიშროების არქივში დაცული მასალისგან. როგორც ჩნდა, რეჯისორისთვის გადმოცემული ზოგიერთი დოკუმენტი უშიშროების თანამშრომლების მიერ შედგენილი მოკლე ვარიანტებია და არა მთლიანი დაკითხვის ოქმები. ამასთან, მიხეილ ჭიაურელს ხელი მიუწვდებოდა ინგლისელთა და ამერიკლთა გამოძიების მასალებზე.

როგორ აღმოჩნდა ეს საინტერესო დოკუმენტები მიხეილ ჭიაურელის არქივში?

1949 წელს საბჭოთა ეკრანებზე გამოვიდა ორსერიანი მხატვრული ფილმი „ბერლინის დაცემა“. ფილმშე რეჯისორი რამდენიმე წელიწადს მუშაობდა. მეორე სერიაში, თითქმის 20 წელის განმავლობაში მოქმედებდი ვითარდება რაიხსკანცელარიის ბუნკრში, ე.წ. ფიურურბუნკრში. არა მარტო ამ კონკრეტული ეპიზოდისთვის, არამედ ზოგადად ჰიტლერისა და მისი გარემოცვის სახის წარმოაჩენად მიხეილ ჭიაურელი აგროვებდა მასალებს, რაშიც მას „შესაბამისი ორგანოები“ ქმნარებოდნენ. რა თქმა უნდა, ამ ფილმის გადაღება პოლიტიკური დაკვეთი იყო. ძოვლი სურათი საბჭოთა სტალინური იდეოლოგიითა გადაეცნოლი. სახელმწიფო მანქანა სრულად იყო ჩართული მის შექმნაში. მიხეილ ჭიაურელს ხელი მიუწვდებოდა ჰიტლერის გარემოცვის მიერ მიცემულ ჩვენებებზე. უფრო მართებული იქნება თუ ვიტვით, რომ კტბ-მ რეჯისორს მიაწოდა მისთვის საჭირო და საინტერესო მასალის ერთგვარი ნაკრები. მიხეილ ჭიაურელის პირად არქივში ინახება:

მასალა კინოფილმისთვის „ბერლინის დაცემა“ — ჰიტლერის ბუნკრის სქემა (საარქივო №620); საახალწლო პროკლამაცია ჰიტლერის დანაკარგების შესახებ“.... ჰიტლერთან ერთად სიკვდილი, უპიტლეროდ სიცოცხლე — 50 გერმანელი გენერლის მოწოდება გერმანელი ჯარისკაცებისადმი. მათ შორის: პაულიუსი, ფონ სეიდლიცი და სტრეკერი. გერმანულიდან თარგმნა ბორის კალანდიამ. თარგმანი თან ახლავს (საარქივო №2089);

პროკლამაცია გერმანელი ჯარისკაცების ტყვედ ჩაბარების შესახებ. გერმანულიდან თარგმნა ბორის კალანდიამ. თარგმანი თან ახლავს (საარქივო №2090);

ამონარიდი თქმულდის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსის, ჰიუ ტრეფორ-როუპერის წიგნიდან „ჰიტლერის უკანასკნელი დღები“ (საარქივო №2353);

კინოფილმ „ბერლინის დაცემის“ მოსამარებელი მასალა. კერძოლები, „მომავალი ბრძოლის ჰიტლერის გეგმები“ (საარქივო №2356);

„ბერლინის დაცემის“ შექმნაში საბჭოთა სახლმწიფო მანქანა სრულად იყო ჩართული




მიხეილ  
ჭიაურელის  
ხელი  
ძალულებოდა  
ჰიტლერის  
გარემოცვის  
მიერ მიცემულ  
ჩვენებებზე



ჰიტლერის  
უფროსი  
კამპანიები  
შანც ლანგე



მფრინავი ქალი ჰანა რაიჩი



ფიურურის  
პირადი  
ადიუტანტი  
ოტო გიუნშე

პროკლამაცია — ერთ გვერდზე: „ჰიტლერის სურათი წარწერით: „მკვლელი!“ მეორე გვერდზე: — „პასუხისმგებლობა ეკისრება ჰიტლერს“, „ბრალი ეკისრება ჰიტლერს“ (საარქივო №2386);

ჰიტლერის ბუნკერის აღწერა — ომის დამთავრების შემდეგ. ინფორმაცია მიღებული კორესპონდენტებისან, რომლებიც აღმოჩნდნენ ბრალის და ეს ბრაუნის თვითმკვლელობას იძიებდნენ (საარქივო №2396);

ჰანა რაიჩის, გიუნშეს მოგონებები ჰიტლერზე, პინტშის (ჰესის ადიუტანტი) — მოგონებები ჰესზე (საარქივო №2520);

ამონარიდები სხვადასხვა აირთა მიერ სხვადასხვა დროს მომზადებული ჰიტლერის დახასიათებებიდან (კინოფილმ „ბერლინის დაცემის“ მოსამართებელი მასალა. საარქივო №2532);

„ჰიტლერი და მისი გენერლები“ — ბუნკერში. ამონარიდი (საარქივო №2533);

ჰიტლერის უფროსი კამპანიების, ლინგეს მონათხობი ჰიტლერის უკანასკნელი დღეების შესახებ (საარქივო №2561).

ყველა ამ მასალის გამოქვეყნების შესაძლებლობას, ბუნკერივია, უურნალის ფორმატი არ იძლევა. ამიტომაც, ამჯერად შემოგთავაზებთ ამონარიდებს ჰიტლერის უფროსი კამპანიების, ჰანც ლინგეს, მფრინავი ქალის, ჰანა რაიჩის, ფიურურის პირადი ადიუტანტის, ოტო გიუნშეს მონათხობიდან. მათში წარმოდგნილია ჰიტლერის ცხოვრების ბოლო პერიოდის საინტერესო დეტალები, მეტადრე მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები, როდესაც საბჭოთა ჯარების თავდასხმის გამო ფიურური რაიხსკანცელარიის ბუნკერში ჩაიკეტა.

ჰაინც ლინგე 1935 წლიდან იყო ჰიტლერის უფროსი კამპანიები. მიიჩნეოდა ფიურურთან ერთ-ერთ დაახლოებულ პირად, რომელიც წლების განმავლობაში პირადად ემსახურებოდა მას. სხვადასხვა პირთა დაკითხვიდან, ასევე თავად ლანგეს ჩვენებიდან ჩანს, რომ სწორედ მან და ჰიტლერის ადიუტანტმა ოტო გიუნშემ გაიტანეს გარდაცვლილი ფიურურისა და მისი მეუღლის ცხედრები ბუნკერთან არსებულ ბაღში და დაწევს. 1945 წლის მაისში ლინგე ტყვედ აიყვანა წითელმა არმიამ. 1955 წელს გაათავისუფლეს. გარდაიცვალა 1980 წელს. მას ეკუთვნის საკმაოდ საინტერესო მოგონებები ჰიტლერზე. მიზეილ ჭიაურელის არქივში დაცულია დაკითხვის ოქმის მოკლე

ადოლფ ჰიტლერი  
და კაბრაუნი



შინაარსი. მართალია ეს არ არის ვრცელი ვარიანტი, მაგრამ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ თავად დაკითხების ოქმიც არ არის გამოქვეყნებული 2000 წელს დაბეჭილ წიგნში. ფაქტობრივად ამ მასალას ვეცნობით ჭიაურელის არქივის მეშვეობით.

ლინგე, ჰიტლერის უფროსი კამერდინერი მოგვითხოვთ:

„ჰიტლერი 10 წელიწადს ვმუშაობდი. 1945 წლის იანვრიდან შტაბი ბერლინში გადავიდა. გერმანელთა მდგომარეობა სულ უფრო მძიმდებოდა, მაგრამ ჰიტლერი უარს ამბობდა ბერლინის დატოვებაზე. თებერვალში ჰიტლერის დაბადების დღე იყო (აქ აშკარა შეცდომაა. ჰიტლერი 20 აპრილს იყო დაბადებული. თებერვლის დასწყისში კაბრაუნის დაბადების დღე იყო და ლინგეს ალბათ თარიღები ერთმანეთში ერვა. განმარტებები აქ და ქვემოთაც ჩემია. — ჯ.ს.), 65 წელი შეუსრულდა. ბუნკრში მას ბორმანმა (ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კანცელარიის ხელმძღვანელი, „ფაურურის პირად მდგარი“), კრისტენ (ვალტერ კრისტენ, გერმანელი გენერალი) და სხვებმა მიულოცეს. ბრაუნს ღვეზელი ჰქონდა და სადილის შემდეგ ჩაისახ მიირთვეს.

აპრილის დასწყისში მარშლებმა და ყველა ხელმძღვანელმა ბერლინიდან გამგზავრება დაიწყეს. თავიდან გერინგი ჯერ თავის მამულში, შემდეგ კი სამხრეთში გაემგზავრა. გაემგზავრნენ კეიტელი (ვილჰელმ კეიტელი, გენერალ-ფელდმარშალი), დენიცი (კარლ



ჰიტლერი  
კაბრაუნის და





ფიურურის ბრძოლის უინსტონ ჩერჩილი ქვედა და  
პიტლერის სკამიც პირადად „მოსინჯა“

დენიცი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი), იოდლი (ალფრედ იოდლი, გენერალ-ბოლგონიკი), ჰიმლერი (ჰაინრიხ ჰიმლერი, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი), რიბინტოპი (იოანი ფონ რიბინტოპი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი). ბერლინში მხოლოდ ჰიმლერი და გებელსი (იოზეფ გებელსი, გერმანიის სახალხო განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი) დარჩნენ. ჰიმლერი ჰოპენბლიეხში იმყოფებოდა. ბერლინისთვის ჩრდილოეთიდან შტაინერის (ტექსტში შტეინი, უნდა იყოს ფელიქს შტაინერი, რომელმაც 22 აპრილს ფიურურისგან მიიღო ბრძანება, ჩრდილოეთიდან დაერტყა საბჭოთა არმიისთვის. ეს ოპერაცია დასაწყისშივე ჩაიშალა). არმიას უნდა შეეტანა. ჰიმლერთან კავშირის შესანარჩუნებლად ჰიმლერთან მისი სიძე,

ჰერმან ფეგელენი მუშაობდა. ის ეს ბრაუნის დაზე — გრეტელზე (ეს იყო მოფერებითი სახელი. ოფიციალურად მას მარგარეტი ერქვა) იყო დაქორწინებული.

აპრილის ბოლოს ის ერთხელ გაფრინდა ჰიმლერთან და დაბრუნდა. ჰიმლერმა ხელახლა გაგზავნა. გაყიდა რამდენიმე დღე-ფეგელენი არა და არ გამოჩნდა. აღმოჩნდა, რომ შინ იჯდა მთერალი და ჰიმლერთან გამოცხადება არ სურდა. რაიონს კი უკვე რუსები ეპატრონებოდნენ. იგი მაინც მიიყვნეს ჰიმლერთან. იქ რა მოხდა, ლინგებ არ იცოდა, მაგრამ ჰიმლერთან შეხვედრის შემდეგ ფახელენი საიმპერიო კანცელარიის ეზოში ბორმანმა დახვრიტა. წინდაწინ კი ვეელა ჯილდო და იარაღი ჩამოართვა. ლინგეს თქმით, ბოლო ხანებში ყველაზე მეტად და ხშირად ჰიმლერთან სწორედ ფეგელენი იმყოფებოდა.

20 აპრილის შემდეგ ნოტებისა და მოული არქვის გაგზავნა დაწყეს ბერდგოფში. ჰიმლერმა ლინგეს უთხრა, რომ ამდენი ხალხის ბუნკერში მოთავსება ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ ჯობდა, ზედმეტი ადამიანები წასულიყვნენ. ჰიმლერთან შაუბი (იულიუს შაუბი, ჰიმლერთან ადიუტანტების შეფი. SS-ის ობერგრუპენფიურერი) გამოიძახა. სეიფიდან ქაღალდები ამოიღეს. შაუბმა ორ გზად გაიტანა ისინი კანცელარიის ეზოში და იქვე დაწესა. არქვის ნაწილი თვითმფრინავით ბერდგოფში გადააგზავნეს.

ჰიტლერის ექიმს, რომელიც დაბომბვას ვერ იტანდა, ნერვიული და გულის შეტევები ემართებოდა, ამიტომ სთხოვდა, ისიც გაეშეათ. ჰიტლერს იგი სჭირდებოდა, მაგრამ ექიმი აქვთინდა და ჰიტლერმაც გაუშვა. ბერლინიდან ბოლო თვითმფრინავით სწორედ ეს ექიმი გაფრინდა.

ლინგე ჰყვება, რომ 1944 წლის გაზაფხულიდან ჰიტლერს მაგრად უთამაშებდა მარჯვენა ხელი, წელშიც მოიხარა და მარჯვენა თვალის ანთებაც დაწყო, რის გამოც, ხმირად კოკაინს აწვეთებდნენ.

25 აპრილს მან ლინგეს უთხრა, რომ თუ ბერლინი დაეცემოდა, ბრაუნთან ერთად თავს მოიკლავდა და დააყალა, მათი გამები დაწესა, რათა ისინი ხელში არ ჩაყარდნოდა რუსებს და მათი აბუჩად ასაგდები არ გამხდარიყო. ასევე, სთხოვდა, გაუნადგურებინა მისი პირადი ოთხები და ბომბსაფარი. ლინგემ ყველა მსახურს უხმო და ჰიტლერის ნათქვამი გადასცა. იმავე დღეს ლინგემ დაინახა, როგორ ბეჭდავდა რადაცას ჰიტლერის მდგანი კრისტიანი (გერდა კრისტიანი). ჰიტლერის პირადი მდგვნი. სხვა ცნობებით, „პოლიტიკური ანდერძი“ დაბეჭდა ტრაუდლ იუნგებ (საბეჭდ მანქანაზე, ხოლო როცა ფურცლებში ჩახედგა დააპირა, მდგვნმა ხელი დააფარა და უთხრა, რომ არ შეიძლებოდა. ლინგემ მხოლოდ სიტყვა „ანდერძის“ წაკითხვა მოასწრო.

26-27 აპრილს ლინგემ დაინახა, როგორ სეირნობდა ევა ბრაუნი ძაღლთან ერთად საიმპერიო კნცელარიის ეზოში, გამოელაპარაკა კიდეც. ბრაუნმა კი ციფად და შევიდად

განუცხადა, რომ, სავარაუდოდ, თვითმკვლელობის ჩადენა მოუწვდა, თუკი სასწაული არ მოხდებოდა. ოღონდ მას ჰიტლერის საყვარლად კი არა, ცოლად სურდა სიკვდილი. ლინგემ მიუგო, რომ ამ თხოვნაზე ჰიტლერი ალბათ უარს არ ეტყოდა.

ექიმმა ჰიტლერის ხელწერილი გამოართუ კალიუმცანიდის მიღებაზე. გერინგისგან რადიოგრამა მიიღეს. ის ჰიტლერს ემუდარებოდა, ბერლინიდან სამხრეთში გადაეწაცელა, რადგან იქ იყო ძალები და ბრძოლის გაგრძელება შეიძლებოდა. შემდგა მეორე რადიოგრამაც მოვიდა, რომ ბერლინში მყოფ ჰიტლერის არ შეუძლია თავისი ძალაუფლების განხორციელება, ამიტომ მისგან პასუხს 22 საათამდე დაელოდებოდა, შემდგა კი, 1939 წლის კანონით, მოულ ძალაუფლებას ხელში აიღებდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ ამ რადიოგრამამ ჰიტლერი გააცოტა და ბორმანს გერინგის დაპატიმრება უბრძანა. გერინგის ნაცვლად რობერტ-ფონ-გრეიმს (გერმანელი მთწინავი. ავიაციის გენერალ-ფელდმარშალი) დაინიშნა. ჰიტლერის მფრინავი ბაჟერი ჰყვებოდა, რომ ჰიტლერმა დეპეშა გაუგზავნა გერინგს, დალატისთვის სიკვდილს იმსახურებ, მაგრამ მხედველობაში ვიდებ შენს დამსახურებებს სამშობლოს წინაშე და თუკი ჩინებსა და ორდენებზე უარს იტყვი, შევიწყალებო. ამაზე გერინგმა გადადგომით უპასუხა. ჰიმლერის დალატმა, რომელმაც დამოუკიდებლად დაიწყო მოლაპარაკები მოკავშირუებთან, ასევე გულში ლახვარი ჩასცა ჰიტლერს.

#### გამომძიებლებმა ბუნკრი საფუძვლიანად გამოიკვლიერა





ლენი  
რიფენსტალი



ტრაუდლ იუნგ  
(1920-2002 წწ.)



28 აპრილს, საღამოს, ჰიტლერთან გამოსამუშაოდობებლად მივიდნენ კესელრინგი (ალბერტ კესელრინგი, გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი), მაიერი (იოპანეს მაიერი, გერმანელი გენერალი), შრედერი (ოსკარ შრედერი, გენერალ-ლეიტენატი), ფონ ბელოვი (გერდ-პაულ ფონ ბელოვი, გერმანელი გენერალი), ცანდერი (კონრად ცანდერი, ავიაციის გენერალი). მათ ჰიტლერის ახდერძის ტექსტი გადაეცათ დენიცის, კიოტელისა და ჰიმლერისთვის.

29 აპრილს გებელსმა პროპაგანდის სამინისტროდან ჩინონიკი გამოიძახა და ჰიტლერი ევ ბრაუნზე დაქირწინდა, რის შემდგვაც ჰიტლერის კაბინეტში ჩაი მიირთვეს.

30 აპრილს ჰიტლერი გებელსთან გამოსამუშაოდობებლად მივიდა, თუმცა მის კაბინეტში არ შესულა, მისალებში დაეშვიდობა. უკან დაბრუნებული ლინგეს გამოემშვიდობა, ამასთან, უთხრა, რომ დასავლეთისკენ გამგზავრებულიყო და მოკავშირუბდთან მოხვედრა ეცადა. როდესაც ლინგემ ჰკითხა, თუ ვისთვის იყო ეს საჭირო, მან მოუგო — იძისთვის, ვინც კიდევ მოვაო. ლინგე მისალებში გავიდა და შირმას ამოეფარა, რათა ევ ბრაუნს არ შეჩეხებოდა. თუმცა, ევ, როგორც ჩანს, ჰიტლერის კაბინეტში სააბაზანოს გაულით შევიდა. რამდენიმე სანში მან გასროლის ხმა გაიგონა. კაბინეტში შესულმა ჰიტლერი დოგანზე მჯდომი ნახა, მარჯვენა ხელი დოგანიდან გადმოკიდებული ჰქონდა, მირს კი რევოლუცი ეგდო. ბრაუნი მის გვერდით იჯდა ფეხებმოკეცილი, მისი ფეხსაცმლები კი დოგანთან ეწყო. სისხლის კვალი ევას არ ეტყობოდა. ლინგემ ვიღაცას უხმო, გვამები წინასწარ მოშადებულ ჰლედებში გაახვიეს, კანცელარიის ეზოში გაიტანეს, წინდაწინ მოშადებული ბენზინი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ჰიტლერის აღსასრულის შემდგვ გებელსთან თათბირი მოწყო, გენერალ კრებსს რუსებთან მოლაპარაკებათა გამართვა დაევალა. ბოლო ხანებში ყველა ნერვიულობდა და თავგზააბნეული იყო. გადაწყვიტეს, რუსებს დალოდებოდნენ და შემდგვ მოეკლათ



თავი. I-ელ მაისს ცნობილი გახდა, რომ რუსები უპირობო კაპიტულაციას ითხოვდნენ. დილით ლინგე გებელსს შეხვდა, რომელმაც უთხრა, რომ მთელი ღამე ვერ დაიძინა, რომ, არსებითად, ძალიან ძნელია ძალ-დონე მოიკრიბო სულ ერთი წამით, რათა თავი მოიკლა. I-ელ მაისს გებელსმა და მისმა ოჯახმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.

გადაწყვდა, I-ელ მაისს ალფის გარღვევა 5 ჯგუფზე ეცადათ ბუნკერიდან გაყიდნენ, თუმცა უმეტესობა რუსებს ტყვევდ ჩაუვარდა ხელში.

ლინგე ევა ბრაუნს ასე აღწერდა: ის 34 წლის იყო, ჰოფმანის ფოტომაღაზიას განაგებდა. პიტლერი მას 1932 წლამდეც იცნობდა. 156 სმ სიმაღლისა იყო, მოკლეთმანი, გამხდარი ქერა ქალი. ძალიან ლამაზი იყო, თოვებინასავით სახე ჰქონდა, კოხტადაც იცვამდა. მისი და გრუტელი თითქმის სულ მასთან ცხოვრობდა. პიტლერთან იყო მუდამ, თუმცა მასთან ერთად ოფიციალურად არსად არჩნდებოდა. ჩვეულებრივ, პიტლერი 2-3 დღეში ერთხელ ელაპარაკებოდა ტელეფონით, იშვიათად კი წერილებსაც სწერდა. ლინგეს თქმით, რაკიდა პიტლერმა იცოდა, რომ ველა საუბარი ისმინდებოდა, ევს ზოგად თემებზე ესაუბრებოდა. ბერლინში სარდლობის ჩასვლის შემდეგ ბრაუნიც ჩავიდა პიტლერთან.

ლენი რიფენშტალი (ცნობილი რეჟისორი და მსახიობი. ნაცისტების ერილობებზე გადაღებული ფილმების რეჟისორი) ისტერიკული იყო. მის დროს გალიფე ჩექმებითა და რევოლუციით დადიოდა. ოპერატორობდა კიდეც

და ჯარების აღლუმსაც იღებდა ვარშავაში. პიტლერის ნაცნობ ქალებს შორის იყვნენ მიულენსი, სახელგანთქმული ოდეკოლონის ფაბრიკის უმდიდრესი მეპატრონის ქალიშვილი, ბეტშტეინი, ვაგნერი და სხვები; 70 წლის ქვერივი ტროსტი, შენებლის ცოლი, ვისთან ერთადაც პიტლერი არქიტექტურულ პროექტებს აკეთებდა (იგულისხმება პაულ ლუდვიგ ტროსტი). მიუნხენში ის სამშენებლო კანტორას ფლობდა. მიუნხენში ყოფნისას პიტლერი ყოველდღე სტუმრობდა მასთან, საათი და საათ-ნახევარიც იჯდა და ესაუბრებოდა.

ბოლო ხანებში, აღსასრულამდე მისი ძღვენები იყვნენ კრისტიანი და ტრაუდლ იუნგები. იუნგე ნორჩი და ლამაზი იყო, ბრაუნს პაზგადა. ცოლად პიტლერის მსახურ იუნგს გაჰყვა, რომელმაც ქორწინებას შემდეგ ფრონტზე წასვლა მოისურვა, რადგან ეუხერზელებოდა იმ სუფრის მომსახურება, რომელსაც მისი ცოლი უჯდა.

უცხოელებიდან პიტლერს კავშირი ჰქონდა მხოლოდ დიანა მიტფორდთან (ლედის მოსლისთან). ქალს ვერ გადაეტანა, რომ ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას.

პიტლერის სიკვდილამდე ბერლინში ჩატრინდნენ პანა რაიჩი და რობერტ ფონ გრეიმი. თვითმფრინავი ბრანდენბურგის ალაფაფთან, გზატკეცილზე დაჯდა. გრეიმი დაიჭრა, თვითმფრინავი დაზიანდა. პიტლერი მათთან ერთად გაფრენას არ დათანხმდა და ისინი უკან გაბრუნდნენ“.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

**პარა სამუშავა**



# აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას უცნობი წერილი

ატენის სიონი, სხვა ძველებთან ერთად, საქართველოს სირ სიძველეთა და ხელოვნების ძველთა დაცვის საგანგებო კომიტეტის დაგაღებით მომზადებულ მოხსენებაში, ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ მაღალი ისტორიული მნიშვნელობის ძველთა ნუსხაში შეიტანა

## მართლული სახალესიო ბანდეულისა და არქიტექტურის ძებლების ბალასარჩენად

საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფების დამყარების შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესია მეტად როცელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლშევიკება არაურთი მოქმედი ტაძარი დახურეს. დაიწყო სასულიერო პირების დევნა. გორის მაზრის ტაძრებისა და საეკლესიო ქონების გადარჩენაში დიდი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ. 1923 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების ძველთა დაცვის საგანგებო კომიტეტმა ყველა სამახრო აღმასკომს, მათ შორის გორის მაზრის აღმასკომი თავმჯდომარეს სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს, სადაც აღნიშნული იყო: „საქ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობებით ანტი-

რელიგიურ მიმრაობასთან დაკავშირებით აღგილობრივ ბერებან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძველ შევნენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო საისტორიო მნიშვნელობა აქვთ. რათა დაცული იქნას ზემოთ ხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს.კ. დადგენილებისა, ა.წ. 21 მარტს დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი. გაუწყებთ რა ზემოთ ხსენებულს, საგანგებო კომიტეტი წინადაღებას გაძლევთ კელესია-მონასტრების გაუქმებისა და ჩამორთმევისას აუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდგენის:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრებო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიაზე:

ა) ძეგლები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან, მაგრამ წარწერებით, არქიტექტურული ფორმებით თუ სხვა რითმე დიდ სამეცნიერო დირქტულებას წარმოადგენდნენ;

ბ) ძეგლები ძვირფას განძეულობითურთ, რომელიც დღემდე ურყობულ დანართ და სადაც წარმოებს, ან და უკანასკნელამდე წარმოებდა მღვდლმსახურება;

გ) ძეგლები, რომელიც თავისთვად არავთარ სახუროთმოძღვრებო დირქტულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე დამცველი არიან ძვირფას განძეულობათ.

ზემოთ ხსენებულ ძეგლთაგან პირველი ორი კატეგორიის სათანადო აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და მაშასადამე, არავთარ შეკეთება, გადაკეთება ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება სასტიკად აკრძალულია. რაიც შექება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგარი კატეგორიაა:

ა) ჭედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვ.

ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები;

გ) სხვადასხვა შინაარსის ძეგლი ხელნაწერები.

პირველი ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის ძვირფასი ნახელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა დამოუკიდებლად ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივი აღმასკომის პასუხისმგებელი თანამშრომელი მცოდნე პირთა თანდასწრებით. ყველა ნივთი მესამე კატეგორიის ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული თუ იგი გაუქმდა, დაუყოფნებლივ გატანილ უნდა იქმნას სათანადო აქტის შედგენით. მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლისა და ზიფათისაგან, ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა

პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრი: მთელს რესპუბლიკაში სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები. ამიტომ დროებით, სანამ საიმისოდ სათანადო კომისიები შესდგებოდეს, რომელიც თვითოუეულ ნივთის შესაფერის ღირებულებას გამოარკვევენ და დაადგენენ, თუ რომელი მეორე კატეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი უნდა გადაკეთდეს მუზეუმად, ყველა აღნუსხული ნივთის მოვლა-პატრონობა ეკალება ადგილობრივ აღმასკომის მიერ დანიშნულ პირთ, აღმასკომისა და პირველთა ურთიერთის პასუხისმგებლობით. განსთანუსისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქნას განათლების სახალხო კომისარიატში სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის“.

ცეირე ხანში საგანგებო კომიტეტმა გორის მაზრის ეკლესია-მონასტრების შესასწავლად სპეციალური ექსპერტები გამოჰყო. კომიტეტის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია:

#### სიმონ ჯანაშვალი





აკადემიკოსი აკაკი შანიძე

ჩუქურთმა სამთავისის ტაძრის ქვდელზე


„კომიტეტი ამასთანავე წარმოავლენს მეცნიერ-ექსპერტებს: პროფ. აკაკი შანიძეს და ასისტენტს სიმონ ჯანაშიას. და გაუწყებთ მიუცილებლივ შესასრულებლად შემდგეს:

1) მეცნიერ-ექსპერტის ხელმძღვანელობით და ოქვენ მიერ დანიშნულ პირთა მონაწილეობით უნდა მოხდეს რწოვებულ თქვენდამი მაზრის სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა აღწერა.

2) მეცნიერ-ექსპერტმა უნდა გამოარტიოს, რომელ სიძველეს აქვს საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა და რომელი მათგანია მარტოოდენ ნივთიერი ღირებულებისა.

3) ექსპერტმავე უნდა დაასახელოს 23 აპრილს გამოგზავნილ ცირკულიართან დართული სიის ფარგლებში და მის გარეშე, რომელი საარქიტექტურო ძეგლთაგანი დაცულ უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და, კერძოდ, რომელ მათგანში უნდა მოთავსდეს საისტორიო მუზეუმი.

4) აღნუსხული ნივთები გადატანილ უნდა იქნას ხაზინაში, ანდა დაცულ იქნას იმ ეკლესია-მონასტერში, რომელიც დაინიშნება მუზეუმიად და რომელიც ამასთანავე უზრუნველყოფილია ცეცხლისა და სხვა ხიდათისაგან.







რუსის ტაძარი

არმოს ტაძარი



ჭალის ღვთისმშობლის მიძინებისა და ქვემო ჭალის ჯვარი პატიოსნისა — წარმოადგენენ მაღალ ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლებს ძველი ქართული ხელოუნებისა და მათი (ე.ი. შენობების) რაიმე გარეშე მაზნისათვის გამოყენება კოვლად დაუშებელია.

2) ასეთივე მნიშვნელობისა არის და ასევე დაცული უნდა იქნას საერო ხუროთმოძღვრუბის ზოგიერთი ძეგლი, როგორიც მაგალითად, ე.წ. მარშლიანთ სახლი (თარხნიშვილებისა) დ. ახალქალაქში.

3) იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საეკლესიო და საერო შენობები ჩამორთმეულია მათი წინანდელი მფლობელებისაგან (საეკლესიო მთავრობის თუ კრძალ პირებისაგან), მათვის ფურისგდება და მათი დაცვის მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაევალოს ადგილობრივ აღმასკომებს.

4) ზოგიერთ დაკვტილ ეკლესიაში დაცულია ანდა ადგილობრივ აღმასკომში ინახება ისეთი საისტორიო-სამეცნიერო ღირებულების ნივთი, რომელიც დაუკავშირდება უნდა გადმოტანილ იქმნას თქვენი განკარგულებით გორის ხაზინაში დასაცავად იმ დრომდის, სანაც მათს შემდგომს ბედს გადასწყვეტდეს საგანგებო კომიტეტი.

5) რუსის, ურბნისის, ნიქოზის, არბოს, ერგნეთის, მეტების, სამთავისის, ქვემო ჭალის ღვთისმშობლის მიძინების, ქვემო ჭალის ჯვარის პატიოსნის, ერთაწმინდის, ატოცის, გორის გრიგორიანთა, წმ. სტეფანეს და გორის მართლმადიდებელ ოქონის ეკლესიებში დაცულია უძვირფასესი საისტორიო და სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთეულობა, რომელიც ადგილობრივ უნდა იქნეს დატოვებული საგანგებო კომიტეტის სპეციალურ განკარგულებამდის.

6) დანარჩენ ნივთების დაცვის მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაევალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

7) საკითხს ადგილობრივი მუზეუმების მოწყობის შესახებ განიხილავს საგანგებო კომიტეტი.

8) ამასთანავე გაუწევებთ, რომ ზემოაღნიშნულ ეკლესიებიდან საგანგებო კომიტეტის დავალებით და მისთვისგვე გადასაცემად გატანილია ჩემ მიერ სათანადო ხელწერილთა ჩაბარებით: ა) ახალქალაქის გრიგორიანთა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან — ორი სომხური ხელნაწერი. ბ) ქარელის



**მარცხნიდან:** აკადემიკოსი სიმონ ჯანაშვია, რუსი საბჭოთა ენათმეცნიერი და არქეოლოგი ფან შემჩნინოვა, აკადემიკოსი აკაკი შანიძე და აღმოსვლების ცოდნების სამსახურის მოღვაწე იოსებ ორბეგლი

ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან — ერთი ქართული ხელნაწერი, გ) რუსის ტაძრიდან — ერთი ქართული ხელნაწერი. დ) მეტქის ეკლესიიდან — ერთი ქართული ხელნაწერი და პატარა გატეხილი ხის ჯვარი ვერცხლით მოჭედილი. ე) სამთავრისის ეკლესიიდან — სამი ქართული ხელნაწერი. ვ) გორის გრიგორიანთა წმ. ტეტიანეს სახელობის ეკლესიიდან 8 (რვა) სომხური ხელნაწერი და ერთიც სომხური ძველნაბეჭდი წიგნი. 9) დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ შემდეგი: სოფ. ბრეთის ეკლესიაში ინახებოდა ტყავზე ნაწერი ქართული სახარება, ვერცხლით შემოსილი და ასეთივე სახარება ინახებოდა სოფ. საღოლაშენის ეკლესიაში. მე ეს სახარებები ვერ კიპოვე. პირველის შესახებ სოფ. ბრეთის მღვდელმა, ქხლა უკვე ანაფორაგახდილმა, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინად, როდესაც მან ბრეთის ეკლესიის ქონება ჩააბარა სოფ. საღოლაშენის მღვდელს, ასეთი ხელნაწერი ბრეთის ეკლესიაში ინახებოდა. მიუხედავად ამისა, საღოლაშენის მღვდელმა

ჩემს დაკითხვაზე განაცხადა, რომ არც ერთი ხელნაწერის შესახებ მან არაფერი არ იცის. ამისათვის უმორჩილესად ვსოდეთ აღმასკომს, სასტიკი გამოძიება დანიშნოს ამ საქმეზე, რათა ხსენებულ ეკლესიების საინვენტარო წიგნების გასინჯვითა და სხვა საშუალებით აღმოჩენილი იქმნან ეს ორი ძვირფასი ძეგლი ქართული მწერლობისა. ყოველივე ზემოთ ხსენებულის შესრულების შესახებ გთხოვთ, უახლოეს დროში აცნობოთ საგანგებო კომიტეტს (ტფილისში, განათლების კომისარიატის მისამართით). საქართველოს სსრ სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებული ს. ჯანაშია, ქ. გორი ივნისის 11, 1923 წელი“.

შიდა ქართლში არსებული ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთაგან ბოლშევიკების რისხვას ბევრი ქმნილება გადაურჩა და ამ საქმეში განუზომლად დიდი გახლდათ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დამსახურება.

**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

# ფარნავაზი

„ბედნიერი ხელის  
მონე“ მეცის  
ცვლა

საქართველოს ილუსტრირებული  
ისტორიის მრავალტომეულის გამოცემა  
მკითხველთა შორის უკვე მოვლენად  
გადაიქცა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს  
ვიზუალური რეკონსტრუქცია მთავარ  
მოვლენებს, მნიშვნელოვნ ფაქტებს,  
ოდესლაც რეალურად მომხდარ ამბებს  
ცალკეულ წიგნებად ყოფს და ერთ  
დიდ, მთავარ სერიად აერთიანებს.  
ეს წიგნები კი განკუთხილია ყველა  
ასაკის მკითხველისთვის, ოჯახის  
ყველა წევრისთვის — უმცროსიდან  
უფროს თაობამდე... გაცნობიდან —  
გახსენებამდე...

მეფე ფარნავაზი  
მაალენი ღმერთ სილაგაძე



ეს რომ ასეა, ამაში კიდევ ერთხელ დაგ-  
ვარწმუნა „პალიტრამედიის“ 20 წლის იუბი-  
ლესთან დაკავშირებით თბილისში, „გრძე-  
ბის ბაღში“ გამართულმა ღონისძიებებმა.  
ისტორიკოსი ჯაბა სამუშაა მკითხველებთან  
შეხვედრისას

საიუბილეო დღეებში არაერთი სიურპრიზი  
ელოდა მკითხველს გამომცემლობა „პა-  
ლიტრა L-ის“ სტენდთან, საღაც 2 ათასზე  
მეტი დასახელების წიგნი წარმოადგინეს.  
სტუმრებს შესაძლებლობა პქნდათ, შეხ-  
ვედროდნენ „საქართველოს ილუსტრირე-  
ბული ისტორიის“ ავტორსა და პროექტის  
ხელმძღვანელს, ისტორიკოს ჯაბა სამუშაას,  
რომელიც მკითხველებს საკუთარ წიგნებზე  
ავტოგრაფებს უტოვებდა.

**ჯაბა სამუშა:** — ამგვარი შეხვედრები  
წიგნის ავტორებისთვისაც ისევე აუცილე-  
ბელია, როგორც მკითხველისთვის. როცა  
საქართველოს ისტორიით დანწერუსებულ  
ყველა ასაკის მკითხველს უშეალოდ ხვდები  
და მათგან ისმენ სამადლობელ სიტყვებსაც და  
შენიშვნებსაც, ბუნებრივია, ეს ხელს უწყობს  
მკითხველის წიგნიან (ამ შემთხვევაში საქარ-  
თველოს ისტორიასთან) დაბრუნებას.

ილუსტრირირებული ისტორიის მორიგი,  
მერვე ტომი ფარნავაზ მეფეს ეთმობა (აუტორი  
ჯაბა სამუშა) და მკითხველს, ისევე როგორც



ამ სერიის დანარჩენი წიგნები, ახლებურად წარმოუდგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ უძრიშვნელოვანეს და შედარებით ნაკლებ შესწავლილ ეპოქას.

როგორც წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „ფარნაგაზი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. ის იყო ერთიანი საქართველოს მესაძირკვლე, ფარნაგაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი. მატიანე მას ქართული დამწერლობის შექმნას მიაწერს. მის სახელთანაა დაკავშირებული არმაზის კერპის აღმართვა მცხეთაში და საერთო-ქართული პანთეონის ჩამოყალიბება. ფარნაგაზის აღმინისტრაციული რეფორმა, საუკუნების გამბავლობაში, საფუძვლად დაედო ქართული სახელმწიფოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას. ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი მას ლეგენდარულ მეფედ მიიჩნევდა, მაგრამ დღეისთვის ეს აზრი უკვე უარყოფილია. მართალია, ფარნაგაზის თანადროული წყაროები ჩვენამდე მოღწეული არ არის, მაგრამ გვაინი ეპოქის ნარატივულმა მასალამ ცხადყო, რომ ფარნაგაზი რეალურად არსებული პიროვნება იყო, რომელიც ცხოვრიბდა ქრისტეს შობამდე IV-III საუკუნეებში. ქართული წყაროების გარდა,



ფარნაგაზის სიზმარი. მხატვარი გაშა ქარხული

ქართლის აღმინისტრაციული დაყოფა  
რეპის აპტორი განაცნ შეყილავე





ღიანი ქუჯის სასახლეში. მხატვარი ლევან სილაგაძე

ანტიკურ პერიოდში ქართლში მოღვაწე მეფეებს ფარნავაზიანელებად მოიხსენიებენ სომქით მემატიანებით ფარსტოს ბუზანდი და სებეოსი. ისტორიულსთა აზრით, სახელი ფარნავაზი, შეიძლება, გვიანდელი ფორმა იყოს. ძვ.წ. IV საუკუნეში უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო არქაული ფორმა ფარნაბაზი, რომელიც ძველი სპარსულიდან ქართულად რომ ვთარ-გმნოთ, „ბედნიერი ხელის მქონეს“ ნიმნავს“.

ვფიქრობთ, მკითხველი სიამოგნებით გაეცნობა „ბედნიერი ხელის მქონე“ ფარნავაზის მეფობის წლებს. მით უფრო, რომ იღუსტრირებულ წიგნში გამოყენებულია არა შეოლოდ საგანგებოდ ამ ნაწარმოებისთვის შექმნილი ნახატები, არამედ თითქმის ყველა ისტორიული წყაროდან მოხმობილი მასალები, შესაბამისი პერიოდის ამსახველი არტეფაქტებისა და ღოკუმნების ფოტოები... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ჩვენა ქვეყნის ამ უძველეს ეპოქაში გვამოგზაურებს. წარმოდგენილი წიგნიდან აქვე მოგვყავს ერთი მონაკვეთი,

რომელიც მოგვითხრობს „ალოგლოტოგ-რაფიის“, ანუ „სხვა ენაზე წერის“ შესახებ: „ენათმეცნიერ თამაზ გამყრელიძის მოსაზრებით, ფარნავაზის სახელს უკავშირდება ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება. რაც შექება დამწერლობას, ის გვიან უნდა შექმნილიყო — ახ.წ. IV საუკუნეში, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისთანავე. ფარნავაზის ეპოქაში კი, როგორც მეცნიერი მიიჩნევს, ქართლში შეძლება გავრცელებული ყოფილიყო ის ხერხი, რომელიც მთელ მახლობელ აღმოსავლეთსა და სპარსეთში იყო გავრცელებული — ტექსტს კარნახობდნენ შშობლიურ ენაზე, მაგრამ ენებში განსწავლული ჩამწერი მას სინქრონულად თარგმნიდა და არამეულ ენაზე იწერდა. წაკითხვის დროს კი არამეულ ტექსტს კვლავ შშობლიურ ენაზე ამოიკითხავდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას საქართველოში არამეული ტექსტების აღმოჩნის ფაქტები“. „ისტორიანი“



ფასი: 2 ლარი

მაღალაკონსისტენციული სპორტული უნივერსიტეტი, ყველა შაბათს

**შევენილია გაზეთ „ლატონს“ ბაზაზე**

# გალტის საინეთი ქართველთა ნაზრევები

XVIII-XIX საუკუნეების  
ქართულ ცლიტას  
მკაფიო წარმოდგენა  
ჰქონდა ჩოლოლოთ  
ვოროვის შეცნებით

ბალტიისპირეთში მდებარე რეგიონები  
და დასახლებული პუნქტები  
ქართულ წერილობით წეროებში  
XVIII საუკუნის დასაწყისიდან  
მოიხსენება. მათი ავტორები  
არიან ბაგრატიონთა ათასწლოვნი  
დინასტიის წარმომადგენლები: მეფენი,  
უფლისწული და ქართლის სამეფო  
კართან დაახლოებული წარჩინებული  
ქართველი თვალი გელოვანი.  
ხელნაწერები მათი თხზულებებისა,  
რომლებიც სათანადო ინფორმაციას  
შეიცავს, დაცულია ხელნაწერთა  
ეროვნულ ცენტრში. ამ თხზულებათა  
გაანალიზება გვიქმნის წარმოდგენას,  
როგორ აისახა ბალტიისპირეთი  
ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში,  
საუკუნეზე ცოტა მეტი წნის  
განმავლობაში, კურძოდ, XVIII საუკუნის  
10-იანი წლებიდან — XIX საუკუნის  
30-იანი წლების შუა ხანების ჩათვლით.

განვითარებული ბაგრატიონის მიერ შედგენილი  
გრობის პოლიტიკური რეკა (1752 წელი)

პირველი ქართველი ავტორი, რომელმაც  
თვის თხზულებაში მოიხსენია ბალტიისპირეთში  
მდებარე ქალაქები, იყო ქართლის მეფე  
გახტაგ VI (1675-1737).

საქართველოში ასტრონომიულ-მათემატიკური ცოდნის აღორძინების მიზნით, ვახტანგმა სპარსულიდან ქართულად თარგმნა სამარყანდის სულთნის, გამოჩენილი მეცნი-



ერის ულუღ-ბეგის (1394-1449) თხზულება „ულუღ-ბეგის ზიჯი“. როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა მომხდარიყო 1712-1719 წლებში, როდესაც შაპინშაპ ჰუსეინ I-ის მოთხოვნით, ვახტანგი სპარსეთში იმყოფებოდა.

იმავდროულად, მეფე შეადგინა სათანადო ტერმინთა სიტყვანი და ცხრილები. არსებობს ამ თარგმანის რამდენიმე ნუსხა. თარგმანს



ვახტანგ VI-მ დაურთო სია მსოფლიოს ქალაქებისა, შესაბამისი გეოგრაფიული კორდინატებით. ამის განსაზღვრის წესებთან ერთად, ვახტანგ VI-მ ჩექნს ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა მსოფლიოს ქალაქებისა და დასხელებული პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების ნუსხა, რომელსაც იყენებდა ულუღ-ბეგი და მის მიერ შექმნილი მეცნიე-

რული სკოლა. მოგვიანებით, „ზიჯის“ თბილისურ ნუსხას ვახტანგმა დაურთო ახალი სია, რომელიც მან უვროპული თხზულებებიდან თარგმნა. ამ ნუსხაში იხსენიება ბალტიისპირეთის ქალაქები: „ვილნა“; „ნარვა — ლიფონიასი“; „რველი — ლიფონიასი“; „რილა — ლიტევანიასი“ და სხვ.

ვახტანგ VI მიუთითებდა, რომ ხსენებული



მათეაზ Ⅵ

ცნობები მან თარგმა „ბერძენთა და ფრანგთა-  
გან შეტყობა სიგრძისა და განისა გამორჩეუ-  
ლი ქალაქებსა და ჭალაკებსა (იგულისხმება  
კუნძულები. — ნ. ჯ.), ვითარცა მოგვეცა ჩვენ  
და ვპოვეთ პირველთა ფილასოფოსთაგან, რო-  
მელთა ქვეყნა აღწერეს“.

ქართლის მეფის, მისი ოჯახისა და მრა-  
ვალრიცხოვანი ამალის რუსეთში გადასახ-  
ლების შემდეგ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი  
მოსკოვში დამკვიდრდა. ამ ქალაქში მოგვწე  
ქართველები ზრუნავდნენ ზემოხსენებული ნა-  
წარმოების ქართული თარგმანის გამდიდრება-  
ზე, მისი მოხმარების გამარტივებაზე. ტექსტის  
გასავრცობად მათ უსარგებლიათ ვეროპული  
და რუსული წყაროებით. ამ მხრივ აღსანიშ-  
ნავია ქალაქთა სიები, რომლებშიც დასახე-  
ლებულ ქალაქებს განსაზღვრება მიწერილი  
აქვთ რუსულად, ქართული ტრანსკრიფციით,  
თუმცა მათ სათანადო გეოგრაფიული კოორ-  
დინატები არ ერთვის. მათ შორის გვხვდება  
ბალტიისპირეთის რეგიონში მდებარე ქალა-  
ქებიც, კერძოდ, „ვილნა — ილისტრისკაია“  
და „რილა — ილიპოლსკაია“.

ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ძირითა-  
დად ლიტვის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობე-  
ბია დაცული ვახტანგ VI-ის ამალის წევრის,  
მწერლისა და მთარგმნელის, თავად გაბრიელ  
გელოვანის მიერ 1737 წელს რუსულიდან ქარ-  
თულ ენაზე თარგმნილ სახელმძღვანელოში. ამ  
თარგმანის ხელნაწერის მთარგმნელისეული  
სათაურია: „დეოდრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის

სიმგურგვლისათვის აღწერა, პირველ ლათინ-  
თა ენისაგან რუსულად თარგმნილი, ხოლო  
აქ მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა  
ენასა ზედა თარგმნილი გაბრიელ გელოვანის  
მიერ სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს“. ეს იყო  
მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს  
პირველი თარგმანი, რომელმაც ხელი შეუწყო  
ქართველთა შორის გეოგრაფიული ცოდნის  
გაურცელებას. იძღროინდელ საქართველოში  
ამგვარ სახელმძღვანელოზე დიდი მოთხოვნი-  
ლების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ  
1793 წელს ის გადაწერეს თელავის სემინარიის  
რექტორ დაფითის რედაქციით.

ნაშრომი დაყოფილია 31 თვად, რომელ-  
თაგან მეათეს ეწოდება — „სამეფოთათვის  
ლიტოვისათა“. მასში მოკლედ არის დახასი-  
ათებული ლიტვის სახელმწიფოს მდებარეობა.  
აღნიშნულია, რომელი ქვეყნები ესაზღვრუბო-  
და მას. იქვეა მოკლე ინფორმაციები ლიტვის  
ისტორიული წარსულის, მოსახლეობის რე-  
ლიგიური აღმსარებლობის, არისტოკრატიის,  
ასევე, ქავენის პოლიტიკურ-ეკონომიკური და  
სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

თხზულებაში ვკითხულობთ: „საომრად  
შემოკრებითა ერთობით შეუძლიათ შეკრება  
ცხენოსნისა ორმოცისა, გინა ორმოცდათის  
ათასის კაცის ჯარისა. გამორჩეულისა მას-  
თან ქვეითოსანისა — რვა, გინა ათის ათასის



კაცისა... ძევლსა წელსა შინა ერთა ამათ აქ-  
ვნდათ ომი დიდი: პრუსთა, ნემეცთა, ურუმთა,  
თათართა, ვენგრებთა, ვლახთა შორის, უმე-  
ტესცა დიდთა ბატონთა მოსკოვისათა. და ესე  
ომები მათ შორის აღმოიწყება... ღელვათან  
აზნაურთა მათგან, რომელნიცა არიან ესრეფ  
აღვირაღუსმელ დადგინდებაშიდ. ზოგჯერ თა-  
ვის ბატონებზეც არ შეივდებენ (იყულისხმება  
„ერიდებიან“). — ნ. ჯ.) მახვილისა აღებასა...  
და ახლა მახლობელ სამეცნისა წლისა და-  
უცხოობრივ სამსა შინა გარემოსა თვისთა  
მეზობელთა შორის არიან და ამისგანცა დია-  
დის სიმძიმისაგან მებატონეთა თვისთაგან ერ-  
თობით ხალხი მათნი მიიწვიონ სიღარიბეში  
და დავრდომილებასა შინა. თავისის ხაზინით  
დიდის ჯარის შენახვას ვერ შემძლე არიან.  
ამისათვის შემოსავალი სკარბა მეფეთა მიერ  
და ლიტვისაცა ორივ ერთობით წელიწადში  
ძლივ სამას მილიონს მიაწევს რუბლისას...  
ლიტოველი სარწმუნოებით არიან ეკლესისა  
და სავლეთისანი და მართლმადიდებელინი და  
აღმოსავლეთისანიცა“.

ბალტისპირეთის შესახებ ასევე მნიშვნე-  
ლოვანი ცნობები დაცულია ვახტანგ VI-ის  
გაფის, გამოჩენილი გეოგრაფის, ისტორიკოსი-  
სა და კარტოგრაფის, ვახუშტი ბაგრატიონის  
(1696-1756) თხზულებაში.


1752 წელს ვახუშტიმ რუსულიდან ქარ-

თულ ენაზე თარგმნა „მოკლე პოლიტიკური  
გეოგრაფია“ 27-რუკიან მსოფლიო ატ-  
ლასთან ერთად. ეს თხზულება, რომელსაც  
მთარგმნელმა თავისი შენიშვნები დაურთო,  
მნიშვნელოვანია როგორც გეოგრაფიული,  
ასევე საისტორიო თვალსაზრისითაც. ამ სა-  
ხელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას  
საქართველოში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული  
ამ თხზულების ხელნაწერს (A-717) თან ერთ-  
ვის ვახუშტის ხელით შედგენილი რუკებიც.  
მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა  
კვრობის პოლიტიკური რუკა (გვერდი 8) და  
ასევე, ბალტიისირეთის რუკა (გვერდი 89),  
რომლებსაც აქვე ვაქვევნებთ. ამ რუკებზე  
კურლანდია გამოყოფილია პოლონეთისგან  
(ტექსტში — „პოლშა“), რომელიც თავის  
მხრივ მოიცავს ლიტვას ვილნიუსის (ტექს-  
ტში — „ვილნა“) ჩათვლით. კურლანდია და  
პოლონეთი (ლიტვის ჩათვლით) შეფერილია  
განსხვავებული ფერით.

ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას იხსე-  
ნიება: „ბალთიური ზღვა (მარე ბალთიკუმე)“,  
რვიონები „კურლანდია“ და „ლიტლანდია“,  
ქალაქები „მითავა“, „რიგა“, „ვილნა“ და სხვ.  
თხზულებაში გამოყოფილია თავი XI —  
„სამეფოებთათვის პოლურთა და პრუსიულთა,  
ეგრეთვე დიდისა სამთავროსა ლიტვისათვეს





ბალტიისპირუთის, პოლონეთისა და პუშკინის რუკა, შედგენილი გახუშტი ბაგრატიონის მიერ (1752 წელი)

და საღერცოლოსა კურლანდიურისათვის“.

ვიღნას (ანუ ვილნიუსის) შესახებ გახუშტი მიუთითებდა, რომ იგი იყო: „დიდი სახლებითა საკმარათ აშენებული და დიდებული ქალაქი დაფუძნებული მეფის სთეფანისაგან 1579 წელსა“.

ზემოხსენებულ თავში გამოყოფილია ქვეთავი — „კურლანდიურის საღერცოლოსათვის“, რომელშიც ვახუშტი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იძროონდელი კურლანდიის საზღვრებისა და მისი დასახლებული პუნქტების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ კურლანდიას ესაზღვრება ბალტიის ზღვა, ლიფლანდია, ლიტვა და სხვ. იქვე დასახელებულია ქალაქები: „მითავა“ (იგულისხმება თანამედროვე ელგავა), „ლიბაგა“ (იგულისხმება თანამედროვე ლიეკაია), „გლიდიგა“ (იგულისხმება კულდიგა) და სხვ.

ბატონიშვილის აზრით, მითავა არის „უუთავანესი ადგილი და ჩვეულების ტახტი მფლობელის ღერცოლისა. ესე ქალაქი გინათუ საშუალებელის სიდიდისა, გარნა უმჯობესათ აღშენებულ არს და აქეს გამაგრებული ციხე“

არმისა, რომლისა აქ იწყება ახლად შენება“.

გახუშტისავე შენიშვნით, თუმცა კურლანდიასა და ლიფლანდიაში ერთმანეთის მონათვესავე ხალხები ცხოვრობენ, მაგრამ მათ ერთანი მმართველი არ ჰყავთ. იგი წერს: „ესე ქუვანა ყოფილა უწინ ამისა ეგრეთს დიდებასა შინა, რომ მას არა გარნა ცალკერი თუსი მეფე ჰყავა, არამედ მისსავე მიმართ სახელსა ქვეშეცა კურლანდიისასა ყოველი ზოგადად ლიფლანდიაცა დაიყრობოდა“.

საყურადღებოა, რომ ქართველმა მეცნიერმა არ დაფარა თავისი გულისტკეფილი ლატვიის მხარეების — კურლანდიისა და ლიფლანდიის პოლიტიკური დაქსაქსულობის გამო. ვფიქრობთ, ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად საქართველოს ტერიტორიაზეც რამდენიმე დამოუკიდებელი სამეფო და სამთავრო არსებობდა.

გახტანგ VI-ის შეილიშვილმა, ანუ ვახუშტი ბაგრატიონის მმისწულმა — უფლასწულმა ლეონ (ლევან) ბაქარის ძე ბაგრატიონმა (1728-1763) მიზნად დაისახა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა ქართველ

ენაზე. ამ მიზნით, 1754 წელს, ჯერ კიდევ თავისი სახელოვანი ბიძის — ვახუშტი ბატონიშვილის სიცოცხლეში შეუდგა ქართულად თარგმნას ევროპული საისტორიო თხზულებებისა, რომლებიც შექმნილი იყო ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მის მიერ შედგენილ ნაშრომში „მსოფლიო ისტორია“, სხვა ქვეენებთან ერთად, მიმოხილულია ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოებიც.

გვარდიის მაიორი ლეონ ბაგრატიონი 35 წლის ასაკში გარდაიცვალა და ვრცელი ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიამ თანდათან დაიპყრო საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამეფო-სამთავროები, ხოლო ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა უმეტესობა პეტერბურგში გადასახლა.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ თვეის უფლებიმოყვარე ქართველი ერის დიდი უქმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვა სახალხო აჯანყებები, რომლებიც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო, ხოლო მათი მონაწილენი სასტიკად დასაჯა.

მიუხედავად ამისა, ქართველი ერის ჯანსაღ ნაწილს კვლავ ბაგრატიონების გამეფება სურდა. ამ გვარის სახით ქართველობას ეროვნული სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო ეცულებოდა.

1812 წლის იანვრის მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოში ახალმა აჯანყებამ იფეთქა. მასში დაწყებისთანავე ჩაება ქართლ-კახეთის სამეფო სახლის საქართველოში შემორჩენილი ერთადერთი წევრი — 23 წლის უფლისწული გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830). იგი იყო შვილთაშვილი ერეკლე II-ისა, შვილიშვილი გიორგი XII-ისა და ვაჟი უფლისწულ იოანესი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზზე ქართველი უცლისწულის გამოჩენა აჯანყებულთათვის უდიდეს სტიმულად იქცა. მათ გრიგოლი თავიანთ წინამდობლად მიიღეს და ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადეს. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში 1812 წლის ოქტემბრის შუა რიცხვებიდან — მარტის დასაწყისამდე მეფობდა. ეკლესია-მონასტრებში მის, როგორც მეფის, სახელზე წირვა-ლოცვას აღავლენდნენ.

მეფე გრიგოლ I-ის ენერგიული მოღვაწეობის წყალობით, აჯანყებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ საბოლოოდ, მტრის რიცხობრივი უპირატესობის გამო, მარცხი განიცადეს. საიმპერიო ხელისუფლებამ ვერაგულად დაატყვევა გრიგოლი და გადასახახლა რუსეთში, სადაც ერთ წელიწადს პატიმრობაში ჰყავდათ.

1813 წელს მეფედყოფილი გრიგოლი მონაწილეობდა რუსეთის არმიის საზღვარგარეთულ ლაშქრობაში. იგი ხშირად ქართულ, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი დაიარებოდა. უცხო ტანისამოსით მოსილი ახორანი, მოხდენილი ფაქტაცი ევროპის ქვეყნებში მნახველთა დიდ ყურადღებას იქცევდა.

აღნიშნული ლაშქრობის შთაბეჭდილებანი მან გადმოსცა თვეის სამოგზაურო ხასიათის თხზულებაში „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“. თხზულებაში საინტერესოდ არის აღწერილი ბალტიისპირეთის ქალაქები, მდინარეები და ტბები.

ავტორი ასე აღწერს მდინარე ნარვას: „მდინარე ესე იქნების ორი და მტკვრისოდენი... მივედით საიდამცა მდინარე ნარვა გამოდის, რომელიც არს საშინელი ტბა. არის სულ ტბა ესე რიყიანი და გერმიელი სასმელი წყალი, რომელიცა უკეთესი გემო წყლისა აღარ ითქმის... ტბასა ამას ჰქვან რზირა პსკოვა“. თხზულებაში აღნიშნულია, რომ რეჩპოსტის ისტორიულ ტერიტორიაზე გადასულთ ადგილობრივი მოსახლეობა სტუმართმოყვრულად შევება. ავტორი წერს:



ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გრიგოლ I

„ოდეს შემოვედით პოლშისა მამულსა... საცა მივედით სულ დაგვიხვდნენ აზნაურნი ყოველს სტანციასა ზედა და მიგვიღებდიან ტკბილისა გულით და გვიმასპინძლიაა“.

გრიგოლმა ოთხი დღე გაატარა ვილნიში, რომლის ღირსშესანიშნაობები, შემოგარუნი, თუაწრი, მოსახლეობა და მათი ზნე-ჩვეულებანი თვის თხზულებაში აღწერა. მასში ვკითხულობთ: „არის ვილნისა ქალაქი დაბლობში და სამ კუთხიდგან აქვს სულ გორუბი ტყიანი და ერთიდგან მდინარე ვილლა და მინდორი და ქალაქი ქვითკირითა ნაშენი და დია მოსაწონი... ვილნისა ქალაქსა შინა არის სალხი დია შევნიერი, რომელ ვსოქვა, უკეთსა არსად მინახავს... არიან ვითარცა ქართველნი, მოარულნი კაბითა, სარტყელითა და ჩიბლეტებითა, ესე იგი ჩახურუბითა და ჩოხა-ბარნითა მოარულნი, ვითარცა ბუნებით ქართველნი“.

გრიგოლ ბაგრატიონის შეფასებით, „ვილნისა შინა მცხოვრუბნი ურიანი არიან მოარულნი კაცნი მათნი ცუდისა ტანისმოსთა და დიდითა წვერითა და თმითა და ზევიდამ ასხიათ, ვითარცა სომხისა ტერტერათა შავი ანაფორანი და ზოგთა დაკუცილი მხარზედან უძევსთ“. მისი აზრით, ებრაელ მამაკაცებზე უკეთსად ეცვათ ებრაელ ქალებს, რომლებიც გამოწყობილნი იყვნენ „ჩადრითა და ქოშებით და აქვთ თავნი შეკრულნი დიდისა კოპითა და ყელთა ზედა აქუსთ ყოველთა სარალუჯი მარგალიტისა“.

ავტორმა ყურადღება გაამახვილა ვილნოს მცხოვრებთა წეს-ჩვეულებებზეც. მაგალითად, მან ასე აღწერა დაკრძალვის იქაური ტრადიცია: „მიიტანებენ მკვდარსა მას და ჩაასვენებენ ზემოხსენებულსა ხვრელსა შინა და გაამსებენ მიწითა და კედლის პირსა და წააფარებენ ჩვეულებისამებრ ქვასა. ოდეს მის გობონასა გვერდსა გაივლი, ვერა სცნობ თუ ეს გობონი სასაფლაო არს. ასე გვერდება, რომ ერთი დიდი სასახლე არის“.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გრიგოლ I-ის მამის, სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის (1768-1830) ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „ქალაქსისა“ ხანგრძლივი ღროის განმავლობაში, კერძოდ, 1813-1828 წლებში იწერებოდა. ამ თხზულებაში გვხვდება ცნობები ბალტიისპირეთის შესახებაც.

ნაშრომის ერთ-ერთ ნაწილში „ღეოდ-




რაფიისა ანუ აღწერისათვის ქუეყანისა“ ვკითხულობთ, რომ რუსეთის იმპერიაში შემაგალ ცალკეულ რეგიონთა შორის იყო გუბერნიიები: „ესტლანდიისა ლუბერნია — ქალაქითურთ რეველით“; „რიუსკიისა, ლუბერნიის ქალაქით რიდით“ და „კურლანდიის, რომლისაცა პირველი ქალაქი არს მიტავა“; „ლიტვიისა, პირველი ქალაქი არს ვილნა“.

ავტორი შენიშნებდა, რომ რუსეთმა თანდათანობით დაიპყრო და თვის სახლვრებში მოაქცია მეზობელი სახელმწიფოები და მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნები: ლიფლანდია, კურლანდია, ესტლანდია და ლიტვა.

თხზულებაში აღნიშნულია, რომ დიდი მთავრის, ფანე ვასილის ძის (გარდაიცვალა 1505 წელს) მმართველობის პერიოდში მის მოხარე ქვეყნებს შორის იყო ლიფლანდიაც. მისი შვილიშვილის, დიდი მთავრის, ფანე ვასილის ძის (გარდაიცვალა 1584 წელს) მმართველობისას რუსთა ჯარმა „აღიდო ლიფლანდია, დაიპყრა და დააქციო და დაიმორჩილა მფლობელი მისი ღროსმეისტერი ვილოდელფი, სტემბერლისა ციხებითა ფელიშითურთ თვისად დაიკვიდრა“.

ავტორი მიუთითებდა, რომ პეტრე I-ის მეფობის პერიოდში, რუსეთის შემადგენლობაში შევიდა შეედეთის სამეფოს ყოფილი ნაწილები, მათ შორის ლიფლანდია და „ესტლანდია“ (იგულისხმება ესტონეთი), ხოლო მისი მოძღვნო იმპერატორების მმართველობის დროს — კურლანდია და ლიტვა.



კილნიუსი, გედიმინასის ქაში მთაზე  
(XIX საუკუნის ნახატი)

ბალტიისპირეთის რეგიონებისა და ქალაქების შესახებ მოთხრობილია იოანე ბატონიშვილის უმცროსი მმის, თუმცურაზ გიორგის ძე ბაგრატიონის (1782-1846) თხზულებაშიც. ის იყო მწერალი, მეცნიერი, რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი და ნამდვილი წევრი პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის ანტიკვართა სამეფო საზოგადოებებისა.

1836 წლის მაისის მიწურულს და ივნისის დასაწყისში, თუმცურაზმა ბალტიისპირეთში იმოგზაურა. პეტერბურგში მყოფი უფლისწული კვროპის ქვეწების მიმართულებით მოგზაურობას 26 მაისს შეუდგა. მან ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე შემდგენ მარშრუტით გაიარა: ნარვა — დერპტი (ამჟამად — ტარტუ) — რიგა — მიტავა (ამჟამად — ელგავა) — ვილნი.

თავის თხზულებაში „მოგზაურობა ჩემი კვროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ თუმცურაზი წერს: „მას დღეს, რომელ მაისის 27 იყო, ნარვას მოვდით საღამოს და ის დამე მუნ გავათვეთ. მეორეს დღეს, დილას კალასკა დავიქირავეთ, ჩავსხედით და... წარვედით, სადაც ნარვის მდინარე, რომელსაც ნორუა წწოდება, გადმოსჩერს კლდეზედა. ჯერ ზემოთ ორად იყოფება ეს წყალი და უმეტესი წილი, რომელსაც კლდეზედ გარდმოსდის გრგვლით არის ნახევარ სიმგრგვლის სახე და და იმაზედ გარდამოსჩერს. და საშინელი ხმა და ხეთქება აქვს მას მდინარესა. ხიდზედ შედგები და ისე პირდაპირ უკურებ. კარგი

სანახავი არის. ხიდს რომ გახვალ, მარცხენას მხარეს ცოტას რომ წარვლი, მეორე იგი ტოტიც კლდეზედ გადმოსჩერს და იმას გრძლათ ირიბათა აქვს გადმოსაჩერი. და დიდის ხმიანობით, მსწრაფლის კვეთებით გადმოსჩერენ ესე ორნივე ტოტი. რაღა განვაგრძო, წავედით ნარვადამაცა. ერთი სტანცია კიდევა შოსეთი განვლეთ 22 ვერსი ვაიგარამდის და მერე პესოკანი გზა შევგვედა. ექვს-ექვს ცხენს ვიბამდით კარუტაშია“.

ბატონიშვილი მოიხიბლა ლიფლანდიისა და კურლანდიის გუბერნიებში მდებარე ქალაქების — რიგისა და მიტავის შშვენიერებით. იგი წერს: „განვლეთ ლიფლანდიის ქალაქები და სოფლები, დერპტის ქალაქი, ლიფლანდიის ღუბერნიის დედაქალაქი რიგა, რომელიცა ჩინგული ქალაქი არის. იქიდამ კურლანდიის პირველი ქალაქი მიტავა, რომელიცა კურლანდიის ღუბერნიის ქალაქია, კაის ალაგს და კარგი ქუჩები აქვს. აქედამ ვაარეთ. განვლეთ კურლანდიის სამშლგარიცა და შევედით პოლშის სამშლგარშია, ვილებცის ღუბერნიაში... მცხოვრებნი... არიან ორგვარნი: ერთხო პოლშელნი სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომის კათოლიკენი და მეორე — ურიანი. მათ ურიათა შორის, რომელიმე არიან, აცვიათ ხურავთ არც გრე ჩინგულათ, მაგრამ ფული კი აქვთ... რა დაღამდა სამი ივნისისა თვისა რიცხვი, დღე თხშაფათი, დავასრულეთ სამშლგარი რუსეთისა სამპურნებელონი ტავროგენს. და მუნით განვედით სამშლგარსა შინა პრუსიისასა“.

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გამოჩენილი წარმომადგენლებისა და თავად გაბრიელ გელოვანის მიერ ზემოხსენებულ თხზულებათა შექმნა ცხადყოფს, რომ სამშობლოდან იმულებით გადახვწილ ქართველთა ინტელექტუალური ელიტა ცდილობდა მსოფლიო ისტორიისა და პოლიტიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შექმნას მშობლიურ ენაზე. შესაბამისად, იმ პერიოდში ქართველი ერის მოწინავე ნაწილს საქმაოდ მკაფიო წარმოდგენა პეტონდა ბალტიისპირეთის ტერიტორიაზე იმსანად არსებული რეგიონების, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტების, მოსახლეობისა და მართვა-გამგეობის სისტემის შესახებ.

## ნოკო პავანიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

# სტამბული ქართველები და დაზღვის ტურისტიკა

საუბრები გაშასა და ილიაზ  
ქართული კულტურის ცენტრი

სტამბოლის ქართული კულტურის  
ცენტრში დიდი ადგილი უჭირავს  
ქართული კულტურის, ხელოვნებისა  
და ლიტერატურის ცნობილ მოღვაწეთა  
შემოქმედებით პორტრეტების გაცნობას.  
ცენტრის მესვეურებმა ამ მხრივ არაერთი  
საინტერესო ღონისძიება გამართება.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლექცია სტამბოლის უნივერსიტეტის დოქტორანტმა ნანა კლიმიაშვილმა წლეულს მარტში წაიკითხა. მანამდე ანკარიდან ჩამოსულ, თურქეთში საქართველოს სრულუფლებისა და გენერალური კონსულტაციების კავშირის წევრის მიერთებით „თურქული თარგმანი წარვუდგინეთ, რომელიც 1989 წელს არის გამოცემული. მთარგმნელი აღი აღითხო გაზლავთ. მკითხველს შევხსენებთ, რომ არსებობს „მგზავრის წერილების“ თარგმანის მეორე ვერსაც, რომელიც თბილისში დაისტაბა 2007 წელს, თარგმანი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების ცენტრის მასწავლებელს, ასმათ ჯაფარიძეს ეკუთვნის.

2015 წლის 14 მარტს ოქმეიდანზე, ფერფის შენობაში მოწყო სოლიდარობის საღამო. ამჯერად ეს ვაჟა-ფშაველას გაცნობა-გაზხენება გახლდათ სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველას ლექსებიდან მხოლოდ „არწივი“ არის თარგმნილი თურქულად, თითოების არ ვიცხობთ მის პაროხას. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ თარგმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათა ცენტრის მასწავლებელმა მერი წიკლაურმა, მაგრამ ჯერ არ გმოქვენებულა. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების თურქულ ენაზე არქონა, ვიტრობ, დიდი დანაკლისია აქაური ქართველებისთვის, რომელთაც, ცნობილი მიზეზების გამო, მშობლიური ენა არ

კართველი ანგარიში  
აბგდევზოგოვრებული  
ოკლმნკჲ  
ოსტუფევლე  
შჩცდჭჭხჲ  
GEORGIAN ALPHABET

**GÜRCÜCE DİL KURSU**  
(Okuma, Yazma, Pratik Gürcüce)  
Öğretmen: Natalia DVALI  
Saat: 19:00-21:00 (Her Çarşamba)  
Başlama Tarihi: 05/11/2014

**İrtibat Tel:** 0532 286 92 82 - 0535 944 93 29 - 0532 526 98 94 - 0533 483 86 95  
**Adres:** Kartaltepe Mah Namık Kemal Cad. Kısa Sok. No:3 Sefaköy/İstanbul

იციან. მწერლის შესახებ ინფორმაციის სიმწირე თავისი გამოსვლისას შეავსო პროფესორმა ნანა კაჭარავამ, რომელიც ქალაქ დუშევედან გვესტუმრა და ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა. ნანა კაჭარავა ამჟამად დუშევეს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პროფესორია. მან ბევრი რამ მოგვითხოვ დიდი ვაჟა-ფშაველას შესახებ — რომ მის შემოქმედებაში ბუნება და ადამიანი ერთ მოლიანობადაა წარმოდგენილი, რომ მის ნაწარმოებებზე დიდი გავლენა აქვს მითოლოგიას, მთაში არსებულ ადათებსა და წეს-ჩვეულებებს; გვესახერა ვაჟას ზოგადსაკაცობრიო იღებსზე; მოგვიყვანა მაგალითები ვაჟა-ფშაველას ლექსებიდან, მოთხოვნებიდან, პუბლიცისტური წერილებიდან. საგულისხმოა, რომ მომხსენებლის დაწყებულ ლექსებს ამთავრულებრივ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები. პოეტის სატრუიალო ლირიკაზე საუბარი დასრულდა ვაჟას ლექსებზე შექმნილი შევენიერი ქართული სიმღრიით „გამოღმით მევარ, გაღმა შენ“.

საქართველოში კარგად იცნობენ თურქულ ლიტერატურას, მაგრამ თურქეთში ქართული ლიტერატურა, პროზა, პოეზია ნაკლებად არის ცნობილი. პირველად თურქულ ენაზე ფრიდონ ხალგაშის ლექსები დაიბეჭდა. მისი კრებული „ბოლოს და ბოლოს“ ჯერ კიდევ 1988 წელს გამოიცა. ლექსების პწყარედი ეკუთვნის აბ-

„ისტორიანის“ რედაქციაში თურქთადა დაგვიკაუშირდა სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის წარმომადგენლი და თურქთა დედაქალაქში გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოგვწოდა. ბატონ გურამ ხიმშაველის სიამოუნებით კუთმობით აღვიდა.

დურაპშან ჩეთინკაას (ილია ნიმშიაშვილის), ხოლო გარითმა ცნობილმა თურქმა მწერალმა ფაქირ ბაიქურთმა. მოგვანებით, 1998 წელს, გამომცემლობა „სინათლემ“ დასტაბბა ფაპრეთის ჩილოდლუს მიერ მომზადებული „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“. მასში ვკითხულობთ გალაკტიონ ტაბიის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, თამაზ ჭილაძისა და ეკა ბაქრაძის თურქულად თარგმნილ ლექსებს. დათო მაღრაძის ლექსები თარგმნებს და წიგნად გამოსცეს მანანა გურგენიძემ და ემრუფ ილმაზმა. ბილალ დინდარმა კი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვითარგმნა. წლების განმავლობაში ჟურნალებში „ჩვენებური“ და „ფიროსმანი“ იბეჭდებოდა ქართველი მწერლებისა და პოეტების თარგმანები.

საქართველო გახდა ქავება, სადაც კითხვას, განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ხოლო ლიტერატურაში პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. თურქული პოეზიიდან ქართველი მკითხველი იქნობს მიპრი ხათუნის, ნაზიმ ჰიქმეთის, ორპან ველისა და სხვათა პოეზიას; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთცოდნების ფაკულტეტის ჟურნალ „არმაღანში“ წლების განმავლობაში იბეჭდებოდა აღმოსავლეთის მწერლებისა და პოეტების თარგმანები. თურქული პროზიდან ქართველი მკითხველითვის ცნობილია საბაჲთინ ალის, ომერ სეიფედინის, იაშარ ქემალის, ფაქირ ბაიქურთის, ორპან ქემალის, ჰალდუნ თანერის, აზიზ ნესინის, აიშე კულინის, ოია ბაიდარის, ელიფ შაფაქის, ორპან ფამუქისა და სხვათა ნაწარმოებები. საქართველოში საქმაოდ კარგად იცნობენ თურქულ ლიტერატურას. თით-

ქმის ყველა უნივერსიტეტში არსებობს თურქოლოგიის განყოფილება. ქვეყანას აქვთ ძლიერი თურქოლოგიური სკოლა, რომლის გამოხრდილი თურქოლოგები წარმატებით თარგმნიან თურქული ლიტერატურის ნიმუშებს.

ქართული კულტურის ცენტრის ორგანიზებით, 2015 წლის 23 მაისს არის დაგეგმილი სტამბოლში ცნობილი ქართველი თურქოლოგის, ჰალდუნ თანერისა და ორპან ფამუქის უბადლო მთარგმნელის, თურქულ-ქართული აკადემიური ლექსიკონის რედაქტორის, საქართველო-თურქეთის სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების თაგმედომარის, პროფესორ ლია ჩლაძის სტუმრობა (ჟურნალის ნომერი სტამბაში ჩაბარებულია 10 მაისს. — რედ.). 80 წლის მეცნიერი კარგად იცნობდა თურქეთში მცხოვრები ეთნოკურო ქართველების დიდ მოამაგეს აპმედ ოზეან მელაშვილსა და ჰაირი ჰაირიოვლუს (გახტანგ მალაშვაძეს). დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, მოისმნონ ლექცია თემაზე „თურქული ლიტერატურა საქართველოში“.

ქართული კულტურის ცენტრში მოქმედებს დედაენის — ქართული ენის კურსები და სტამბოლის სხვადასხვა უბანში თურქეთის თანამებამულებებს დედაენას ასწავლის. კურსების პირველი მასწავლებელი იყო ქალბატონი მანანა გურგენიძე. ახლა ორ უბანში, ბაგჯილარსა და სეფაეის კურსებზე ასწავლიან ქალბატონები ნანა წიკლაური და ნატალი დვალი. ქართული ენის შემსწავლელი კურსები კიდევ ცენტრალურ აღგილზე იხსნება — ტაქსიმის მოედანზე და ბაკირკეის უბანში.

### **მუსტაფა იაკუთი (გურამ ნიმშიაშვილი)**

აპმედ მედლაშვილის გარდაცვალების 34 წლისთვის სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრში



# რუსუდან ფეტვიაშვილის მხატვრობის . „ისტორია“

რუსუდან ფეტვიაშვილი ორი წლიდან ხატავს... პირველ გამოფენას თბილისში, 6 წლისა, ნამდვილი მხატვარით მასპინძლობდა. საყოველთაო ფურადღება მისმა ნახატებმა მაშინვე მიიქცა. უამრავი ერთმანეთისგან განსხვავებული ფიგურა, სახე თუ არამიწიერი თვალი მნახველს იზიდავდა. ზოგი ამ ფიგურებს ანგელოზებად აღიქვამდა, ზოგი ღვთიურ თუ მითურ არსებებად... ერთი კი ის იყო, რომ აღფრთოვანებას არავინ ფრავდა. 6 წლისამ ჯერ მოსკოველები „გააგიჟა“, მერე კი მრავლისმნახველი პარიზელები. პარიზის მაშინდელი მერი ვერაფორით დაჯერეს, რომ ეს ლამის მთელი სამყაროს დამტკვი თითო ნახატი პატარა ქართველ გოგონას ექუთვნოდა. ამოუცნობ ფერომენად აღიქვეს და ასე გრძელდება დღემდე.

რუსუდან ფეტვიაშვილის მისტიკურ თუ ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი ნახატები დღეს გამორჩეულად ხიბლავს მსოფლიოს. უცხოეთში ხშირად იწვევენ ცნობილი საგამოფენო დარბაზები. გამორჩეულად პარიზი უყვარს და მორიგ გამოფენას მაღლე სწორედ პარიზი უმასპინძლებს. მანამდე კი ქართველი ხელოვნების მიყვარულთ საშუალება პერნეათ, ხელოვნების სასახლის საგამოფენო დარბაზში კვლავაც ქსილათ რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევართა გამოფენა და მხატვარსაც შეხვედროდნენ. ორი კვირის განმავლობაში ქალაბრონი რუსუდანი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ქართველ დამთვალიერებელთან შესახევდრად. „ისტორიანსაც“ რუსუდან ფეტვიაშვილი პერსონალურ გამოფენაზე ესაუბრა.

— დიდი ხანია, თბილისს თქვენი გამოფენისთვის არ უმასპინძლია. რატომ შეარჩით ხელოვნების სასახლე?



— ამისთვის არსებობდა წინაპირობები. ჩემი გალერეა 2000 წელს აღმაშენებელზე გაიხსნა. როცა გამზირის რეკონსტრუქცია დაიწყო, საქართველოში არ ვიყავი. საჭირო გახდა გალერეადნან ნახატების გატანა, მაგრამ იყო კედლებში ინსტალირებული ნამუშევრები („სამება“, „დღე და ღამე“), რომელთა გამოტანა ვერ მოხერხდა. ბატონ გიორგი კალანდიას (სასახლის დირექტორს) დაუნახავს, რომ ხელოსნები უკვე მუშაობრნენ და ეს ნამუშევრები ფუჭდებოდა. სასწრაფოდ დაუკავშირდა ჩემს მეუღლეს და შესთავაზა, კედლებიდან „აეჭრათ“ და ხელოვნების სასახლეში გადმოეტანათ. ნამდვილად მაღლობელი დავრჩი. ასე შევმატა ჩემი ორი ნამუშევარი სასახლის სახვითი ხელოვნების ფონდის საცავს. ჩვენი თანამშრომლობა აქედან დაიწყო და აქაურობისადმი ჩემმა კეთილგანწყობამ გადამაწყვეტინა პერსონალური გამოფენის ამ სასახლეში გამართვა.

— მალე საფრანგეთი კიდვე ერთხელ უმასპინძლებს თქვენს ნახატებს...

— დღახ, ნამუშევრებს მუდმივად გამოვტენ საზღვარგარეთ. ბათუმშიც მაქვს პატარა მუდმივმოქმედი გალერეა, მაგრამ თბილისში თითქმის ხუთი წელიწადია, გამოფენა აღარ გამართულა. ვიფიქრე, როდის შევკრებ ასე, პერსონალური გამოფენისთვის ერთად ამდენ ნახატს... თორმეტსაათიანი რეჟიმი მაქვს, ძალიან ბევრს ვმუშაობ ყოველდღიურად, თითოეულ ნამუშევარს ძალიან დიდი დრო და ენერგია მიაქსე... საფრანგეთში მალე ჩემი ორი გამოფენა მოწყობა, ერთი პარიზში, ხოლო მეორე — სენ-ტროპეში. რადგან ნახატები უკვე მზად მქონდა, ვიფიქრე, მანამდე თბილისში მოგაწყობ პერსონალურ გამოფენას-მეტე.

— საფრანგეთში თქვენი ნამუშევრები მხოლოდ გამოიფინება თუ დამთვალიერებელს შეძნაც შეძლება?

— ზოგადად, ყოველთვის გამოფენა-გაყიდვაა, თუ მუზეუმი არ მასპინძლობს ნამუშევრებს. მაგალითად, კიევში რომ მქონდა გამოფენა შარშანწინ, მუზეუმში, იქ ნახატები არ იყიდებოდა. გალერეებსა და სალონური ტიპის გამოფენებში, როგორც წესი, გამოფენა-გაყიდვა ყოველთვის ეწყობა. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ძირითადი ნამუშევარი მიმაქს საფრანგეთში და ვფიქრობ, უკან ბევ-


რი აღარ დაბრუნდება. მასალას რაც შევხება, აქ არის ხელოუნიური ეტრატი, აბრეშუმი, ტილო, ტემპერა, ზეთი და რამდენიმე აკვარელი, ერთფიგურიანი. ჩემი როული აკვარელები ყველა გაყიდულია.

— ექსპოზიცია მამას მიუძღვენით...

— დღახ, მამა ჩემთვის ძალიან დიდ საყრდენს წარმოადგენდა... სამწუხაროლ, წლეულს, თებერვალში დაგვტოვა. უშიშარი კაცი იყო, იმიტომ, რომ კეთილი იყო და როცა კეთილი ხარ, არაფრის გეშინია. წარმატებული მოქანდაკე და ტიტულოვანი მორაგბეც იყო. 15 წელიწადს ხელმძღვანელობდა რაგბის გუნდ „ლოკომოტივს“. ხელოვნება ძალიან უყვარდა. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ვინც იცნობდა, ყველა დამჟანებება, რომ იყო ძალიან თავმდაბალი და დიდ, კეთილ გოლას ჰყავდა... სულ მეუბნებოდა, სანამ საზღვარგარეთ წაიღებ ამ ნახატებს, იქნებ ერთი გამოფენა თბილისშიც მოწყოო. ჩემი გალერეა ხომ აღმაშენებელზე უკვე დაიხსრა და შემდგომ მისი რეკონსტრუქცია ვეღარ მოხერხდა. კულტურის სამინისტროც დაგვპირდა, მერიაც, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოდის. რვა თვეში უნდა აღედგინათ და ორ წელიწადზე მეტი გავიდა. გამოდის, მამას თხოვნაც შევუსრულე და თან მას მთვარებენი ეს გამოფენა, რადგან ვიცი, რომ ყველაზე მეტად მას გაახარებდა...

საგამოფენო დარბაზში, აპტორის ზოგოვრი





**ძალიან მიყვარს „კიბე“, ეს ნახატი შესრულებულია აბრუცულებზე აკვარელით და ტექშით, იგი ჩემთვის ძალიან ნაზი, ძვირფასი და მნიშვნელოვანია...**

— მამა როგორ შეხვდა იმ ამბავს, რომ მისი პატარა გოგონა მხატვრობას აპირებდა? ბატონი გხხტანგი ხომ მოქანდაკე იყო...

— სულ ჩემ გვერდით იდგა. როცა ხატვა დაიწყე, წლისა და 10 თვის ვიყავი. პირველი პერსონალური გამოფენა 6 წლისას მომიწოდ. ქალბატონმა ელენე ახვლედიანმა გახსნა... სხვათა შორის, აქაც გვაქვს პატარა კუთხე, სადაც ის ბავშვობისძროინდელი ნამუშევრები გამოიფინეთ, რომლებიც წარმოდგენილი იყო პირველ, მეორე, მესამე და მომდევნო გამოფენებზე. მამა ყოველთვის მხარს მიჰყრდა, მეუბნებოდა, ხელოვანი უშიშარი უნდა იყოს, მას მუშაობის დროს თავისუფლება და საკუთარი თავის რწმენა სჭირდება. კარგ მხატვარს უსაზღვრო ფანტაზია უნდა ჰქონდეს... ერთი სიტყვით, ყოველთვის სასიკეთო რჩევებს მაძლევდა. გარდა ამისა, მასალებით მამარაგებდა ხოლმე: აკარელი, ქალალი... ბავშვობაში, მახსოვს ერთხელ მისმა მეგობარმა გამომცემლობა დახურა, მამამ კი სტამბიდან მომიტანა მთელი სატეირო მანქანა ქაღალდი, იმიტომ რომ იცოდა, ქაღალდს ვანადგურებდი, იმდენს ვმუშაობდი, იმდენს ესატავდი, აღარ მყოფინდა... მართლა სავსე იყო სატეირო მანქანა ქაღალდით, ეზიდებოდნენ, მთელი ოთახი

გაივსო. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ბედნიერი დღე.

— თქვენს გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს. განსხვავებულია ქართველი და უცხოელი დამთვალიერებლის დამოკიდებულება თქვენი ნამუშევრებისადმი?

— ჩემი ნამუშევრებით დაინტერესებული დამთვალიერებლები, ეთნიკური სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთის საგრძნობლად ჰგვანან. უმრავლესობა ისეთია, ვისაც ნამუშევრების დათვალიერებასთან ერთად ფიქრი და სიახლის აღმოჩენა უყვარს. ჩემთვის დამთვალიერებლის სამი კატეგორია არსებობს:

— პირველი, ვისაც შორიდან კურება უყვარს და მხოლოდ განწყობას იქმნის. ისინი, მირითადად, ფერად და ერთფიგურიან ნახატებს ანიჭებენ უპირატესობას;

— მეორე კატეგორიას მრავალფიგურიანი, დეტალებით სავსე ნახატები უჩიქვნია. ისინი კითხვებს მისვამენ და ხშირად მიყვებიან, რა დაინახეს ნახატში.

— არსებობს მესამე კატეგორია, მათ გრაფიკული ნამუშევრები მოსწონთ, მკაფიო ხაზი, უწევეტი, ერთი ხელის მოსმით აგებული ფიგურა. ეს უკანასკნელი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ფანქარში, არამედ ფერშიც, ვთქვათ, ტილოზე, აკვარელში, ტემპერაში, აბრუშუშზეც ხაზს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ხაზია წამყვანი, იგი იძლევა ფიქრის სწრაფ საშუალებას, სწრაფი ნაფიქრი კი სწრაფადვე გადადის ნებისმიერ ფორმატზე. შემდეგ მოდის ფერები განწყობის შესაქმნელად...

ხატვისას ყოველთვის ვცდილობ, გაწონასწორებული და კეთილგანწყობილი ვიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშაობას არ ვიწყებ და ვერც შევძლებ. მუშაობისას მაქსიმალური კონცენტრაცია მჭირდება, უნდა ვიყო მშვიდად. მაგრამ არის მომენტები, როცა ემოციები და ფიქრები გიგროვდება, რაღაც გაქვს მოსაყოლი. აი, ამ დროს, განწყობის მიხედვით, ნახატში შესაბამისი ფერი ჭარბობს. ამავევა დამოკიდებული ფორმა, ზომა და მასალა.

— აქ წარმოდგენილი ექსპონატებიდან შეგიძლიათ დაგვისახელოთ თქვენთვის ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ნამუშევარი? თუ ყველა ერთნაირად ძვირფასია და საყვარელი?

— შეიძლება ითქვას, რომ ყველა ნამუშევარი ძვირფასია. ყველა მიყვარს და მათთან განსაკუთრებული ემოციები მაკავშირებს.

„სიყვარული“



օմուլոմ, րոմ մայսօնմալյուր մալուսեմշաս զգեծ տոտուցյալ մատցան՛նո. Ի՞մո զբելա նախակո ფոյերուն, յետյիսահմուսա դա մշառես Մշառեց գագ օյմենեա. Ամուլոմ օյազենեն հեմե ցըլմու աջուղուն. մալուս մոյցարև „քածե“, յե նախակո Շերսրուլցելուա ածրովամթե ացարելուու դա թշմուտ, ոցո ի՞մետցուս մալուս նախո, մշորցասո դա մնոմշնելուանօ...»

— Ի արուս տյշենտցուս մշառես პրոցես?

— յե ի՞մետցուս մեռլուգ մշառես ար արուս, յե ծյունենուզո პրոցեսուա, տյուտցամուսեալուս սամշալցեա. օցո օյստոց աշուցուլցելուա ի՞մետցուս, րոշորու սյոնտյեա, տցալուս դա նախամենեա, նյոլուս դալցա, շոմշոնկացուա... յե ի՞մետցուս արուս մոյլու ցեղոցրեա...»

\*\*\*

« Ի արուս տյշենտցուս մեռլուգ մշառես ար արուս, յե ծյունենուզո պրոցեսուա, տյուտցամուսեալուս սամշալցեա. օցո օյստոց աշուցուլցելուա ի՞մետցուս, րոշորու սյոնտյեա, տցալուս դա նախամենեա, նյոլուս դալցա, շոմշոնկացուա... յե ի՞մետցուս արուս մոյլու ցեղոցրեա...»

Յոյշրոծ, րոմ զբելացուրո զեր օտյեա, ծըշրո ճարիս ալունիրելու դա մշոյցասեծելու.... ալծատ զբելա ճամտցալուրելու ս, „սակյուարու“ րշայուսան յոյշրուամշուլու էպաց. ի՞մետցուս օցո սոյցարյուլուս դա սօմմանուս մեսալցարուա, դյուլուց ալուց ածուալու սոյցունութիւն. Սոյցերու դա տան նաշնուս սամցարուս մշոյմենելու. սամցարուսու, րոմելու ցաս դա մոյնաս մշորուսա մուաց սեծելու դա սիրուն ամուլոմ յերտարույլու սոյցերու դա տան ածուալուց պատճա. ան օյնեն յե օւ սամցարուա, ածամինս մոյցնու րոմաս, դա մեռլուգ ճիշյուտատցուսա եօլուլու. »

Ծակար, սյուրյուն նախալցես դա ցրմենօ, րոմ մեսալցունմա օմ սակյուն քայունութիւնամո ցացանելու, րոմլուս յարսաց տապագ զեր ալց դա րոմելու ցուու սաօլումլուս մալցաս. Կայրոցն օմ և սնալցուուց յոյցուրյես մոյեր մուլանուլ, արամիշյունուր յոյշրութիւն իսացլուլու ցակար դա սյուրյուն, սանմ մմանու եմա ար ցմորցաց եօնթուց յուն: „Ճուանուս ցուուտ, ցալցրյա օյքունեա“...

**ԿԱՊՈԱ ՀԱՄԱԳՈՎԱԼՈ**

տես կը լուսաբու



„ՀՈՅ  
ՀԱ  
ՀԱԺԻ“

# რარიტეტული წიგნი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“

სკეტიც ხოჯელი.  
დმიტრი ერაკევის  
ფოტო წიგნიდან  
„მცხეთა და  
მისი ტაძარი  
სკეტიც ხოჯელი“



№ 1789. Всено-Грузинская дорога. Общий видъ мѣхетскаго собора съ колокольней. 36

რედაქციაში რარიტეტული წიგნი მოიტანეს. აი, ისეთი, სურვილს რომ გაგიჩენს, მკვლევრის თეთრი ხელთათმანი მოირგო, გადაფურცლო და საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდში ამოჰყო თავი. წიგნი 115 წლის შემდეგაც შთამბეჭდავად გამოიყურება. აუტორი „ვინმე“ (თუ რატომ „ვინმე“, ამაზე ქვემოთ) ნატროვებია, წიგნს კი ასე ჰქვია — *Мцхета и его собор Свэти-Цховели („მცხეთა და მისი ტაძარი სკეტიც ხოჯელი“)*). რუსულ ენაზე შესრულებული ეს ფუნდამენტური ნაშრომი 500-ზე მეტ ნაბეჭდდა და უამრავ უნიკალურ ილუსტრაციას შეიცავს. ტაძრებისა და მათი დეტალების ფოტოსურათები წიგნში აკურატულად არის ხელით ჩაკრული. რამდენიმე ისეთ ფოტომსალასაც წავწერით, რომელიც სხვაგან არსად შევხვდირა. „იღბლიან“ მფლობელს ვთხოვეთ, რამდენიმე დღით საშუალება მოეცა, ამ რარიტეტს გავცნობოდით.

„ვინმე“ ნატრიევი სულ მალე გახდა ჩვენთვის ისეთივე საამაყო მამულიშვილი, როგორებიც იყენენ მისი, ანუ ანტონ ნატრიშვილის თანამედროვენი და მეგობრები: იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ქორდანია, ნიკო ცხვედაძე, ვასილ ბარნოვი, მოსე ჯანაშვილი... ეს მოღვაწენი თავიანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით თანამებამულებს შეახსენებდნენ, რომ მათი საშმობლო ის ქვეყანაა, რომელსაც აქვს მდიდარი წარსული, მრავალსაუკუნოვანი კულტურა, საკუთარი დამწერლობა, ენა და ლიტერატურა და რომ ყოველთვე ამისთვის

ღირს თავდადება... ვესაუბრებით ქალბატონ ელენე აბაშიძეს — რარიტეტული წიგნის „იღბლიან“ მფლობელს, ამ წიგნის ავტორის პირდაპირ შთამომავალს, მისი ქალიშვილის, ელენე ნატრიშვილის შვილიშვილს,

**ელენე (ლელი)** აბაშიძე, ფილოლოგი — ის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: — ჩვენს წინაპართაგან ბევრია ისეთი, ვისი ღვაწლიც დავიწყებას არ იმსახურებს, მაგრამ სამწესაროდ, მათ შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცის. მათ შორის არის ჩემი დიდი პაპა ანტონ ნატრიშვილი.

— რა იცით თქვენი დიდი წინაპრის შესახებ?



ნის წინანდელ საქართველოში წარმოიდგენს,  
იქ იმდენი რარიტეტული ნივთია...

— ჩემი დიდი წინაპრები ვეძათ ხევის ქუჩა-  
ზე ცხოვრობდნენ. გასული საუკუნის 30-იანი  
წლების რეპრესებს ვერც ისინი გადაურჩნენ  
(ანტონი 1930 წელს გარდაიცვალა, თორემ  
ალბათ მასაც მოუწვდა დაზერუტა თუ არა,  
გადასახლება მაინც). ამ ავეჯის დიდი უმე-  
ტესობა მეზობლებს გადაუნახავთ და როცა  
„ქარიშხალს“ გადაუვლია, მერე მოუტანიათ  
ახალ სახლში. მართალია, ახლა მათ ფუქებზე  
არ ვცხოვრობთ, მაგრამ შეგვიძლია ვიამა-  
ყოთ, რომ ამ მოჩუქურთმებულ საგარმლებში  
მსხდარან იღლა ჭავჭავაზე, იაკობ გოგებაშვი-  
ლი, ვასილ ბარხოვი, გიორგი ლეონიძე (ან-  
ტონის მოწაფე); მამის მხრიდან ჩემი პაპის,  
კოკი აპაშიძის მეგობრები: შალვა დადიანი,  
პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კიტა  
აპაშიძე, ვეგენი მიქელაძე...

— ანტონ ნატროშვილის სახელს არაერ-  
თო გამოკვლეულ თუ წიგნი უკავშრდება. მათ  
შორის უმთავრესი ალბათ 1900 წელს გამო-  
ცემული წიგნია...

— ალბათ ეს წიგნი საუკეთესოდ და ავტო-  
რიტეტულად შეაფასა ანტონ ნატროშვილის  
ქალიშვილმა ლიდიამ თავის მონოგრაფიაში:  
„ეს არის ანტონ ნატროშვილის ყველაზე უფ-  
რო დიდი და პოპულარული თხზულება. შე-  
იცავს 500 გვერდს, შემკიბილია სურათებით,  
მცხეთის ტაძრის კედლებიდან გადმოლებული  
წარწერებითა და ჩუქურთმებით და, რაც უფ-  
რო მნიშვნელოვანია, მრავალი კომენტარით. ამ  
წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აცხადებს,  
რომ მას დასჭირდა დიდმალი საარქივო მა-  
სალის გამოძებნა სხვადასხვა წეაროებიდან,  
მათი შესწავლა და გამოქვეყნება, რომ ის  
პირველი აქვეყნებს ამ დოკუმენტებს, გუჯ-  
რებს, სიგელებსა და მანუსკრიპტებს. შეაქვს  
ისინი ციტატებისა და კომენტარიების სახით  
ამ შრომაში. ამასთანავე დასძენს, რომ ამას  
აკეთებს, რათა გაუადვილოს საქმე მომავალ  
მკვლევარებს.

ერთი გადახედვითაც ჩანს, რა დიდი შრომა  
და ცოდნა დასჭირდებოდა ავტორებს ამ ნა-  
წარმოების შესასრულებლად. მცხეთისა და  
მისი საკათალიკოსო ტაძრის თავგადასაბალი  
— ეს ხომ მოელი საქართველოს ისტორიაა,  
დაწყებული უძველესი დროიდან.

და ამას ყოველივეს ავტორი აღწერს არა  
მშრალი აკადემიური ტონით, არამედ აღფ-



ელისაბედ (ლიზა) ნაცვლიშვილი — ანტონ  
ნატროშვილის ძევულება და მისი ნაქარგი „შოთა  
რუსთაველი“





როგორც მას სულით და გულით ენატრება, რომ მას სულით და გულით ენატრება ამ დიდებული ქართული სულისკვეთების ძეგლის აღდგენა. და აი, აკი მოყლ შემოსავალს ამ გამოცემისას სწირავ „სვეტი ცხოველის“ რესტავრაციის საქმეს. ამავე დროს უნდა იოქვა: მცხეთის ტაძრის, მისი დეტალების,

ელენე აბაშიძე: ჩვენს წინაპართავან ბერის დგანტლი არ იძსაზურებს დაზიწვებას, მაგრამ სამწერალო, მათ შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცის. მათ შორის არის ჩემი დიდი პაპა ანტონ ნატროშვილი

საუცხოო ორნამენტებისა და ჩუქურთმების, წარწერებისა და სხვადასხვა ფრაგმენტების ფოტოაპარატით გადაღება, დაბეჭდვა და გამოქვენება პირველად თავს იღვა ანტონ ნატროშვილმა.

ამას უნდა დავუმატო ისიც, რომ ამ უამრავ ისტორიულ ტექსტებს, დაწერილს ძველი ქართული საეკლესიო ენით, იგი სთარგმნის რუსულად და როგორ კარგად“.

— როგორ აფასებდნენ თანამედროვენი ანტონ ნატროშვილის ამ მართლაც დიდი ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომს?

— ანტონ ნატროშვილს მისი თანამედროვენი მიიჩნევდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურული ძეგლების საუკეთესო მცოდნედ. როცა გასული საუკუნის 20-იან წლებში რეს მეცნიერთ და ხუროთმოძღვართა ჯგუფი ჩამოსულა ქვეყანაში, მათ იმ დროისთვის სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს წარმომადგენლობა, ჯონ ლლივერ უორდროპათან ერთად მოესურებდით მცხეთისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება. მათი მეგზური სწორედ ანტონ ნატროშვილი ყოფილა. როცა ლლივერ უორდროპს მოუსმენია ანტონ ნატროშვილისთვის და უნახავს მისი წიგნი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“, აღფრთოვანება კურ

## ანტონ ნატროშვილი

(1852-1930)

დაიბადა ზემო მაჩხაანში, მღვდლის — ივანე ნატროშვილის ოჯახში. დედა — თეონა, გურჯაანელი მღვდლის ქალიშვილი იყო. ანტონმა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, შემდგე კი თბილისის სასულიერო სემინარი. წარჩინდით კურსდამთავრებულს უფლება მიენიჭა, სწავლა პეტერბერიების სასულიერო აკადემიაში სახელმწიფოს ხარჯზე განვითარდა. ხალხოსნური იდეებით გატაცებული, თავისიერ სოფელში აპირებდა სკოლის მასწავლებლობას, მაგრამ სემინარიის რექტორმა დაარწმუნა, სასწავლებლად გამგზავრებულიყო და ისიც ფაზანის აკადემიაში ჩაირიცხა, რაღანაც იმ ქალაქში თავისი და ეკ-

ულებოდა, პოლკოვნიკ მოსკვინზე გათხოვილი ნატალია. აკადემიის წარჩინებით დასრულების შემდეგ სამარის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად გაამწესეს. ზაფხულში მცირე ხნით სამშობლოში ჩამოვიდა და დაქორწინდა ელისაბედ ნაცელებელზე — თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებულ შევენიერ ახალგაზრდა ქალზე.

სამარაში მყოფს გული საქართველოს კუნძულებიდან 1884 წელს ქუთაისში გადმოიდა სასულიერო სასწავლებელში ბევრად უფრო დაბალ თხამდებობაზე. ქუთაისში 34 წელიწადს იმუშავა და საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურა. მოაპოვა სტატსკი სოფელინიის ჩინი, დაჯილდოვდა წმინდა კლადიმირის, ანასა და სტანისლავის ორდენებით. მიანი-



ამ საკარძლებში სხვადასხვა დროს მსხდარან იღვა ჭავჭავაძე, იაქობ გოგებაშვილი, გასილ ბარნიფი, გიორგი ლეიონიძე, შალვა დადაიანი, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კიტა აბაშიძე, გვენი მიქელაძე... უნიდონ გაგუშიძის აზოტოვები

დაუფარავს და უთქვამს, კარგი იქნებოდა, ეს წიგნი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც რომ ინახებოდესო. ანტონსაც უჩუქებდა ბრიტანელი დიპლომატისა და მთარგმნელისთვის წიგნის ეგზემპლარი და დარწმუნებული ვარ, ახლა იგი კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

— ანტონ ნატროშვილის სხვა წიგნების შესახებ გვიამბეთ.

— ეს გახლავთ 1901 წელს გამოცემული Иверский монастырь на Афоне в Турции („იბერიის მონასტერი ათონის მთაზე თურქეთში“). ეს ის პერიოდია, როცა ათონის მთა თურქეთს ეკუთვნოდა. ამ წიგნის შეფასება-

ჟეს დამსახურებული მასწავლებლის წოდებაც.

1917 წელს სასულიერო სასწავლებლის დირექტორად აირჩიეს და მაშნევე შეუძგა მის რეორგანიზებას. დროებითი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა წარადგინა სასულიერო სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთდისა და მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ. შუამდგომლობა დააკმაყოფილეს და როგორც აღნიშნავდნენ, იმ პერიოდში ეს იყო ქართული სკოლის ნაციონალიზაციის პირველი მაგალითი.



1918 წლიდან ანტონ ნატროშვილი მშობლიურ მაჩხაანს გაემგზავრა, სადაც მოსამართლედ აირჩიეს. ოთხი წლის შემდეგ კვლავ სკოლას დაუბრუნდა. ბევრი რამ გააკეთა თავისი სოფლისთვისაც. დიმიტრი მაჩხანელთან ერთად ითავა მაჩხაანში პირველი სააგადმოოფოსა და აფთაქის აშენება-გამართვის საქმე, ასევე სამომხმარებლო კორპორაციის მოწყობა.

გარდაიცვალა 1930 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



„ქართველთა გათვე გამთა შინა დედაკაცი ვინე ტეუედ  
ქმნილი ჭაშმარიტების მიმართ წინამძღვან ექმნა“  
(წარწერა წმინდა ნინოს ხატზე ანტონ ნატროშვილის  
წიგნიდან)

საც ლიდია ნატროშვილის მონოგრაფიიდან გაგაცნობთ: „ესეც კარგა მოზრდილი წიგნია. შეიცავს 455 გვერდს. მოგვითხრობს ათონის მონასტრის დაარსების ისტორიას საბერძნეთში X საუკუნეში ქართველი ბერების მიერ.

ესენი არიან ძევლი ქართველი მწიგნობრები და მწერლები: დიდი სტრატეგი — ოორნიკე ერისთავი, იოანე ივერი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.

ათონის მონასტერი მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ განათლების ცენტრას შორეულ საბერძნეთში, რომელიც ინახებოდა საქართველოს სარჯიო და რომელშიც აღიზარდა მრავალი ღირსეული ქართველი ადამიანი: მწერლები, ფილოსოფოსები და პოეტები. მაგალითად, სახელგანთქმული იოანე პეტრიწი და საქართველოს სიამაყე — შოთა რუსთაველი, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგებერძნები უკანონოდ დაეპატრონენ მას. ეს თხზულება წარმოგვიდგენს ერთის მხრივ დავას ქართველი ბერებისა ბერძენ ბერებთან და საზოგადოდ იცავს ისტორიულ სიმართლეს.

ავტორი ამბობს წინასიტყვაობაში, რომ ეს შრომა მან იყისრა მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მოუტანოს სარგებლობა შეძლებისდაგვარად თავის მრავალტანჯულ სამშობლოს.

ავტორს აქაც მოჰყავს დიდი ძალი ისტორიული საბუთები, ამოკრეფილი სხვადასხვა არქივებიდან“.

ათონის მონასტერსა და მის ისტორიას ანტონ ნატროშვილმა კიდევ ერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა, რომელშიც განხილულია თურქებთან დავა ამ მონასტრის ქართველებისთვის კუთვნილების შესახებ.

ქართველ ბაგშვებს ანტონ ნატროშვილმა მშობლიურ ენაზე შეუდგინა საღმრთო რჯულის სახელმძღვანელო.

იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იბრძოდა თამარის ანუ ალაზნის არხის აღდგენისთვის, მაჩხანში დააარსა პირველი სამომხმარებლო კოოპერაცია, რომლის დახმარებითაც მოსახლეობას შეეძლო თავიანთი პროდუქცია ჩარჩ-ვაჭრების გვერდის ავლით გაყიდა, ამ მიზნითე შექმნა მეცხვარეთა კაშშირი და მრავალი სხვა.

\* \* \*

ანტონ ნატროშვილი საინტერესო მოხსენებით წარდგა სრულიად რუსეთის ექიმთა და



11083 Михеї. Царське сідіння та освячені фресками на южній стіні храму. 158

წიგნში ამ იღუსტრაციას ახლავს წარწერა: „სამეფო მოსახუნებელი ტაძრის სამხრეთ კედელზე დარჩენილ ფრუსტებიან ერთად“

ბუნებისმეტყველთა XIII ერილობაზე, რომელიც 1913 წელს გაიმართა თბილისში. ქართველმა მეცნიერმა ყრილობას უმპო, როგორ წარწყდა შემთხვევით, 1881 წელს ივრის ხეობის დათვალიერებისას ჭაჭუნას ტყეში აბრუშუმის პარკებს თუთის ხევბზე, ბუნებრივ პირობებში. აღნიშნა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველო, მოსაზღვრულ ქვეყნებთან ერთად, აბრუშუმის ჭიის სამშობლო უნდა იყოს, რადგანაც აյ აბრუშუმის ჭია ბუნებრივ პირობებში მოიპოვება.

1890-იან წლებში, როცა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ თბილისში საეკლესიო მუზეუმი დააარსა, სამუზეუმო კომიტეტში ანტონ ნატროშვილიც შეიყვნა. კომიტეტის წევრები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ქორდანია, არქიმანდრიტი ლეონიძე, ილია ფერაძე და სხვ. საეკლესიო მუზეუმში ანტონ ნატროშვილი საფუძვლიანად გაეცნო საქართველოს ისტორიულ წყაროებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებს, რაც დაქმარა ისეთი ფუნდამენტური ნაშრომის შედეგნაში, როგორიც არის „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“.

ხელოვნთა და მეცნიერთა მოსაზრებით, ანტონ ნატროშვილის შემოქმედება სათანადო შესწავლასა და ყურადღებას იმსახურებს. მის ღვრულსა და შემოქმედებას კარგად იცნობდა ცნობილი მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, რომელიც აცხადებდა, ანტონ ნატროშვილი ერთ-ერთია თავისი ეპოქის იმ ხუთი მოამაგიდან, რომელთაც კალი დააჩნიეს ქვეუნის განვითარებასო.

თავად ანტონ ნატროშვილი თავის უპირველეს მოგალეობად სწორედაც საქართველოსადმი სამსახურს მიიჩნევდა. იმ საქართველოსადმი, რომლის შესახებაც ასე წერდა: „საქართველოს ვაზს ადარებენ, რომელიც მძღვანელი შემოხვევია ჭიგოს. ქარიშხალი სცემდა ყოველი მხრიდან, ჭიგო ირხეოდა, ვაზი იდრიკებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, მაგრამ არ იღწევდოდა. რამდენჯერ განრთხმია მიწას, რამდენი ფოთოლი და ლერწი მოჰკვლევია, ფესვებს კი არასოდეს მოსწყდომია“.

### ლოდარ პოზიტაციი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
„მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“



# ქოდორი ბეინისინა ქისასტანის უმაყაჩო ფიზი სეიზმა

ჯონსტინიუსის ათა სოფიას ტაძრის ინტერიერი

1054 წლის 16 ფენის, კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიის ტაძარში მსახურების დაწყების წინ კარდინალი პუმბერტი, პაპის ორი ლეგატის თანხლებით, ტაძარში შევიდა და საკურთხევლისკენ გაემართა. ლეგატებმა საკურთხევლზე დადგის პაპის ბულა განდეომის შესახებ და გავიღინენ. დასაცლეთის შესასვლელიდან გასვლისას, კარდინალმა მტვერი დაიბერტება ფეხებიდან და წარმოთქვა: „დაე, უფალმა ნახოს და განსაჯოს“. ეს ინციდენტი პირობითად მიიჩნევა ბერძნულ აღმოსავლეთსა და ლათინურ დასავლეთს შორის დიდ განხეთქილებად, ანუ სქიზმად, რამაც საფუძველი დაუდო ქრისტიანობის ორ მიმართულებას: მართლმადიდებლურსა და კათოლიკურს.

ქრისტიანულმა ეკლესიამ 1054 წლამდე დღიდა გზა გაიარა. დღიდა სქიზმის გამომწვევი მიშებები ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ჩაისახა. ხმელთაშუა ზღვისპირულში მოგზაურობისას ქრისტეს მოციქულები მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ერთობის მქონე რომის იმპერიის ფარგლებში რჩებოდნენ. ბერძნული და ლათინური ენა თითქმის ყველას ესმოდა, ბევრს ორივე ენაზე შეეძლო ლაპარაკი. შემდგომ საუკუნეებში უდიდესი მსოფლიო იმპერიის ერთიანობა თანდათნ მოშალა.

III საუკუნის მიწურულს, დე იურე ჯერ კიდევ ერთიანი იმპერია დე ფაქტო ორ — აღმოსავლეთ და დასავლეთ ხაწილებად გაიყო, რომლებსაც იმპერიატორები მართავდნენ. V სა-

უკუნის პირველ წლებში ბარბაროსების შემოსევები დაიწყო. იმპერიის დასავლეთი ნაწილი ბარბაროსმა ბელადებმა გაინაწილეს, თუმცა ბიზანტიელები „ერთიანი იმპერიის“ პრინციპს არასოდეს იუწიყებდნენ. იუსტინიან I (527-565 წწ.) კი ბოლო იმპერიატორი იყო, რომელმაც რამდენჯერმე იღაშქრა იმპერიის საზღვრების გასაფართოებლად, თუმცა აღმოსავლეთით დაცყრობილი ტერიტორიები მაღვევ დაიკარგა.

განცალკევების შემდგომი ეტაპი ისლამის აღზევებას უკავშირდება. ხმელთაშუა ზღვა, რომელსაც რომაელები „ჩვენს ზღვას“ უწოდებდნენ, დღიდწილად არაბთა კონტროლებებში მოექცა.

გაყოფის პროცესი კიდევ უფრო შორს წასწია ხატმებროლთა მოძრაობამ (726-843 წწ.). პაპები მტკიცედ იცავდნენ პოზიციას, რომელიც

ხატების თაყვანისცემას გულისხმობდა და ამის გამო, ათწლეულების განმავლობაში ურთიერთობა აღარ ჰქონდათ ხატმებრძოლ იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქთან. ბიზანტიისგან მოკვეთილი პაპი სტეფანე (752-757 წწ.), რომელიც დახმარებას საჭიროებდა, 754 წელს ჩრდილოეთსკენ გაემართა, სადაც ფრანგების მმართველს, პიანი მოკლეს (751-768 წწ.) სთხოვა შემწეობა. ეს შეხვედრა პაპების მიერ ორიენტაციის შეცვლისკენ ნაბიჯის გადაღმას ნიშნავდა. რომი სულ უფრო მეტად ექცეოდა ფრანგების გაელენის ქვეშ.

პაპ სტეფანის პიანთან ვიზიტიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, 800 წლის 25 დეკემბერს, პაპმა ლეო III-მ (795-816 წწ.) ფრანგთა მეფეს, კარლოს დიდს სამპერატორო გვირგვინი დაადგა. კარლოსი ბიზანტიის მმართველის აღიარების მოპოვებასაც ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ბიზანტიელები ჯერ კიდევ იცავდნენ იმპერიული ერთიანობის პრინციპისადმი ერთგულებას. კარლოს დიდს უზურპატორად მიიჩნევდნენ. ხოლო პაპის მიერ მის კორონაციას — იმპერიის გახლეჩის აქტად განიხილავდნენ.

962 წლის 2 თებერვალს გერმანელთა მეფეს, ლიუდოლფფინგების საქსონური დინასტიის უდიდეს წარმომადგენელ ოტო I-ს (962-973 წწ.) რომში პაპმა იმპერატორის გვირგვინი დაადგა და ამით გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიას ჩაეყარა საფუძველი. ამ მოვლენამ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კიდევ უფრო დიდი გაუცხოება წარმოშვა.

## თვალში საცხო სხვაობა

ევროპული კულტურა ამ დროისთვის, ფორმალური ერთიანობის მიუხედავად, თანდათან ორად იყოფოდა. წავიდა ის დრო, როცა განათლებული ადამიანები ორ ენაზე საუბრობდნენ. 450 წლისთვის ძალიან ცოტას თუ შევძლო დასავლეთ ევროპაში ბერძნულად კითხვა, ხოლო ბიზანტიაში, 600 წლის შემდეგ, იშვიათად ლაპარაკობდნენ ლათინურად, რომაელთა ენაზე, თუმცა იმპერია ჯერ კიდევ რომაულად იწოდებოდა.

IV საუკუნის ვეროპაში ერთი ქრისტიანული ცვილიზაცია არსებობდა, VIII საუკუნის ვეროპაში კი ორი. თავის მხრივ, ბიზანტიელები საკუთარ სამყაროში ჩაიკეტნენ და დასავლეთთან რამენაირად დაახლოებას დიდად არ ცდილობდნენ. ფრანგები ბიზანტიელებს

სძაგდათ, მათ ბარბაროსებად მიიჩნევდნენ.

პოლიტიკურმა განსხვავებებმა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, განსხვავება ეკლესიებს შორისაც გამოიწვია:

1. აღმოსავლეთში იყო რამდენიმე ეკლესია, უშუალოდ მოციქულთა მიერ დაფუძნებული. არსებობდა მყარი წარმოდგენა გველა ეპისკოპოსის თანასწორობაზე, ეკლესიის, როგორც საკრებულოს კოლეგიალურ ბუნებაზე. აღმოსავლეთი აღიარებდა პაპს ეკლესიის პირველ ეპისკოპოსად თუმცა, როგორც პირველს თანასწორთა შორის. დასავლეთში კი სამოციქულო წარმომავლობაზე პრეტეზიის მქინე ერთი ტახტი არსებობდა — რომის. შედევად, რომი განიხილებოდა, როგორც ერთადერთი სამოციქულო კათედრა.

2. დასავლეთი, მართალია, იზიარებდა მსოფლიო კრებათა გადწყვეტილებებს, თუმცა თავად აქტიურ როლს კრებებზე არ თამაშობდა. ეკლესიაში დასავლეთი ხედავდა არა იმდენად კოლეგიას, რამდენადაც მონარქიას.

## ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიან I





„კარლოს დიდის იმპერატორად კურთხეულ“ (გატიკანის ქედლის მხატვრობა, რაფაელის ანისტენტები, 1516-1517 წწ.). ბიზანტიულები კარლოს დიდის უზურპატორად მიიჩნევდნენ. ხოლო პაპის მიერ მის კორონაციას – იმპერიის განვითარების აქტად განიხილავდნენ

3. აღმოსავლეთში არსებობდა ძლიერი საერო მმართველი იმპერატორი, რომელიც მსანის უჭირდა ცეკილიზებულ წესირისა და კანონს. დასავლეთში კი ბარბაროსთა შემოსევის შემდეგ გაჩნდა მრავალი, ერთორთისადმი მტრულად განწყობილი მმართველი, რომელთაგან თითოეული მეტ-ნაკლებად უზურპატორს წარმოადგენდა. ასე რომ, უმრავლეს შემთხვევაში, პაპი იყო ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ემოქმედა, როგორც ერთან ცენტრს. გარუმოებათა გამო, პაპმა იყისრა როლი, რისკენაც აღმოსავლეთის პატრიარქები მოწიდებული არ იყნენ: ის ბრძანებებს აძლევდა არა მხოლოდ ეკლესიის ქვეშვერდომებს, არამედ საერო მმართველებსაც. დასავლეთის ეკლესიამ ცენტრალიზაციის ისეთ დონეს მიაღწია, როგორიც არ ენახა არც ერთს ოთხ აღმოსავლელ პატრიარქთაგან (რომი, კონსტანტინოპოლი, ანტიოქია და ალექსანდრია).

### აბრასიულობის დანამდვრები

XI საუკუნეში დასავლეთ ევროპაში აგრესიული ფორმები მიიღო ფეოდალიზაციის პროცესმა, რაინდობამ და ეკლესიამ. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. დასავლეთში ფე-

ოდალთა გაძლიერება დამოკიდებული იყო ვასალთა რაოდენობასა და შეიარაღებულ ძალაზე. დიდი რაოდენობით სამხედრო ძალის შესანახად საჭირო იყო დამატებითი სახსრები. ფინანსების სხვა წყაროების არქონის გამო იზრდებოდა გადასახადები, თუმცა მათი გადახდა ხშირად შეუძლებელი იყო. ექსპლუატაცია მძიმდებოდა და არა მარტო ახალი, არამედ ძველი გადასახადების გადახდაც შეუძლებელი ხდებოდა. ეს იწვევდა როგორც ემის, ასევე ფეოდალის გაკოტრებას.

იტალიის გარდა, დასავლეთ ევროპის ქალაქები სახელმწიფო გადასახადს თითქმის ვერ იხდიდნენ. ამიტომ შემოსავლების მირითად წყაროდ ტერიტორიების ზრდა რჩებოდა. ვინაიდან ევროპას დასავლეთიდან ოკეანე საზღვრავს, გაფართოების ერთადერთ მიმართულებად აღმოსავლეთი იყო.

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო აღმოსავლეთში, სადაც არსებობდა დიდი ქალაქები და ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელსაც დიდი ფინანსები გააჩნდა შეიარაღებული ძალების შესანახად. სლავურ ტერიტორიებზე კი იყო დიდი რაოდენობით დაუსახლებელი, აუთვისებელი მიწები, რომ-

ლის ათვისებაც ყოფელგვარი ძალადობისა და ომის გარეშე ხდებოდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი დასავლური ფეოდალური სამყაროს მეტი აგრესიულობისა ბიზანტიურთან შედარებით. სწორედ რომის პაპს სურდა მსოფლიო ბატონობა და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ბიზანტიაში მოქმედებდა ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლო ეკლესიის დაცვა. იმპერატორის ძალაუფლება მთლიანად ეკლესიის სამსახურში იყო. აღმოსავლეთში, განსხვავებით დასავლეთისგან, ეკლესიის მონარქიულად მოწყობის სახე არ ჩამოყალიბებულა.

## ფილიოკავე

ბიზანტიულებს არაფერი ჰქონდათ დასავლეთის ეკლესიის ცენტრალიზაციის საწინააღმდეგო, თუ პაპი თვად არ ჩაერეოდა აღმოსავლეთის საკითხებში. თუმცა, პაპი ფიქრობდა, რომ მისი უშუალო იურისდიქცია ვრცელდებოდა როგორც დასავლეთზე, ისე აღმოსავლეთზე და როცა აღმოსავლეთის საპატრიარქოებში საკუთარი პრეტენზიების საქმით გამოარება სცადა, შეჯახება გარდაუვალი შეიქნა. ბერძნები აღიარებდნენ პაპის — პირველობის პატივს, მაგრამ არა მსოფლიო აღმატებულებას, როგორც თვად პაპს მიაჩნდა. უცდომელობას ის საკუთარ პრეტორატივად მიიჩნევდა, ბერძნები კი დარწმუნებული იყვნენ, რომ რწმენის საკითხებში უკანასკნელი გადწყვეტილება ეკუთვნოდა

არა პაპს, არამედ ეკლესიის ეკუთვნილებას.

განხეთქილების მეორე მიზეზი იყო მრწამ-სში ჩამატებული სიტყვა. დავა ქებოდა ნიკე-კონსტანტინოპოლის სიმბოლოს იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკი იყო სულიწმიდაზე. თავდაპირველად სიმბოლოს ტექსტი ასეთი იყო: „მრწამს... სული წმიდა, უფალი და ცხოველყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თავუანიცემების, და იდილების...“ აღმოსავლეთში მრწამსი დღემდე ამ თავდაპირველი ფორმულირებით წარმოითქმის. მაგრამ დასავლეთმა შეიტანა დამატებითი სიტყვები: „... და ძისაგან“ (ლათინურად filioque), ამგვარად, ფრაზა გამოიყურება ასე: „რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს“. არ შეიძლება დარწმუნებით თქმა, სად და ვინ შეიტანა ეს დამატება, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ესპანეთში წარმოიშვა, როგორც დამცავი ზომა არიანელობის საწინააღმდეგოდ. ყოველ შემთხვევაში, ესპანურმა ეკლესიაშ ფილიოკვე მრწამსში ტოლედოს მესამე კრებაზე (589 წ.) შეიტანა, თუ უფრო ადრე არა. ესპანეთიდან ეს დამატება გაფრცელდა საფრანგეთში, იქიდან — გერმანიაში, სადაც კარლოს დიდმა მიიღო და ფრანკურტის კრებაზეც დამტკიცდა (794 წ.).

აღსანიშნავია ასევე რამდენიმე დეტალი, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს განასხვავებდა. ბერძნები უშვებდნენ მღვდლის ქორწინებას, ლათინები კი ცელიძატს (უქორ-



კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტიოსის დაკითხვა (XIII საუკუნის უცნობი ჯგუფი)



წინებლობას) ემხრობოდნენ. იცავდნენ მარხვის განსხვავებულ წესებს. ბერძნები ვექარისტიისთვის საფუვრიან ცოში იყენებდნენ, ლათინები — უმარილოსა და უსაფუვროს, ე.წ. ხმიადებს.

გაუცხოებიდან სქიზმაზე გადასვლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ოთხი მოვლენა: 1) დაგა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტიოსსა და პაპ ნიკოლოზ I-ს შორის 861-879 წწ.; 2) დიატიქების ინციდენტი 1009 წ.; 3) შერიგების ფუჭი მცდელობა 1053-1054 წწ. და 4) ჯვაროსნული ლაშქრობები.

## დავა ფოტიოსსა და ნიკოლოზ I-ს შორის

858 წელს, ხატომებრძოლობის დამარცხებიდან 15 წლის შემდეგ, კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა ფოტიოსი, მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ცნობილი, როგორც ფოტიოს დიდი. მან პაპს გაუგზავნა ცნობა საკუთარი აღსაყდრების შესახებ, მაგრამ ნიკოლოზმა გადაწყვიტა, ფოტიოსი მაშინვე არ ედიარებინა. 861 წელს მან კონსტანტინეპოლში თავისი ლეგატები გაგზავნა. ფოტიოსი დიდად არ სურდა პაპთან დავა. მან დიდი პატივით მიიღო ლეგატები, რომელთაც ფოტიოსი სცნეს პატრიარქად, თუმცა პაპმა ნიკოლოზმა არ ცნო ლეგატების გადაწყვეტილება და თავად გადაწყვიტა საქმის რომელი განხილვა. კრებამ, რომელიც 863 წელს გაიმართა და რომელსაც თვით ნიკოლოზი ხელმძღვანელობდა, ფოტიოსი წმინდა წოდების გარეშე გამოაცხადა. ბიზანტიელებს ამ გადაწყვეტილებისთვის

ყურადღება არ მიუქცევიათ და არც პაპის ეპისტოლებისთვის უპასუხიათ. ასე გაჩნდა აშკარა ბზარი რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის.

პაპის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა საკუთარი გავლენის გაზრდა აღმოსავლეთში, ამიტომაც გააუქმა ნიკოლოზმა ლეგატების გადაწყვეტილება და საკითხში თავად ჩაერია.

877 წელს ეგნატეს (პატრიარქი, რომელიც ფოტიოსის ნაცვლად დანიშნეს და რომელთანაც კონფლიქტი ჰქონდა ფოტიოსის) სიკვდილის შემდგა, ფოტიოსმა კვლავ დაიკავა პატრიარქის ტახტი. 879 წელს კიდევ ერთი კრება შედგა კონსტანტინოპოლში, რომელმაც ანათემას გადასცა 869 წლის კრება, სადაც ასვევ ფოტიოსის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება იყო მიღებული და მას ყველა ბრალდება მოუხსნა.

## დიატიქის ინციდენტი და 1054 ღლის ამავები

1009 წელს რომის პაპმა სერგი IV-მ კონსტანტინოპოლში გაგზავნა ეპისტოლე, რომელიც დიდი ალბათობით ფილიოკეს შეიიცავდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა (ასევე სერგიიმ) პაპის სახელი დიპტიქში არ შეიტანა. დიპტიქები წარმოადგენდა ეკლესიის ერთიანობის ხილულ ნიშანს და ვინმეს სახელის შეგნებული გამოტოვება უდრიდა განცხადებას მასთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. 1009 წლის შემდეგ რომის პაპის სახელი კონსტანტინოპოლის დიპტიქებში



დეპატები  
დასკვლეთისა და  
აღმოსაგლეთის  
გელუსიების  
წინმოძღვრებულ  
სასულიერო  
პირებს შორის  
(1290 წ.)

აღარ გამოჩენილა. ამგვარად, ტექნიკური თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლი და რომი სწორებ ამ მომენტიდან დარჩნენ ერთმანეთთან ურთიერთობის გარეშე.

XI საუკუნეში ბიზანტიურ იტალიას, კერძოდ კი კალაბრიას, აპელიას, სიცილიასა და სხვა კუნძულებს, ბერძნული მოსახლეობის მრავალრიცხვნების გამო, „დიდი საბერძეთი“ წრდებოდა. ეპისკოპოსები ძირითადად ბერძნები იყენენ და ღვთისმსახურებაშიც ბერძნული ენა გამოიყენებოდა. XI საუკუნის პირველ ნახევარში, ბიზანტიის სამფლობელოებს იტალიაში თავს დაესხნენ ნორმანები, რომელთაც ემხრობოდა რომის პაპი, რადგან მიიჩნევდა, რომ ამით მოხერხდებოდა ბიზანტიური გავლენისგან დასვლური ეკლესიის გათავისუფლება. მდგომარეობა მას შეძლებ შეიცვალა, რაც ნორმანები პაპის კუთვნილ მიწებსაც დაესხნენ თავს. პაპმა ხალხს ნორმანთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა.

1052 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა — მიქაელ კერულარიუსმა მოითხოვა, კონსტანტინოპოლის ლათინურ ეკლესიებს ბერძნული ადათი მიეღოთ, ხოლო როცა უარი მიიღო, მათი დახურვა ბრძანა.

1053 წელს კერულარიუსმა პაპ ლეონ IX-ს წერილი მისწერა დიპტიქებში პაპის სახელის აღდგენის წინადაღებით ამ წინადაღების პასუხად და სადაჭო საკითხების გასარკვევად ლეონმა 1054 წელს კონსტანტინოპოლში სამი ლეგატი წარგზავნა, სილვა-კანდიდის ეპისკოპოსის, ჰუმბერტის მეთაურობით კე-

რულარიუსთან მიღებისას ლეგატებმა კარგი შთაბეჭდილება არ დატოვეს. პაპის წერილის გადაცემის შემდეგ ისინი ტრადიციული მისალმების გარეშე გაბრუნდნენ. წერილი, მართალია პაპის მიერ იყო ხელმოწერილი, თუმცა სინამდვილეში თავად ჰუმბერტის კალამს ეკუთვნოდა. ეს ვარაუდი განამტკიცა მიქაელ კერულარიუსის პოზიციამაც, როდესაც მან კრიბაზე ეჭვი შეიტანა დოკუმენტის პაპისგან მომდინარეობაში და ამავე დროს პაპის ლეგატებს მოუწოდა, მიტროპოლიტების უკანა რიგში დამსხდარიყვნენ. ლეგატებმა თავი შეურაცხვოლილ იგრძნეს და კრება დატოვეს. მიქაელმა მათ მოლაპარაკებათა გაგრძელება შესთავაზა. თუმცა ლეგატებს მოთმინება ამოქწურათ, მოლაპარაკების გაგრძელება აღარ ისურვეს და 1054 წლის 16 ივნისს, ღვთისმსახურების დროს, წმინდა სოფიის ტაძარში, მრკვლის თანდასწრებით, საკურთხევლზე დადეს სიგელი, რომელშიც წმინდა სამების ძალით ანათემაზე გადასცეს მიქაელ კერულარიუსი და მისი მიმდვერები. ეს იყო „დიდი სქიზმა“. შერიგების მცდელობამ მდგომარეობა მხოლოდ გააუარესა.

### ეთორეობის „მასაზი გასვლა“

რომისა და კონსტანტინოპოლის დაცა დიდწილად უბრალო ქრისტიანთა ყურადღების მიღმა მიმდინარეობდა. მომხდარის გაცნობიერება ქრისტიანთა ფართო მასებმა მხოლოდ თანდათან, ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების შემდეგ დაიწყეს.



„ლათინთა პატრიარქის იერუსალიმში შესვლა“. ჯეიმს (ფაქ უოჩეფ) ტინო, 1836-1902 წწ.

სამხედრო თვალსაზრისით, ჯვაროსნული ლაშქრობები წარმატებებს აღწევდნენ: ანტიოქია თურქებს 1098 წელს წაართვეს, იერუსალიმი — 1099 წელს. ეს უთუოდ დიდი მიღწევა იყო, თუმცა დიდი სისხლის ფასად მოპოვებული. იერუსალიმშიც და ანტიოქიაშიც ჯვაროსნებმა ლათინი პატრიარქები დასვეს. იერუსალიმში ეს გონივრული იყო: ტახტი დროებით თავისუფალი რჩებოდა და თუმცა იყვნენ წლების განმავლობაში ერთმანეთის მონაცემები იერუსალიმის ბერძენი პატრიარქები, რომლებიც დევნილობაში, კვიპროსზე ცხოვრობდნენ, თავად პალესტინის მოსახლეობამ (როგორც ბერძნებმა, ისე ლათინებმა), მეთაურად ლათინი პატრიარქი აღიარა. ანტიოქიაში კი უკვე იყო მოქმედი პატრიარქი. მართალია, ის მალევე წავიდა კონსტანტინოპოლის, მაგრამ მოსახლეობას არ სურდა ჯვაროსნებისგან ლათინი პატრიარქის მიღება, რომელიც 1100 წელს დასვეს. რომი შორს იყო და თუ კონსტანტინოპოლი ედავებოდა, ქრისტიანთა ძირითადი მასისთვის სირიასა და პალესტინაში ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ როცა ორი მეტოქე ეპისკოპოსი ანტიოქიაში ერთ ტახტს ეცილებოდა ერთმანეთს, და ორი დაპირისპირებული თემიც ერთ ქალაქში ცხოვრობდა, განხეთქილება თვალში საცემ ყოველდღიურობად იქცა, რომელშიც რიგითი მორწმუნებიც უშუალოდ ერთვებოდნენ.

## შერიგების მცდელობები

აღსანიშნავის სარწმუნოებრივი შერიგების ორი მცდელობა დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქრისტიანოს შორის, რომელთაგან პირველი XIII, ხოლო მეორე XV საუკუნეს ეკვთვნის. პირველი მცდელობის ინიციატორად გვევლინება ბიზანტიის იმპერატორი მიქაელ VIII (1259-1283 წწ.). მართალია, მიქაელს გულწრფელად სურდა ქრისტიანობის გაერთიანება რელიგიურ საფუძველზე, მაგრამ ის პოლიტიკური მოსახლეობითაც ხელმძღვანელობდა: სიცილიის სუვერენის, კარლ ანჟულის (1265 წელს თავად რომის პაპისგან მიიღო გვირგვინი) მხრიდან მუქარის პირობებში მას აუცილებლად სჭირდებოდა პაპის მხარდაჭერა. ეს კი ყველაზე უკეთ შეიძლებოდა უნიას მოეტანა. კრება, რომელიც ეკლესიის გაერთიანებას ეძღვნებოდა, ლიონში 1274 წელს შეიკრიბა. დამსწრე მართლმადიდებელი დელგატები თანახმა იყვნენ, ეღიანულინათ პაპის პრეტენზიები და ფილიოკეც სარწმუნოების სიმბოლოში შეეტანათ. მაგრამ უნია ქაღალდზე დარჩა, ვინაიდან სამღვდელოთა და საერთო დიდმა უმრავლესობამ როგორც ბიზანტიაში, ბელგარეთსა და სხვა მართლმადიდებელ ქაფნებში, უკუაგდო იგი.

მეორე კრება უნიასთან დაკავშირებით ფერარასა და ფლორენციაში 1438-1439 წლებში გაიმართა. მას ესწრებოდა ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII (1425-1448 წწ.), კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და ბიზან-

ტიის ეკლესიის დიდ დელგაციასთან ერთად, აგრეთვე, სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები. დისკუსიები ხანგრძლივი იყო და ორივე მხარემ დიდი ძალის ხმევა გაიღო მთავარ საკითხებში ჰქონდა მართლი თანხმობის მისაღწევად. ამავე დროს, ბერძნებს უჭირდათ საღვთისმეტყველო საკითხებზე მიუკერძოებლად მსჯელობა: მათ იცოდნენ, რომ პოლიტიკური მდგრამარებობა კარგს არაფერს უქადათ და თურქების დამარცხების ერთადერთი იმედი დასავლეთის მხრიდან დახმარება იყო.

საბოლოოდ, შემუშავდა უნიის ფორმა, რომელიც შეიცავდა ფილიოკევსა და აღმოსავლეთ ქრისტიანებისთვის მაულებელ სხვა ნორმებს. თუმცა საბოლოოდ არც მეორე უნია აღმოჩნდა ლიონის უნიაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი.

იოანე VIII და მისი მემკვიდრე კონსტანტინე XI (ბიზანტიის ბოლო იმპერატორი) უნიის ერთგული დარჩნენ. მაგრამ ძალა არ შესწევდო, ის ქვეშვრდომებისთვის მოხვიათ თაქს. კრების დადგენილებები ბიზანტიის სამღვდელოებისა და ხალხის უმნიშვნელონაწილმა ცნო. იოანე და კონსტანტინე იმედოვნებდნენ, რომ ფლორენციის უნია დასავლეთის მხარდაჭერას განაპირობებდა, თუმცა რეალური დახმარება უმნიშვნელო აღმოჩნდა. 1453 წლის 7 აპრილს თურქებმა დაიწყეს კონსტანტინოპოლის შტურმი ხმელეთიდან და ზღვიდან. ბიზანტიიელები, რომლებიც მტერს რიცხობრივად ბევრად ჩამოუვარდებოდნენ, შვიდი კვირის განმავლობაში, გმირულად იცავდნენ ქალაქს. მაგრამ მდგრამარება უიმედო იყო. 29 მაისის დიღლას გაიმართა უკანასნელი ქრისტიანული მსახურება წმინდა სოფიის ტაძარში. ეს იყო მართლმადიდებლებისა და კათოლიკების ერთობლივი მსახურება. გადამწყვეტ წუთს ფლორენციის უნიის მომხრებმაც და მოწინააღმდეგეთაც უთანხმოებები დაივიწყეს. ზიარების შემდეგ იმპერატორმა დატოვა ტაძარი და ქალაქის კედლებთან დაეცა. იმავე დღეს, საღამოს, თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

(ეპისკოპოს კალისტოს უერის სტატიის მიხედვით — „აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა“)

### **კასაპირ ყალიბათა**

თუ ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრანტი



ფლორენციის სანტა მარია დელ ფიორეს ტაძრის კრები და შესასვლელი, სადაც საეკლესიო კრუბა ამართდოდა

ფერარა-ფლორენციის კრება, გამოსახულება აღებულია „ნიურნბერგის ქრონიკიდან“ (1493 წ.)



# 3 აზერბაიჯანის საბოლოო შემობრუნვა



გატერლოს ბრძოლა ნაპოლეონის, ამ დიადი სამხედრო და პოლიტიკური გენიის უკანასკნელი, ძალუმი ამოსუნთქვა და საფრანგეთის პირველი იმპერიის დასასრული იყო. ამ ბრძოლით დასრულდა ნაპოლეონის ომების ეპოქა. მიუხედავად იმისა, რომ „ას დღე“ ნაპოლეონისთვის წარუმატებლად წარიმართა, მის ბობოქარ ცხოვრებაში წარუშლელი კავალი დატოვა. ამ ბრძოლაში მოიპოვა დიდება ინგლისელთა იმ დროის ერთ-ერთმა საუკეთესო სამხედრო მოღვაწემ, სერ არტურ უელსლიმ, ველინგტონის პერცოგმა. იგი პირველად დაუპირისპირდა ნაპოლეონს და თავისი სამხედრო ნიჭი კარგად წარმოაჩინა. გამოისარჩევია ნაპოლეონის ომების კოლორიზტული ფიგურის, პრუსიელი ფელდმარშლის, გებპარდ ლიბერტეტ ფონ ბლიუხერის სიმამაცე და გამარჯვების წყურვილი. სწორედ მისი დახმარებით შეძლო ველინგტონმა იმპერიის უძლეველი არწივის დამარცხება და დიდების მოპოვება. გატერლოს ბრძოლა თავდაცვითი ბრძოლის შევენიერი ნიმუშია, ასევე კარგად ჩანს, რამხელა მნიშვნელობა ენიჭება სისწრაფესა და დროულ ინფორმირებას, ინიციატივის უნარს სამხედრო მეთაურებში, ბრძოლის ველს, ამინდსა და საბრძოლო პოზიციებს.

## მოულეა აღმდეგ მხარეები

კუნძულ ელაბაზე გადასახლებიდან 1815 წლის 1-ელ მარტს დაბრუნებული ნაპოლეონი კვლავ ქვეყნის სათავეში მოექცა და შეფერი კვლავ ქვეყნის სათავეში მოექცა და შეფერი XVIII ბურბონი განდევნა. მან მოკლე დროში 125 ათასამდე სალაშეროდ მომზადებული მეომარი შეკრიბა და როცა ნახა, რომ კვნის კონგრესთან, რომელიც წარმოადგენდა ნაპოლეონის მოწინააღმდეგე უვროპულ სახელმწიფოთა კრებას, მოლაპარაკებისგან არაფერი გამოვიდა, ბელგიაში განლაგებული VII კოალიციის ძალების (პრუსია, ბრიტანე-

თი) წინააღმდეგ დაიძრა. იმპერატორმა ვერ შეძლო მოული არმიის ამოძრავება ბელგიისკენ და ნაწილები ვანდეაში, ვარში, ალპებში, იურას მთებში და რაინის საზღვარზე დატოვა. საფრანგეთის ჯარის მარცხენა ფლანგის კორპუსთა მეთაურად მარშალი მიშეღ ნეი იყო დანიშნული. მარჯვენა ფლანგის ჯარებს მარშალი ემანუელ გრუში მეთაურობდა, მაგრამ მათ ვატერლოს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. არმიის რეზერვს ნაპოლეონი ედგა სათავეში და მასში შედიოდა ასევე საიმპერატორი გვარდია. სულ ვატერლოოთან



ნაპოლეონის არმიის რიცხოვნობა 72 ათასს აღწევდა — 50 ათასი ქვეითი, 15 ათასი კავალერია და 250 ზარბაზანი (7 ათასი მეომარი).

ფრანგთა ჯარს იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი მეთაურობდა. იგი ამ დროისთვის 46 წლისა იყო და უზარმაზარი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა. არკოლეს, აუსტრიიცის, იენის, ფრიდლანდის გმირი კვლავ სათაყვანებლად მიიჩნეოდა საფრანგეთის არმიაში. იმპერატორის გამოჩენას მეომრები მუდამ შეძახილით *Vive L'Empereur!* (გაუმარჯოს იმპერატორს) ხვდებოდნენ. ჰერცოგმა ველინგტონმა მასზე თქვა: „ნაპოლეონი ბრძოლის ველზე 40 ათას მეომარს უდრისო“.

1815 წლს იგი საფრანგეთში დაბრუნდა, ძალაუფლება წევთი სისხლის დაუღვრესად დაიბრუნა და უსწრაფესად მოუყარა არმიას თავი. თუმცა ამ დროისთვის მისა ჯანმრთელობა დასუსტებული იყო, შეცდომებსაც უძვებდა. მიუხედავად ამისა, შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეთ.

სი. კატერლოოს ბრძოლაში მისი სისუსტეები ნათლად გამოჩნდა. შესაძლოა სხვაგვარი ყოფილიყო ბრძოლის საბოლოო შედეგი, ნაპოლეონს სტრატეგიული ნიჭით განსაკუთრებით გამორჩეული მარშალი, ლუი-ნიკოლა დავუ რომ წაეყანა ბელგიის კამპანიაში. მან დავუს საფრანგეთში დატოვება არჩია, რათა „რკინის მარშალს“ იქ წესრიგი დაემყარებინა.

იმპერატორი ინგლისელთა და პრუსიელთა არმიის რიცრიგობით დამარცხებას აპირებდა, მისთვის ასე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. მან 16 ივნისს შეუტია ბლიუზერს და ლინისთვის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა, თუმცა ბოლომდე ვერ გაანადგურა (ბლიუზერმა დარჩენილი ნაწილებით შემდევ გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრძოლაში). მარშალმა ნემი კა არასწორად იმოქმედა კატრ-ბრასთან ინგლისელებთან შეტაკებისას და წარმატების მოპოვება ვერ მოახერხა. ამ ორმა შუალედურმა შედეგმა დიდი გაგლენა მოახდინა კატერლოოს ბრძოლის მიმდინარეობასა და საბოლოო დასასრულობელ კატერლოოს კამპანიაში იმპერატორის ამო-

**კუნძულ ელბაზე გადასახლებიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა მოკლე დროში 125 ათასმდე მეომარი შეკრიბა**






სერ არტურ უელსლი, ველინგტონის პერცოვი



ფელდმარშალი გებჰარდ ლიბერჟტ ფონ  
ბლიუხერი



გარშალი  
მიშელ  
ნეი

ცანა გახსნდათ ველინგტონისა და ბლიუხერის არმიების განადგურება მოკავშირეთა მოსვლამდე. ამით ბოლოტიტიკური დაპირისპირების აღქვრა სურდა და იმედოვნებდა, რომ კოალიციაში განხეთქილებას გამოიწვევდა.

ვატერლოოს ბრძოლაში ნაპოლეონის წინააღმდეგ VII ანტიფრანგული კოალიციის წუმუნების — დიდი ბრიტანეთისა და პრუსიის ძალები იღენენ. ბრიტანეთი საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი მტერი იყო. რევოლუციური და შემდეგ ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ ბრიტანეთის ხელისუფლება მუდამ ცდილობდა კოალიციების შექმნას და ამას ახერხებდა კიდევ, თუმცა ნაპოლეონი წარმატებით იგერიებდა მათ დარტყმებს და ვეროპას იპყრობდა. პრუსია ნაპოლეონის მტერი 1806 წლიდან გახდა, მაგრამ იმავე წელს სასტიკად დამარცხდა. პრუსიის განადგურების შემდეგ იმპერატორმა ბრიტანეთის წინააღმდეგ კონტინენტური ბლოკადა გამოაცხადა ინგლისის ეკონომიკის გასანადგურებლად. ამან შედეგები მართლაც გამოიღო და ბრიტანელთა ეკონომიკა დაასუსტა. პრუსიელებმა რიგი სამხედრო-პოლიტიკური რეფორმების შემდეგ ქვეყანა აღადგინეს, ისარგებლეს 1812 წელს ნაპოლეონის მარცხით რუსეთში და აქტიურად იპრძოლეს ანტიფრანგული კოალიციის მხარდამხარ. ბრიტანელები ესპანეთის აჯანყებულებს ქმარებოდნენ და ნაპოლეონს პრობლემებს უქმნიდნენ. 1814 წელს პარიზი დაეცა და იმპერატორი გადადგა. 1815 წელს, როცა ის კვლევ დაბრუნდა, ინგლისმა და პრუსიამ სწრაფად მოუყარეს ძალებს თავი და ფრანგებს ველინგტონის პერცოგისა და ფონ ბლიუხერის არმიები დაუპირისპირეს.

ბრიტანელებთან ერთად, ვატერლოოსთან გერმანელები, ბელგიელები და პოლანდიელებიც იბრძოდნენ. ველინგტონის მოული არმია 67 ათას მეომარს ითვლიდა, მათ შორის 50 ათას ქვეითს, 11 ათას ცხენოსანსა და 3 არტილერიასტს 150 ქვემებით. ინგლისელთა ჯარი სამძირითად კორპუსად იყოფოდა: პრინც ვილჰელმ ორანელის კორპუსი, როლანდ ჰილის მეორე კორპუსი და გრაფი ექსბრიჯის მესამე, საკავალერიო კორპუსი. ბლიუხერის არმია ოთხ კორპუსად იყოფოდა და რიცხოვნიბით 90 ათასამდე აღწევდა ლინის ბრძოლამდე, სადაც პრუსიელებმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს, თუმცა ვატერლოოს ბრძოლაში ბლიუხერმა 50-60 ათასამდე მეომრის მოუკანა შეძლო.

სერ არტურ უელსლის, ველინგტონის




პერცოგს, ამ დროისთვის უკვე კარგი მხედართმთავრის რეპუტაცია პქონდა. წარმატებით იპრომოდა ინდოეთში და პირვენ სახევარკუნძულზე, სწორედ ამიტომ 1815 წლის ივნისში თავისი თაობის უდიდესი სამხედრო ლიდერის წინააღმდეგ ჯარის მეთაურად ის აირჩიეს.

მოკავშირეთა მაზანი იყო, ერთობლივი ძალებით საბოლოოდ დაემარცხებინათ ნაპოლეონი და ბოლო მოეღოთ მისი მმართველობისთვის. კოალიციის წევრებმა კონგრესზე განაცხადეს, რომ მოკავშირეები არა საფრანგეთს, არამედ ერთ კაცს, ნაპოლეონს ებრძოდნენ.

## ბრძოლა

ლინისთან პრუსიელთა დამარცხების შემდეგ, ბლიუზერმა უკან დაიხია და დიდი დანაკარგები განიცადა. მარშალი ნეი ველინგტონის ძალებს კატრ-ბრასთან ებრძოდა. „მამაცთა შორის უმამაცესი“ პირველი დარტყმა პოლანდიურ-ბელგიურ ძალებზე (8 ათასი ჯარისკაცი, 18 ქვემქი) მოიგრიეს. მარშალმა 14:00 საათმდე შეაჩერა შეტვა, მაგრამ შემდეგ ჩვეული აგრესიულობით გადავიდა იეროშზე. ამ დროს გამოჩნდა პიეტონის მე-5 და პერცოგ ბრაუნშვაიგის გერმანული ძალები. მიუხედავად ამისა, ნეის ძალები (18 ათასი ქვეითი, 2 ათასი მხედარი, 32 ქვემქი) მცირე იყო მოკავშირეთა ძალებზე (36 ათასი ქვეითი, 70 ქვემქი), იგი ახლოს იყო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებასთან. ამავე დროს, დაიღუპა პერცოგი ბრაუნშვაიგი. ნეიმ ნაპოლეონს შიკრიკი გაუგზავნა და სთხოვა დ'ერლონის კორპუსი დასახმარებლად გამოეგზავნა. ეს უკანასკნელი ჯერ გზაში იყო და არც ლინისთან ბრძოლაში ჩართოულიყო. ველინგტონმა ახალი ძალები ჩართო ბრძოლაში და ფრანგებს წინსვლა გაუჭირდათ.

მოწინააღმდეგები ერთმანეთს დამექ დააშორა. ლინისთან პრუსიელთა სასტიკი დამარცხების შემდეგ ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ მათი მხრიდან საფრთხე ნაკლებად იყო მოსალოდნელი, თუმცა ბლიუზერის წინააღმდეგ მაინც გაგზავნა მარშალი გრუში 33-ათასიანი ჯარით, რომლის მოვალეობა იყო, ხელი შეეშალა პრუსიელთათვის. ფელდმარშალმა გნეიზენაუმ პრუსიელთა თავმოყრა ლინის ჩრდილოეთით, ვაკრთან მოახერხა. ფრანგები სწრაფად მისდევდნენ ველინგტონის ჯარებს, მაგრამ შემდეგ წვიმამ ძალიან შეუშალათ



პეტერლონის ბრძოლის სამი ძრითადი ფაზა  
(შეადგინა უტორმა)

ხელი. მეორე დღეს, 18 ივნისს, როდესაც ვატერლონის მახლობლად ჯარებმა საბრძოლო პოზიციები დაიკავეს, მიწა ატალახებული იყო. მეომრები, ცხენები და არტილერია ტალახში ეფლობოდა, ამიტომ ნაპოლეონმა დაყოვნა იერიშის დაწეება, რათა მიწა გამშრალიყო. არტილერიის თრევა როტელი იყო, თან ნატყორცი ყუმბარები მიწაში ეფლობოდა და ზიანს ვეღარ აყენებდა მტერს.


ველინგტონმა თავისი მრავალეროვნული არმია ასე დაახასიათა: „არეული ჯარი, სუსტი და ცუდად შეიარაღებული, გამოუცდელი შტაბით“. მან ჯარის ნაწილი ჩაასაფრა, ხოლო დანარჩენები თავდაცვით პოზიციებზე გაამაგრა, რისთვისაც გამოიყენა ამ ტერიტორიაზე არსებული ნაგებობები.

დაახლოებით 12-ის ნახევარზე ფრანგულმა ზარბაზნებმა ცეცხლი გაუხსნეს ველინგტონის ჯარებს, თუმცა მათი ნაწილი მაღლობის უკან იღვა და ამიტომ არტილერიით დიდ ზიანს ვერ აყენებდნენ. უერომ ბონაპატის, ნაპოლეონის უმცროსი ძმის ძალებმა დაიწყეს შეტყვა უგომონის ფერმაზე. უგომონი კარგად იყო გამაგრუბული და ფრანგებს გაუჭირდათ მისი აღება. ბრძოლა ამ ადგილისთვის მთელ დღეს გაგრძელდა. დ'ერლონის არტილერია რამდენიმე ბატალიათ გააძლიერეს და ახლა ინგლისელებს 88 ზარბაზანი ბომბავდა. მიუხედავად ამისა, ეფექტი არ იყო ძლიერი, რადგან ფუმარები დაფრინდნისას ტალახში ეფლობოდა. 13:30-ზე დაიწყო ფრანგთა მთავარი შეტყვა. ამ დროს იმპერატორს პრუსიელი ტყვე მოუყვანეს, რომლის საშუალებითაც შეიტყვეს, რომ 30-ათასიანი პრუსიელი კორპუსი (ბიულოვის) ველინგტონის დასახმარებლად მოიწვედა. იმპერატორმა გრაფ დე ლობაუს უბრძანა მარჯვენა ფლანგის გამაგრება პრუსიელთა მოსაგერიებლად. დ'ერლონი შეტყვაზე გადავიდა და თავიდან წარმატებასაც მიაღწია, გენერალ ტრავერსის კირასირება კი ამ დროს გენერალ ომპტედას ბატალიონს ანადგურებდნენ, რომელიც დ'ერლონის წინააღმდეგ მოიწვედა. ფრანგებმა დაიკავეს ლა-ჰაი სენტის ბაღები და შეუტის ფერმაში გამაგრუბულ მოწინააღმდევეს. ამ დროს გენერალ-ლეიტენანტ პიკტონმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნა დ'ერლონის მჭიდრო კოლონებს და ზიშტებით შეუტია, თუმცა მაღლე თავდა გახდა ფრანგული ტყვიის მსხვერპლი. ბრიტანელები იძულებული გახდნენ, განადგურების საფრთხის წინაშე მყოფი მე-5 დივიზიისთვის კავალერია მიეშველებინათ ექტენდიჯა სომერსეტისა და პონსონბის მეთაურობით ორი საკავალერიო ბრიგადა გამოიყვანა დ'ერლონის წინააღმდეგ. ფრანგების შეტყვა მოიგერიეს, მაგრამ ველინგტონის კავალერიის დიდი ნაწილიც განადგურდა.

დ'ერლონის წარუმატებლობის შემდეგ, მარშალმა ნეიმ ირი ბრიგადა დაძრა ლა-ჰაი სენტისკენ, მაგრამ კარგად გამაგრუბული



გერმანული ლეგიონის დამარცხება ვერ მოახერხა. მარშალმა შეამჩნია, რომ ინგლისელთა ნაწილი უკან ბრუნდებოდა თავის უწინდელ პოზიციაზე. ეს ბრიტანელთა უკანდახევად მიიღო და გენერალ ედუარდ მიიოს კირასირებს დაღვენება უბრძანა. ველინგტონმა ქვეითები კარგს წესით განალაგა და არტილერიით გაამაგრა. ზარბაზნების ცეცხლმა საკმაო ზარალი მიაყენა კავალერიის შეტყვას. იერიში წარუმატებელი გამოდგა და ცხენოსანთა დიდი ნაწილი უაზროვნ განადგურდა. ფრანგულ ქვეით ჯარს შეეძლო ცხენოსნებს დახმარებოდა, მაგრამ მათ ეს შანსი ხელიდან გაუშვეს. ეს ნეის კიდევ ერთი დიდი შეცდომა იყო. კავალერიის შეტყვა ქვეითი და საარტილერიო ნაწილების გარეშე არასწორი ნაბიჯი გამოდგა. ველინგტონის კარებიც ძალიან დაზარულნენ და უამრავი მეომარი დაკარგეს, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ წინააღმდევობის გაწვევას ცხენოსანთა შეტყვებისთვის. როცა კავალერიის დასახმარებლად 8 ათასი ქვეითი მივიღა, უკავე გვიანი იყო. ლორდ პილის ქვეითებმა დემოსტრაციული შეტყვა მოწყვეს უგომონისკვენ, არტილერიამ კი ფრანგთა კოლონებს ცეცხლი გაუხსნა. რადგან ფრანგული კავალერია კვლავ უტევდა ინგლისელებს, ველინგტონის ქვეითები მჭიდრო, ოხრიგიანი წყობით დადგნენ და მოგერიება ზიშტებით დაიწყეს. ასეთი წყობით მათ საშუალება ჰქონდათ, იარაღიდანაც მთელ



ველინგტონის ჰერცოგი თავის თფაცრებით  
ერთად გამარჯვებას ზემობს (იან უილმ ანექმანი, 1824 წ.)

საზე ძლიერი ცეცხლი გაეხსნათ. ფრანგთა კიდევ ერთი იერიში წარუმატებლად დასრულდა. და აი, როგორც იქნა, პრუსიელებიც გამოჩნდნენ ნაპოლეონის მარჯვენა ფლანგზე.

ველინგტონმა იცოდა, რომ ორი პრუსიული კორპუსი, რომელებიც გვრიდან მოიწვენენ, მის ფლანგზე 12-14 საათისთვის გამოჩნდებოდნენ, ამიტომ ჯარის განლაგებისას მათთვის ადგილი დატოვა პიეტონის დაივიზიის უკან. ბიულოვის IV პრუსიული კორპუსი ძალიან შეფერხდა ტალახის გამო და მხოლოდ დახახლოებით 16:00 საათისთვის შეძლო მოსვლა, გზაზეც დეზორგანიზებულ II პრუსიულ კორპუსს გადააწყდა, რომლის გადაჯგუფებასაც დრო დასჭირდა. ბიულოვის შემოტევას ერთი ფრანგული კორპუსი დაუხვდა, რომელსაც პრუსიელთა შეჩერება უვალებოდა, ნაპოლეონმა ამასობაში ნეის ძალების მოკრება და ველინგტონის ცენტრზე შეტევა უბრძანა. 18:00 საათზე შეტევა დაიწყო. ამჯერად ქვეითი ჯარი, კავალერია და არტილერია ერთსულოვნად მოქმედდებდა. ბრიტანელებს ძალიან გაუჭირდათ. ისინი დიდი დანაკარგებით აჩერებდნენ ფრანგების შემოტევას. კავალერიისგან დასუსტებული ინგლისური კარები ნელ-ნელა ნადგურდებოდა. ბელგიელი ჯარისკაცი მატიე ბრიალმონი, რომელიც ნაპოლეონის არმიაში მსახურობდა, წერდა, რომ ბრიუსელისკენ მიმავალი გზა სავსე იყო ველინგტონის გაქცეული ჯარისკაცე-

ბით. ინგლისელ სარდალს არანაირი არჩევნი აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ თავდაცვა განეცნდო. დაიღუპა გენერალი ომპტედა. სერ უილიამ დელები, ველინგტონის მახლობლად მდგარი, სასიკვდილოდ დაიჭრა მტრის ყუმბარით, ასევე მძიმედ დაიჭრენ პრინცი ორანელი, გენერალი ალტენი, ალექსანდრუ კორდინი. ნეიმ საბოლოოდ გამოიდება ლა-ჰაი სენტის დამცველები, რომელთაც საბრძოლო მასალა გაუთვალით და დაიკავა მათი პოზიციები. განალაგა აქ ზარბაზნები და 300 მეტრის რადიუსში მტერს ცეცხლი გაუხსნა. ერთადერთი, რაც ველინგტონმა მოახერხა, ორთვე ფლანგის ძალების ცენტრისკენ გადმოსროლა იყო. ახლა ნეის ისლა დარჩენოდა, მთელი ძალებით დაერტყა ინგლისელთა დასუსტებული ცენტრისთვის, მაგრამ რეზერვი, ისევე როგორც ველინგტონს, არც მას ჰყავდა. შეტევის დასაგვირგვინებლად კი გვარდია სჭირდებოდა. ამ დროისთვის საიმპერატორო გვარდია პრუსიელთა შესაჩერებლად იყო მიმართული. მათ დაიბრუნეს პლანშენუა, მაგრამ დაკარგეს ძვირფასი დრო. ნეისთვის გასაგზავნი ძალები აღარ იყო დარჩენილი. ველინგტონმა უკანასკენელი რეზერვებით შეაჩერა ფრანგთა შეტევა, მაგრამ სად იყვნენ პრუსიელები? „ან ბლიუზერი, ან დამე“ — ლოცულობდა ველინგტონი, მან არ იცოდა, რომ პრუსიელებმა უკვე ისნეს მისა არმია და ნაპოლეონმა მის გასანადგურებლად გასაგზავნი რეზერვი პრუსიელთა შესაჩერებლად გაგზავნა.

19:00 საათისთვის ფრანგთა მარჯვენა ფლანგი საკმარისად იყო დაცული საიმისოდ, რომ ნაპოლეონს ძველი გვარდიის დიდი ნაწილი რეზერვებში დაებრუნებინა. ველინგტონს უკვე ამოქმურა მთელი რეზერვები. ახლა საიმპერატორო გვარდიის ერთი დარტყმა იყო საჭირო ველინგტონის ცენტრის გასაღვევად. გვარდიის შეტევის ზუსტი დეტალები უცნობია და რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს. მიიჩნევა, რომ პლანშენუასთან მებრძოლი 14 ბატალიონიდან 12 იმპერატორის განკარგულებაში იყო. ნაპოლეონმა სამი ბატალიონი და ბელ-ალიანსესთან დატოვა, ხოლო დანარჩენები ბრიუსელის გზისკენ გაგზავნა, ველინგტონზე იერიშის მისატანად. საიმპერატორო გვარდია ველს მოეფინა. ექვსი დამატებითი ბატალიონი ნაპოლეონმა ნეის გაუგზავნა მოკავშირეთა ძალებზე შესატევად. იერიში რომ ნახევარი საათით ადრე დაწყებულიყო, ველინგ-



შეული გვარდიის უკანასკნელი ბრძოლა (ანდრეი ჯვრიანოვი, 2001)

ტონის პოზიციები განადგურდებოდა. შეუათანა გვარდიის გრუნადერების I და III ბატალიონების შეტყვას წინ ბრაუნშვაიგელები და 30-ე და 73-ე ბრიტანული პოლკები აღუდებნენ. გრუნა- დერებმა გაარღვეის ბრაუნშვაიგელთა რიგები, თუმცა ბრიტანელებმა მოახერხეს რაღაც დროით გვარდიელთა შეჩერება. ამავე დროს საიმპერატორო გვარდიის მეორე ეშელონი კო- ლინ ჰელკეტის ძალებს დაესხა თავს. ეს უკა- ნას კნელი ჯერ კიდვე აგრძელებდა თავდაცვას. ინგლისელები თითქმის განადგურების პირას იყენენ, მაგრამ ამ დროს გაისმა ველინგტონის ბრძანება: „წინ, მეიტლენდ, თქვენი დრო დადგა!“. ამ შეძახილზე წმოიშალა მაღლობის უკან, ველინგტონის მიერ ჩასაფრებული 1500 გვარდიელი ინგლისელი და ძლიერი ცეცხლი გაუხსნა გვარდიის ეგერებს, რომელთაც უკან დახევა დაიწყეს. ბრიტანეთის გვარდიელებმა შეუტიეს დაფანტულ ეგერებს და ბრძოლი- დან გააქციეს, შეძლებ კი უკან დაედვნენ და გადაწყვდნენ საიმპერატორო გვარდიის მე-4 ეგერთა პოლკს, რომელმაც ცეცხლი გაუხსნა მათ. ბრიტანელი გვარდიელები დაითხნობნენ და ჰელკეტისა და ადამსის ბრიგადების სკენ გაიქ- ცნენ, რათა გადაჯგუფებულიყვნენ და ახალი შეტყვის მოსაგერიებლად მოშნადებულიყვნენ. ფელდმარშალმა ჯონ კოლბორნმა საიმპერა- ტორო გვარდიის ბოლო ეშელონს მძლავრად შეუტია ფლანგიდან.

ნაპოლეონი უკვე აპირებდა ბრძოლაში უკანასკნელი სამი გვარდიული ბატალიონის

ჩართვას, როცა გაოცებულმა შენიშნა, რომ მისი გვარდიული ნაწილები უკან იხვდნენ. გვარდიის საუცხოოდ დაწყობილი შენაერ- თები ძლიერი შეტყვის შედეგად დაიშალნენ, ხოლო ბრიტანულმა მსუბუქმა კავალერიამ მათ ფლანგიდან შეუტია. სულ მაღალ ველინ- გტონმა სიგნალი მისცა ერთობლივი შეტყვის დაწყებისა. ველზე ფრანგთა მხოლოდ რელიეს კორპუსის ნარჩენები და ძველი გვარდიის სამი ბატალიონი იყო დარჩენილი და უკან დახევას იცავდა. პლანშენუა პოუსიელებმა აიღეს და შეტყვა განაგრძეს. როცა ნახა, რომ ველიაუე- რი დასრულდა, ნაპოლეონმა არმადა დატოვა.

გვარდიის გმირულად მებრძოლი კარე, რომელიც მტრის გრიგალისებურ ცეცხლში მოქაცა, საბოლოოდ დახებდა და მათმა მე- თაურმა, დაჭრილმა გენერალმა კამბრონმა თავისი დაშნა პოლკოვნიკ ჰელკეტს ჩაბარა. 22:00 საათზე ველინგტონი და ბლიუზერი ერთმანეთს ლა-ბელ ალიანსში შევდნენ და გამარჯვება მიულოცეს. ბრძოლაში ორივე მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა, დაახლო- ებით თანაბარი — 25-24 ათასი დაჭრილებისა და დახოცილების სახით. 15 ათასი ფრანგი დაითვალისწინა, ხოლო 8 ათასამდე ტყვედ ჩაგრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ველინგტონი თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდა, რაც მას ერთგვარ უპირატესობას აძლევდა, თუმცა ისეთ დიდ შედართმთავართან ბრძოლაში, როგორიც ნაპოლეონი იყო, ეს უპირატესობა ქარწყლდებოდა. მიუხედავად ამისა, ველინგ-

ტონი „კორსიკული ურჩხულის“ ღირსეული მოწინააღმდეგე აღმოჩნდა და ბლიუზერთან ერთად, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში, მოახერხა ვატერლოოს ველზე ფრანგების დამარცხება.

### ველვები

ვატერლოოს ბრძოლა ბრიტანელთა და პრუსიელთა გამარჯვებითა და ნაპოლეონის მარცხით დასრულდა. ბონაპარტის სამხედრო ხელოვნებაზე ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი, ბარონი ჟომინი წერს: „ჩემი აზრით, ოთხი მაზში არსებობს ვატერლოოსთან დამარცხებისა: პარველი და ყველაზე მნიშვნელოვნი ბლიუზერის სწრაფი მოძრაობა და ბრძოლის ველზე დროულად მისვლა იყო, მეორე — ბრიტანელი ქვეითი ჯარის გამდლეობა და მათი მეთაურების ცივსისხლიანობა, მესამე — საშინელი ამინდი და ატალახებული მიწა, რამაც ფრანგებს ხელი შეუშალა შეტევათა განხორციელებასა და მათთვის ასე ძეირფასი დღრის დაზოგაში, მეოთხე კი — უაზროდ განლაგებული მეოთხე

კორპუსი, რომელიც ზედმეტად ღრმა წყობით იდგა პირველი დიდი შეტევის დროს“.

ვატერლოომ კამპანიის ბედი გადაწყვიტა. მიუხედავად საფრანგეთში დავუს მიერ შეპრებილი 120-ათასიანი არმიისა, ნაპოლეონი გადადგა და აშშ-ში გაქცევა გადაწყვიტა, თუმცა ინგლისელთა ფლოტმა შეჩერა. იგი გადასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც 1821 წელს გარდაიცვალა. ვატერლოოს დღე ნაპოლეონის დღე არ იყო, მას არ გაუმართლა, იღაბალმა ზურგი აქცია, თავი იჩინა მისი მარშლების გაუგონარმა შეცდომებმა, რომელთაგან თითოეული შეიძლება გადამწყვეტი გამომდგარიყო. მარშალ ნეის ძვირად დაუჯდა „100 დღის“ პერიოდში იმპერატორთან მიმხრობა და ვატერლოოსთან მარცხი. იგი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და დახვრიტა. ნაპოლეონის ლეგენდამ ფიზიკური არსებობა დაასრულა, მაგრამ უდიდესი სამხედრო-ბრძოლიტი კური გენია ისტორიის ფურცლებზე დარჩა.

### ნიკა ხოცვიდა

„ბრძლში გამომწყვდეული ყოფილი იმპერატორი“ — ვატერლოოსთან გამარჯვების აღსანიშნავად ბრიტანულ პრუსიუმ უამრავი პოლიტიკური კარიკატურა გამოქვეყნდა. 1815 წლის 25 აგვისტოს დაბჭმილი კარიკატურა ასახავს ბრძლში გამოქტილ ნაპოლეონს, რომლის ირუვლივ დგანან მეშვიდე კოლოიცის მეოსურები და სამხედრო მოღვაწეები, მათ შორის ველიინგტონის პერიფრი, რესენის იმპერატორი ალექსანდრე, უსტინის იმპერატორი ფრანცი და პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმი



# ვატერლოოს განცევების ვაცი



## ემანუელ ბერში

ლინის ბრძოლის (16 ივნისი) შემდეგ მარშალმა გრუშიმ საბედისწერო დაფალება მიიღო  
„ბრძოლა ლინისთან“, ერნესტ კროფტი, 1875)

საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომებმა (1792-1815 წწ.) მხედართმთაგართა მთელი პლეადა წარმოშვეს. მათ შორის იყო ემანუელ გრუშიც, რომელმაც თავი უამრავ ბრძოლაში გამოიჩინა. იმპერატორის ერთგული მსახური გრუში ნაპოლეონის მიერ შერჩეული უკანასკნელი მარშალი იყო. მარშლის კვერთხი მან 1815 წლის აგვისტოში მიიღო, მაგრამ ხალხის მეტისირებაში მისი სახელი სამუდამოდ უკაგშირდება გატერლოოსთან ნაპოლეონის დამარცხებას, რაც თითქმის სრულად დაბრალდა გრუშის და მისი არაერთი წარმატება თუ მიღწეუ გადაფარა.

ემანუელ დე გრუში დაიბადა პარიზში 1766 წლის 23 ოქტომბერს ნორმანდიული წარჩინებული გვარის ოჯახში. მისმა გვარმა საუკუნეების განმავლობაში სახელი გაითქვა საფრანგეთში, განსაკუთრებით სამხედრო ას-პარიზშე. მარშალ გრუშის მამა ფრანსუა-ჟაკ დე გრუში მეფე ლუი XV-ის პირადი პატი იყო.

ორი ქორწინებიდან ოთხი შვილი შეეძინა, რომელთა შორის უფროსი ვაჟი სწორედ მომავლი მარშალი გახლდათ.

ასეთი წარმომავლობის ადამიანი, ბუნებრივია, სამხედრო კარიერას აირჩივდა. თოთხმეტი წლის ასაკიდან სხვადასხვა ელიტურ სამხედრო შენაერთში მსახურობდა.

სამხედრო განათლებას სტრასბურგის ელიტურ საარტილერიო სკოლაში მიიღო. სამეფო კარზე მსახურების დროს პირადად გაეცნო მეცნე ლუი XVI-ს. გრუშის საოჯახო საარქივო მასალებს შორის 1785 წლის 29 ოქტომბრით დათარილებული ერთი საინტერესო წერილიც გვხდება, რომლის მიხედვით, გრუშის მეცნესთან ერთად ნადირობის პატივი რგებია. იმავე წელს გრუში დაქორწინდა სესილ ლე დულჩე დე პორტეკულანზე, რომელიც მის გვერდით იყო მომდვნო ორმოცდაორი წლის განმავლობაში.

1789 წლისთვის, გრუშიმ საქმაოდ წარმატებული კარიერა შეიქმნა და მის მომავალი მეტ-ნაკლებად განსაზღვრული იყო. რევოლუცია რომ არ მომზდარიყო, ის განაგრძობდა სამეფო კარზე მსახურებას და უჰკევლად, თავისი წინაპრების მსგავსად, წარჩინებასაც მიაღწევდა. 1789 წელს საფრანგეთში დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა ყოველივე ეს შეცვალა. საფრანგებით, რომ რევოლუციის დაწყებისთანავე გრუშიმ ზურგი შეაქცია ბურბონთა ხელისუფლებას და რევოლუციურ იდეალებს დაუჭირა მხარი. ბუნებრივია, ამის შემდეგ სამეფო კარზე აღარ დაედგომებოდა და 1791 წლის მიწურულს გადავიდა ცხენოსან ეგერთა მე-12 პოლკში. გრუში ჭკვიანი და მონდომებული ოფიცერი იყო და მის გულმოდგინე საქმიანობას მაღლვე მიაქციეს კურადღება. 1792 წელს იგი პუსართა მე-6 პოლკის პოლკონიკი და მეთაური გახდა. ამ დროისთვის საფრანგეთი უკვე ავსტრიისა და პრუსიის წინააღმდეგ იმში იყო ჩაბმული და გრუში ავსტრიელთა და სარდინიელთა შემოტევებისგან იცავდა ალპებზე გამავალ აღმოსავლეთ საზღვრებს.

1793 წელს გრუში გადაიყვანეს ჩრდილოდასავლეთ საფრანგეთში, სადაც ამ დროს განდეის ამბოხება ბობოქორბდა. მან თითქმის ერთი წელი შეალია მეამბოხებთან ბრძოლას, მაგრამ თავდადებული სამსახურისა და მამაცობის მიუხდავად, რევოლუციურ ხელისუფლებას გრუში მაინც საეჭვოდ მიაჩნდა მისი არისტოკრატიული წარმოშობის გამო. 1793 წლის 30 სექტემბერს იგი დააპატიმრეს, როგორც საეჭვო პირი.

1794 წლის თელისში იაკობინელთა ხელისუფლება დაქმხო და ტერორის ხანა დასრულდა. ახალმა ხელისუფლებამ პატიმართა დიდი ნაწილი გაათვისუფლა და ბევრი კოფი-



გარშალ გრუშის პორტრეტი (ფან-სებასტიან რუილარდი, 1831)

ლი პატიმარი თანამდებობაზე აღადგინა, მათ შორის გრუშიც. გრუშიმ განაგრძო ვანდეელ ამბოხებულებთან ბრძოლა და წარმატებასაც მიაღწია, რისთვისაც 1795 წელს დღიუზის გენერლის წოდება დაიმსახურა. მომდვნო ორი წელიწადი მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა, მათ შორის, პრესტის სანაპიროს არმიის მხედართმთავრისა და ბრესტის კომენდანტისა.

1798 წელს გრუშიმ მონაწილეობა მიიღო გენერალ ლაზარ ჰოშის ექსპედიციაში, რომელიც წარუმატებლად ეცადა ირლანდიაში ბრიტანეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას. ირლანდიაში ექსპედიცია ნიშანდობლივია იმით, რომ გრუშიმ პირველად წარმოაჩინა თავისი გაუბედავი ხასიათი და ცვალებადი



განდევის  
ამბოხება 4  
წელიწადს  
გრძელდებოდა.  
შოლეს ბრძოლა  
1793 წლის 17  
ოქტომბერს  
გამართდა და  
სამაჯრობო  
ჯარების  
გამარჯვებით  
დასრულდა

ვითარების შეფასების უუნარობა გამოავლინა. გრუშის 35-გემიანი ექსპედიცია ირლანდიის ნაპირებს 1796 წლის დეკემბრის ბოლოს მიადგა. ამბოხებულ ირლანდიელთა ბელად თეობალდ ვოლ ტონის თხოვნის მიუხედავად, გრუშიმ ჯარების ნაპირზე გადასხმა ვერ გაძედა და ეს გადაწყვეტილება შესაბამისი ბრძანების არქონით დაასაბუთა. ფრანგული ესკადრა რამდენიმე კვირას უსაქმოდ იდგა ირლანდიის ნაპირებთან, სანამ ძლიერმა ქარიშხალმა დიდი ზიანი არ მიაყენა მას. ამასობაში ბრიტანელებმა ისარგებლეს ვითარებით და ამბოხებულთა წინააღმდევ ძლიერი შეტევა წამოიწყეს, რითაც საგრძნობლად შეცვალეს სამხედრო ვითარება და ფრანგებს ირლანდიელების დახმარების შესაძლებლობაც მოუსახეს. 1797 წლის იანვარში ფრანგები უკან დაბრუნდნენ, ხოლო ირლანდიელთა

ამბოხება ბრიტანელებმა სისხლში ჩაახშეს. თავის „ავტობიოგრაფიაში“ თეობალდ ტონი აღნიშნავდა, რომ 1796 წელს, „ისევე როგორც 20 წლის შემდეგ, გრუშიმ ბრიტანეთის იმპერიის მფარველი ანგელოზის როლი შეასრულა“. ვითარებაში, როცა გაძედულება, იმპროტიზაცია და სხარტი გონება იყო საჭირო, გრუშიმ პედანტობა და გაუბედაობა გამოამჟღავნა. ირლანდიელი მწერალი ბარი ობრაიენი სწორად აღნიშნავდა, რომ „გრუშის უუნარობამ, დაინახოს ხელთ არსებული დიდი შესაძლებლობა, ირლანდიაც დაღუპა და ვატერლოოც“.

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, გრუში დროებით გერმანიის ფრონტზე, მაინცის არმიაში მსახურობდა. 1799 წელს გენერალ ჟან მორის იტალიის არმიის შტაბის უფროსი გახდა და მონაწილეობა მიიღო მეორე

კოალიციის ომში. ფრანგები დამარცხნენ და ფაქტობრივად, ბონაპარტის იტალიური კამპანიის (1796-1797) მთელი მონაპოვარი მტერს დაუთმეს. გრუში ერთ-ერთი ბრძოლისას რამდენჯერმე დაჭრა და ტყვევდ ჩავარდა.

ავსტრიელებთან ტყვეობაში გრუშიმ ერთი წელიწადი დაყო. ამასობაში გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი ევვიპტიდან დაბრუნდა და სახელმწიფო გადატრიალების შედევად, საფრანგეთის ხელისუფლება დაამხო. ამ ამბის გაგებისთანავე გრუშიმ ტყვეობიდან გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი, რომელშიც ბონაპარტის ქმედებები დაგმო. 1800 წლის ზაფხულში გრუში გაათვაისუფლეს. იგი საშობლოში დაბრუნდა. პირველმა კონსულმა ბონაპარტმა მისი სამხედრო ნიჭი სათანადოდ შეაფისა და ერთ-ერთი დივიზიის უფროსად დანიშნა. იმავე წლის შემოღომაზე გრუშიმ მონაწილეობა მიიღო ავსტრიელთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში. 2-3 დეკემბერს ქალაქ პიპენლინდენთნ გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში, გენერალმა მორომ სახტიკად დაამარცხა ავსტრიელები. ამ ბრძოლის შედეგი, მარჯნოს ბრძოლაში ნაპოლეონის გამარჯვებასთან ერთად, ერთერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა ავსტრია-საფრანგეთის დაზავებისთვის. ამ ზაფით ფრანგებმა, ფაქტობრივად, დაიბრუნეს 1798-1799 წლებში დაკარგული ტერიტორიები. გრუშის დივიზიას დიდი როლი მიუძღვის ამ ბრძოლა-

ში. თავის მოხსენებაში მორომ ხაზი გაუსვა გრუშის წარმატებულ მოქმედებებს, მაგრამ ამ წარმატებას უარყოფითი შედეგიც მოჰყვა. მოროსა და ბონაპარტს შორის არსებული დაპირისპირება და შუღლი გაღრმავდა. ბონაპარტი, ბუნებრივია, ეჭვის თვალით უყურებდა პოტენციური მეტოქის ქვეშვრდომებს, მათ შორის გრუშისაც. ომის დასრულების შემდეგ, გრუში კავალერიის გენერალ-ინსპექტორად დაინიშნა, მაგრამ 1803 წელს იგი მოულოდნელად დიპლომატიური მისით მიავლინეს იტალიაში. მისი არყოფნის დროს ნაპოლეონმა გენერალ მოროს მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა დაწინა და დააპატიმრა. სასამართლომ თავდაპირველად მორო უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ ნაპოლეონის მხრიდან მოსამართლებზე ზეწოლის შედეგად, სასამართლო განაჩენა გაბათილდა და მოროს პატიმრობა შეუგარდეს, რომელიც შემდგომში ქვეყნიდან გაძევებით შეუცემალეს. სასამართლოს მიმდინარეობისას გრუშიმ მორალური სიმამაცე გამოიჩინა, საჯაროდ დაუჭირა მხარი ბრალდებულს და ნაპოლეონის ქმედებები დაგმო, რის გამოც, ბუნებრივია, კონსულის წყრომა დაიმსახურა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში გრუში მეორეხარისხოვნ თანამდებობებზე მსახურობდა ჯერ პოლანდიაში, ხოლო შეძეგ საფრანგეთის დასაულეთ რეგიონებში. 1805 წლის აგვისტოში გრუში დაინიშნა მეორე კორპუსის მეორე

იოლანდიური ექსპედიციის მარცხი, ფრანგული ესკადრის განადგურება (ინგლისური კარიკატურა, 1797)





გენერალი ლაზარ ჰოშ (1768-1797) წწ.

გენერალი ემ-კადეტორ მორი (1763-1813 წწ.)



დივიზიის უფროსად და მონაწილეობა მიიღო მესამე კოალიციის ომის ბრძოლებში, მათ შორის, ულმის ოპერაციაში. ავადმყოფობის გამო ის არ მონაწილეობდა აუსტრიულიცთან მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში. 1806 წელს გრუში პრუსიის წინააღმდეგ კამპანიაში ჩაერთო, თავი გამოიჩინა როგორც კავალერიის კარგმა მეთაურმა და ამით ნაპოლეონის ყურადღება მიიპყრო.

გრუში მონაწილეობდა 1807 წლის კამპანიაშიც და იბრძოდა რუსების წინააღმდეგ ეელაუს, ჰეილსბერგისა და ფრიდლანდის ბრძოლებში. გრუშიმ ბრძოლაში თავის გამოჩენისთვის საპატიო ლეგიონის ორდენი და სხვა ჯილდოები მიიღო.

1808 წლის თებერვალში გრუში ესპანეთში იბრძოდა. ნაპოლეონმა მას მაღრიდის გუბერნატორობაც კი უბოძა, რაც მისდამი გაზრდილ ნდობაზე მეტყველებს. 1809 წელს გრუშიმ იმპერიის თავადის წოდება მიიღო და იტალიის არმიის დრაგუნთა პირველი დევიზის უფროსად დაიინიშნა. 1809 წლის გაზაფხულზე საფრანგეთსა და ავსტრიას შორის ახალი ომი დაიწყო, რომლის დროსაც გრუშიმ იტალიაში გამართულ ბრძოლებში გამოიჩინა თავი. იტალიიდან ავსტრიელთა განდევნის შეძლება, გრუში იმპერატორს შეურთდა და გაგრამთან მომხდარი გენერალური ბრძოლის დროს (5-6 ოქლისი) ფრანგთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წელიდი შეიტანა. მართალია, გრუშიმ იმ წელს ვერ მოიპოვა მარშლის კვერთხი, მაგრამ სამაგიეროდ, ნაპოლეონმა მას რეკინის გვირგვინის ორდენი უბოძა და იმპერატორის მცველე გერთა პოლკის გენერალ-პოლკონიგის წოდება მიინიჭა. მრავალწლიანმა დაუღალავამა შრომამ გამოიტა და დაასუსტა გრუში, რის გამოც მან შვებულება ითხოვა და 1809 წლის ოქტომბერში სამშობლოში დაბრუნდა. ეს შვებულება იღბლიანი გმოდგა — ამით გრუში გაერიდა ესპანეთში დატრიალებულ მოვლენებს, რომლებმაც არაერთი ფრანგი გენერლის სიცოცხლე იძსხერპლეს.

მოქმედ არმაში დაბრუნება გრუშიმ მხოლოდ 1811 წელს მოახერხა. 1812 წელს, ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობის დროს, გრუში მესამე სარეზერვო კავალერიის კორპუსს მეთაურობდა და თავი გამოიჩინა ბოროდინოს (7 სექტემბერს მკერდში დაიჭრა), მალოიაროსლავეცის (24 ოქტომბერი) და კრასნის (15-17 ნოემბერი) ბრძოლებში. ნო-

ემბრის მიწურული სოფელის ნაპოლეონის დიდმა არმიამ მძიმე დანაკარგი განიცადა, კავალერია თითქმის სრულად განადგურდა. გადარჩნილი მხედრებისგან გრუშიმ შექმნა „საღმრთო ბატალიონი“, რომლის ძირითადი მიზანი ნაპოლეონის დაცვა იყო. ამ ქვედანაყოფით გრუშიმ გადალახა მდინარე ბერზინა, სადაც რუსეთის კამპანიის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა, და პოლონეთის საზღვრების კენჭი მიმავალ ნაპოლეონს გზა გაუკავა.

1813 წლის დასაწყისში გრუში მესამე საკავალერიო კორპუსის მეთაური გახდა, მაგრამ რუსეთში ლაშქრობამ იმდენად შეარყია გენერლის ჯანმრთელობა, რომ შვებულება ითხოვა. როცა ნაპოლეონმა ამაზე უარი უთხრა, გრუშიმ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა მოითხოვა და 1-ელი აპრილიდან საკუთარ მამულში დაბრუნდა. გერმანიაში განცდილი დამარცხებების შემდეგ ნაპოლეონმა გრუშის დაბრუნება მოსთხოვა და დიდი არმიის მთელი კავალერიის უფროსად

დანიშნა. 1814 წლის კამპანიის დროს, როცა თითქმის მთელი ვერობის ჯარები საფრანგეთს უტევდნენ, გრუშიმ წარჩინებით იმსახურა ბრიენთან, ლა როტიერთან, ვოშამპთან, მონმირასთან, ტრუასა (დაიჭრა) და კრაონთან (მძიმედ დაიჭრა) ბრძოლებში. ნაპოლეონის გადაღომის შემდეგ, გრუში ბურბონთა სამსახურში გადავიდა — მეფე ლუი XVIII-მ იგი მსუბუქი კავალერიის ინსპექტორად დანიშნა.

1815 წლის მარტის დასაწყისში ნაპოლეონი ელბიდან დაბრუნდა. გრუში დაუყოვნებლივ გადავიდა მის მხარეს. იმპერატორმა მას სამხრეთ საფრანგეთის არმიის მეთაურობა ანდო. აპრილის აირველ კვირაში გრუშიმ ძლიერი იერიშები მიიტანა სამხრეთ საფრანგეთში განლაგებულ ბურბონთა არმიაზე, რომელსაც ანგულემის ჰერცოგი მეთაურობდა და სასტიკად დამარცხა იგი, რითაც სამხრეთ საფრანგეთში ამბოხების საშიშროება აღკვეთა. ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების აღსანიშნავად ნაპოლეონმა გრუშის საფრანგეთის მარშლის წოდება

1815 წელს, ნაპოლეონის „ჩრდილოეთის არმიის“ ფრანგი ქვეითები (პიტერ დენისის ნახატი, 2007 წ.)



უბოძა (15 აპრილი) და იტალიის სახაპიროს დაცვა დააგვალა. აპრილის უკანასკნელი ორი კვირა გენერალმა ციხესიმაგრეთა გაძლიერებასა და ჯარის წვრთნას მოანდომა. 8 მაისს მარშალი გრუში პარიშში გაიწვიეს ბელგიის მომავალი კამპანიისთვის მოსამზადებლად.

ამ მომენტისთვის გრუშის კარიერა აღსავს იყო დიდი გამარჯვებებითა და გმირული ქმედებებით, მაგრამ ეს ყოველივე დაგიწყებას მიეცა 1815 წლის 18 ივნისის შემდეგ. საზოგადოების თყვალში იგი ამიერიდან გატერლოოსთან დამარცხების განტვების ვაცი გახდა.

ბელგიაში შეჭრისას გრუში მონაწილეობდა ლინისთან პრუსიელთა დამარცხებაში (16 ივნისი), რის შემდეგაც მან საბედისწერო დაფალება მიიღო. ლინისთან ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონი ბრიტანელთა წინააღმდეგ სალაშეროდ გაეშაადა, ხოლო გრუშის პრუსიელთა დადევნება დააგვალა. თავდაპირელად ეს შეტად ზოგადი ზეპირი ბრძანება იყო, რომელიც გრუშიმ 16 ივნისის საღამოს მიიღო. მან სცადა უფრო კონკრეტული წერილობითი ინსტრუქციების მოპოვება, მაგრამ პასუხად აცნობეს, რომ ნაპოლეონი შეუძლოდ იყო და ახალ დაგალებას დილით გასცემდა, როდესაც სამხედრო კითარება გაირკვეოდა. 17 ივნისს, დილით, გრუშიმ ისევ სცადა ინსტრუქციების მოპოვება, მაგრამ ვერც ამჯერად შეძლო იმპერატორისგან რამე ახლის გაგება, ვინაიდან ჯერ კიდევ გურუკვეველი იყო, სათ იხევდნენ პრუსიელები. შეუძლეს ნაპოლეონმა ბრძოლის ველის მონასულება გადაწყვიტა და გრუში თუნ გაიყოლა. მარშალმა ისევ მოიკითხა ინსტრუქციები, მაგრამ იმპერატორისგან მხოლოდ დაპირება მიიღო. უკვე პირველი საათი ხდებოდა, როდესაც ნაპოლეონმა დაიბარა გრუში და მას 33 765-კაციანი კორპუსით პრუსიელთა დევნა და მათი ინგლისელებთან შეერთების აღგვეთა დააგვალა.

ნაპოლეონის მიერ გრუშისთვის ასეთი საპასუხისმგებლო დაგალების მიცემა დღემდე დაზის საგანია. მართალია, გრუშიმ თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა კაფალერისტმა, მაგრამ ვითარება მოთხოვდა დიდ სტრატეგიულ ხედვას, რაც მას არ გააჩნდა. აგრეთვე გამოიკვეთა დაკარგული დროის მნიშვნელობაც. გრუშიმ თავისი კაფალერია (გენერლები ექსელმანი და პაული) დადევნა პრუსიელებს, მაგრამ მისმა ქვერალმა და პაული



ლერიამ ლინიდან გასვლა მხოლოდ 17 ივნისის საღამოს შეძლო, რამაც პრუსიელებს თითქმის ერთდღიანი უპირატესობა მისცა. დამით ამინდი შეიცავლა და ძლიერდა წვიმბებმა გზები გაუცალ ტლაპოებად აქცია. გრუში იძულებული გახდა, თავისი კორპუსი მთელი დამით შეეწერებინა. ამ დროისთვის მისმა კავალერიამ საბოლოოდ დაკარგა პრუსიელებთან კავშირი და ვერ გაარკვია, რა მიმართულებით იზევდნენ ისინი უკან. მეტიც, გრუშის ქვეშვრდომებს (გენერლები ექსელმანი, ჟერარი, პაული და სხვები) დიდად არ ეხატებოდათ გულზე ახალგამომცხარი მარშლისგან ბრძანებების მიღება. მით უმეტეს, რომ გრუშის არ ჰქონდა მარშალ ლუი-ნიკოლა დაუუს ან მიშელ ნეის მსგავსი საბრძოლო რეპუტაცია.

18 ივნისს, გამოზინისას, გრუშიმ მიიღო ცნობა, რომ პრუსიელები ქალაქ ვარისკენ მიდიოდნენ. საუზმობის შემდეგ (სწორედ აქ მიირთვა მან დესერტად ავადსახსენებელი მარწყვი), გრუში თავის ქვეით ჯარს ვაკრისებნ გაუძღვა. შეუძლისას უკვე სარტ-ა-ვალენთან იყო, როცა მას დასავლეთიდან ქვემქებების ს ხმა მოესმა. ეს სოფელ ვატერლოოსთან მიმდინარე ბრძოლის ხმა გახლდათ. გენერალმა ჟერარმა, რომელიც მე-4 კორპუსს მეთაურობდა, დაუი-



ნაპოლეონის შესვლა ბერლინში (1810 წ.)

ნებით მოითხოვა გრუშის მთელი კორპუსის ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ გალაშქრება. გენერლის ემოციურმა ტონმა და დაშინებამ მარშლის გაღიზიანება გამოიწვია. გრუშის უარი განაცხადა რომელიმე ქვედანაყოფის გაგზავნაზე და თავისი გადაწყვეტილების გასამართლებლად ნაპოლეონის ბრძანება დაიმოწმა, რომელიც გრუშის ქვეითი კორპუსების ერთმანეთის მახლობლად განლაგებას ითვალისწინებდა. სწორედ ეს იყო გრუშის შეცდომა — ნაპოლეონის ბრძანების ზედმიწვენით შესრულება და სტრატეგიული ვითარების შეუფასებლობა. მის ადგილას რომ მარშალი ლანი, დაუუ ან მასწანა ყოფილიყვნენ, კატერლოსთან ბრძოლა (და ალბათ მთელი ეს კამპანია) სხვანაირად წარიმართებოდა. მაგრამ გრუშის საგანგებო, გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებული დამოუკიდებელი ინიციატივის გამოჩენას, ბრძანების ბრძან შესრულება არჩია.

ამ დროს ოცამდე კილომეტრის მოშორებით, ნაპოლეონი ახალ ბრძანებას კარნახობდა, რომელშიც იგი თანხმდებოდა გრუშის გავრისკენ გალაშქრებას, მაგრამ ასევე სთხოვდა, ცალი ყურით „მათი მიმართულებით“ ყოფილიყო. ეს ბრძანება გრუშიმ

მხოლოდ შუადღის ოთხ საათზე მიიღო. ამ წერილმა, ერთი შეხედვით, გაამართლა გრუშის გადაწყვეტილება გავრისკენ გზის გაგრძელების შესახებ. მაგრამ სამ საათში მან მიიღო იმპერატორის ახალი ბრძანება, რომელიც ითხოვდა დაუყოვნებლივ ბრძოლის ველისკენ გალაშქრებას. 25 კილომეტრის მოშორებით მყოფი გრუშისთვის ბრძოლის ველამდე მანძილის დროულად დაფარება შეუძლებელი იყო. ამრიგად, მან ვერც ნაპოლეონის დახმარება შეძლო და ვერც პრუსიელები შეაჩერა, რამაც ნაპოლეონისა და პირველი იმპერიის ბედი გადაწყვიტა...

ვატერლოის შეძლება გრუშის ქალაქ ვურთან მოიპოვა უმნიშვნელო გამარჯვება, დამარცხა პრუსიელთა აკანგარდი ნამიურთან (20 ღვნისი) და ფრანგული არმიის გადარჩენილი ნაწილი (45 ათასამდე ჯარისკაცი) პარიზთან მიიღვანა. 26 ღვნის იგი ჩრდილოეთის არმიის მხედართმთავრის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ორ დღეში დროებითმა ხელისუფლებამ თანამდებობიდან გადააყენა. ბურბონთა მეორე რესტავრაციის შემდგვ, გრუში იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასულიყო, სადაც მან ხუთი წელიწადი გაატარა. ემიგრაციაში წასვლამდე აქტიურად მონაწილეობდა ფრანგი ბონაპარტისტების მიერ ნაპოლეონის წმინდა ელენეს კუნძულიდან დახსნის რამდენიმე მცდელობაში.

1819 წელს მეფე ლუი XVIII-მ შეიწყალა გრუში და მას ლეიტენანტ-გენერლის წოდება უბობა (24 ნოემბერს). 1820 წლის 20 ღვნისს ყოფილი მარშალი დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მას როული ცხოვრება ელოდა. როიალისტები მის დასჯას ითხოვდნენ, ხოლო ბონაპარტისტები კატერლოს კამპანიის დროს დამვატელი შეცდომების გამო მოღალატედ მიიჩნევდნენ. 1830 წლის ივნისის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის ახალმა მეფე, ლუი ფილიპმა გრუშის დაუბრუნა მარშლისა (1831 წლის 19 ნოემბერს) და პერის (1832 წლის 11 ოქტომბერს) წოდებები. მარშალმა კადევ 16 წელიწადს იცოცხავდა. იტალიაში მოგზაურობისას დაავადებული გრუში 1847 წლის 29 მაისს გარდაიცვალა დაბა სენ-ეტიენში.

### **ალექსანდრე მიხაელის**

**ლუიზიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

# თეოდორ ჩეზველი:

## „კარიკა უპირველეს ყოვლისა“

26-ე პრეზიდენტი ამერიკის  
ზესახელმომიწოდებელი  
აღმასვლის სიმბოლოდ იქცა

თეოდორ რუზველტის პერიოდის  
აშშ-ის პოლიტიკური სისტემა,  
სოციალურ-ეკონომიკური განვითარება  
და კულტურული ფასეულობები  
განასახიერებდა ახალ ეპოქას ქვეყნის  
ისტორიაში. შეიძლება ითქვას, XX  
საუკუნე ამერიკისთვის რუზველტის  
პრეზიდენტობასთან ერთად დაიწყო.  
მისი მმართველობის წლები ქვეყნის  
მოდერნიზაციისა და გათანამედროვების  
პერიოდად არის შეფასებული. ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოზეფ პირველი 1910 წელს  
ვნაში სტუმრად მყოფ ექს-პრეზიდენტ რუზველტზე ამბობდა: „მე ვარ ძველი სისტემის  
უკანასკნელი წარმომადგენელი, მაშინ როცა ჩემი ამერიკელი სტუმარი განასახიერებს  
ახალ მოძრაობას, თანამედროვებისა და მომავლის მოძრაობას“.



თეოდორ რუზველტის პრეზიდენტად არჩევისას  
შესრულებული გრაფიურა

რუზველტის სახელი აშშ-ის ზესახელმწი-  
ფოდ გადაცემის უკაშირდება. მართალია, ამის  
საფუძველი მის პრეზიდენტობამდე შემზადდა,  
თუმცა რუზველტმა სრულად გააცნობიერა და  
შეუცადა, მაქსიმალურად გამოიყენებინა აშშ-ის,  
როგორც უკვე მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი  
სახელმწიფოს შესაძლებლობები. რუზველტმა  
დაარღვია XVIII საუკუნის მიწურულიდან  
ტრადიციად ქცეული იზოლაციონისტური ეპო-  
ქა და აქტიური საგარეო პოლიტიკა წარმართა.  
იგი იყო პირველი ამერიკელი პრეზიდენტი,  
რომელმაც ქვეყანას გლობალური ინტერესები  
დაუსახა. რუზველტმა მეთოდურად, თანამიმ-  
დვერულად გამოიყენა კონსტიტუციით გარან-  
ტირებული პრეზიდენტის უფლებამოსილებანი  
და რეფორმების მიშვებით ამერიკა XX საუ-  
კუნის ახალ მსოფლიო რეალობას მიუსადაგა.  
გაშინგტონს კი რუზველტის პრეზიდენტის  
პერიოდში ზესახელმწიფოს დედაქალაქის  
დატვირთვა მიენიჭა.

თეოდორ რუზველტი 1858 წლის 27 ოქ-  
ტომბერს ნიუ-იორკში დაიბადა, თეოდორ  
რუზველტ უფროვისა და მართა ბალოკ რუზ-  
ველტის ოჯახში. რუზველტები ნიუ-იორკის  
დაწინაურებულ საგვარეულოს წარმოადგენ-  
დნენ. მომავალი პრეზიდენტის მამა ქალაქში  
პატივცემული და შეძლებული ბიზნესმენი  
გახლდათ. დედა ჰქონდა მედალითი სამხრეთული  
არისტოკრატიული ელიტის შთამომაცალი  
იყო ჯორჯის შტატიდან. ოჯახში ოთხი  
შვილი იზრდებოდა. მამა განსაკუთრებით  
ზრუნავდა თეოდორზე, რადგან მას ასთმა  
და ახლომხედველობა აწესებდა. ფიზიკური  
სისუსტის ასანაზღაურებლად რუზველტი  
მუდმივად ვარჯიშობდა, გატაცებული იყო  
ხელოვნებითაც. ბავშვობაში გამომუშავებული  
რკინისებრი ნებისყოფა, რომლითაც ჯანმრთე-  
ლობის პრობლემებს ეწინააღმდევებოდა, მისი  
პიროვნების ერთ-ერთი მთავარი სახასიათო  
თვეისება გახდა. პრეზიდენტობის წლებშიც

იგი თამაშობდა ჩოგურთს, ჯირითობდა, გატაცებული იყო კრივით, ნადირობითა და მოგზაურობით.

მისი იდეალი იყო ძლიერი, გამბედავი, კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლობის გრძნობის ქმნები მამაკაცი. რუზველტი ამ თვისებებით თავადაც გამოირჩეოდა, რაც დიდწილად განაპირობებდა მის დიდ პოპულარობას საზოგადოების ფართო ფენებში.

ადრეულ ასაკშივე რუზველტი განსაკუთრებით დაინტერესდა საბუნებისმეტყველო საგნებით, ლიტერატურით და ფილოსოფიით. მშობლები და მასწავლებლები ყველანაირად უდივებდნენ მას ამ ინტერესს. ბავშვობაშივე მშობლებიან ერთად იმოგზაურა ევროპაში, პალესტინასა და ეგვიპტეში. ოკეანის იქითა სამყარომ გააფართოვა მისი თვალსაწირი, გააცნო დასავლეთუროპული კულტურა და ცხოვრების წესი. 1873 წელს რუზველტი რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა დრეზდენში, სადაც გერმანული ენის ცოდნა გაიღორმავა.

### პარმარლული არჩევანი


1876-1880 წლებში რუზველტი პარმარლის უნივერსიტეტში სწავლობდა. სტუდენტობის პერიოდი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. პარმარლში გაიცნო მან ჰენრი კებოტ ლოჯი, მასაჩუსეტსის მომავალი გუბერნატორი რეპაულიკური პარტიიდან, შემდგომში რუზველტის საუკეთესო მეგობარი და პოლიტიკურ საკითხებში მრჩეველი. პარმარლშივე გაიცნო მომავალი მეუღლე, მომხიბლავი ელის პერუე ლი, ბოსტონის წამყანი ბანკირის ქალიშვილი. სწავლის დასრულებისთანავე ელისი და თეოდორი დაქორწინდნენ. 1884 წელს რუზველტს დიდი ტარგედია დატყვდა თავს, ელისი მშობიარობას გადაყვა. ორი წლის შემდეგ თეოდორმა ხელმეორედ იქორწინა ახალგაზრდობის მეგობარ, ნიუიორკელ ედით კერმიტ ქეროუზე. პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ქალიშვილი ელისი, ედითთან კი ხუთი შევილი შეებინა. რუზველტი ყოველთვის ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს შეიღებთან.

პროფესია პარმარლში ყოფნისას შეარჩია და პოლიტიკოსობა გადაწყვიტა. ნიუ-იორკში დაბრუნებისთანავე დაიწყო იურისპრუდენციის შესწავლა კოლუმბიის უნივერსიტეტში, იმავდროულად ეუფლებოდა ისტორიასაც.

1881 წელს გამოვიდა რუზველტის პირველი წიგნი „1812 წლის საზღვაო ომი“. სწორედ ამ წიგნში წარმოადგინა რუზველტმა პირველად თავისი შეხედულება აშშ-ის საზღვაო ძლიერების შესახებ. ახალგაზრდა აუტორი მიიჩნევდა, რომ აუცილებელი იყო, ამერიკას მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეექმნა. ამ წიგნით დაიწყო მისი სავტორო მოღვაწეობა, ფლოტის იდეას კი მომავალში პრაქტიკულად შეასხა ხორცი.

იმავე წელს რუზველტი აირჩიეს ნიუ-იორკის შტატის ასამბლეაში რესპუბლიკური პარტიიდან, რაც პირველი წარმატება იყო პოლიტიკურ კარიერაში. რუზველტის რეფორმატორული სულისკვეთება და ახლებური ხედება ასამბლეაში გამოიკვეთა. მან პოლიტიკის ჩრდილოვან მხარეს მიაპყრო კურადღება და შტატის პოლიტიკურ სტრუქტურებში გაფრცელებულ კორუუციას, საარჩევნო ხმების მოსყიდვასა და შედეგების გაყალბებას დაუპირისირდა. მისი წარმომავლობის კაცის-გან მაშინ ამგარი საქციელი მოულოდნელი აღმოჩნდა. რუზველტი ნათლად ხედავდა, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა რეფორმების გატარების საშუალებას არ მისცემდა. მან გადაწყვიტა, ამომრჩეველთან პირდაპირი კომუნიკაცია დაემყარებინა, პოლიტიკური გამოეაშკარავებინა და საჯარო გაეხადა. რუზ-

### პარმარლში სწავლისას





**მერიკის დასულეთში განმარტოებისას (1885 წ.)**

ველტმა ჯგაროსნული ლაშქრობა წამოიწყო იუსტიციის სამინისტროსა და პოლიციაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ. ენერგიული დეპუტატი აუცილებელ მოთხოვნად ასახელებდა სამოქალაქო სამსახურის რეფორმასაც. რუზველტი აგრეთვე დაინტერესდა სოციალური თანასწორობის საკითხებითა და ქარხნებსა თუ ფაბრიკებში დასაქმებულთა პრობლემებით. პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად რუზველტმა სოციალურ უსამართლობასთან ბრძოლა დაისახა...

## **განმარტოებიდან – არაზიდუნცობამდე**

პირველი ცოლის გარდაცალების შემდეგ რუზველტი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა და ნიუ-იორკიდან შუა დასავლეთში, შორეულ დაკოტაში გადასახლდა. სულიერ სიმშეცდეს რიგითი კოგბოის ცხოვრებაში ეძებდა. მშფოთვარე მეგაპოლისიდან უკაცრიელ პერიფერიაში გაქცევით გამოვლინდა რუზველტის თაობის ამერიკელთა მისწრაფება დასავლეთში ე.წ. ფრონტირული

ცხოვრებისგან. თანამედროვე მექანიკურ ცივილიზაციას, სამრეწველო ეპოქას გამოქცეულ რუზველტს ნოსტალგიურად იზიდავდა ამერიკულ პიონერთა პერიოდის მარტივი და მკაცრი ცხოვრება. ამ თემას მან მიუძღვნა წიგნი „დასავლეთის დაპყრობა“, სადაც დანანებით აღნიშვნადა, რომ ოდესაც ამერიკის დასავლეთში ფრონტირის ახალმოსახლეთა კურთხეული ცხოვრების წესის გაქრობით, წარსულს ჩაპარდა მხოლოდ ამერიკისთვის დამახასიათებელი სასაზღვრო გამოცდილება.

გვალვამ და ფინანსურმა ფიასკომ რანჩოზე რუზველტის ცხოვრება მაღვე დაასრულა. 1886 წელს იგი ნიუ-იორკს დაუბრუნდა და ჩაება ჯერ ადგილობრივ, მერე კი საერთო-ეროვნულ პოლიტიკაში.

1897 წელს პრეზიდენტად მაკ-კინლის არჩევის შემდეგ რუზველტი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. აქ მას საშუალება მიეცა, აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის წარამდლვრებზე ეფიქრა და ფლოტის შექმნას შესდგომოდა. ეს გეგმა დროული აღმოჩნდა და საჭიროება მომდვერო წელსვე გამოვლინდა. ესპანეთ-ამერიკას შორის ამტყდარ ომში ყველაფერი დროულად მობილიზებულმა ესკადრამ გადაწყვიტა, რომელმაც ჯორჯ დიუის მეთაურობით ესპანელთა ფლოტილა მანილასან დამარცხა. ომში ამერიკამ გაიმარჯვა, ესპანეთი კარიბის ზღვის აუზიდან განდევნა და ქვეყნის წყნარი ოკეანისპირა სანაპიროს უსაფრთხოება დაიბეჭა. ამერიკელთა ხელში გადავიდა ფილიპინებიც.

რუზველტი ყველანაირად უჭირდა მხარს ამ ომის დაწყებასა და მის მიმდინარეობას. მისი აზრით, ეს ხელსაყრელი მომენტი იყო კუბაში ესპანეთის კოლონიური მმართველობის დასასრულებლად. ამგვარად ამერიკა საკუთარ პოზიციებს დასავლეთ ნახევარსფეროში გაიმყარებდა. იმავდროულად, შესაძლებელი იქნებოდა ამერიკის ინტერესების დაცვა-გაფართოება შორეულ აღმოსავლეთში და ამისთვის საყრდენი ბაზა ფილიპინები იქნებოდა.

რუზველტი ხედგობდა, რომ ეს ხანმოკლე ომი განსაკუთრებული შანსი იყო, რომელიც მას ხელიდან არ გაუშვია. სამხედრო მოქმედებებში ჩართვის დაუკეტებელი სურვილით შექმნა ბატალიონი „ცხენების გაქცევნავები“ და კუბისკნ დაიძრა. მოხალისეთა ამ არაორდინარულმა ფორმირებამ და მათმა მეთაურმა საზოგადოების ყურადღება მაღვე მიიპყრო.



**კუბისთვის ომის პერიოდში**

პრესა რუზველტზე აქტიურად აღაპარა კდა. ომის დასასრულს იგი ამერიკაში ერთ-ერთი კველაზე ცნობილი კაცი გახდა.

ამ ტალღაზე რუზველტი ნიუ-იორკის გუბერნატორად აირჩიეს, თუმცა ამ პოსტზე დიდხანს არ დარჩენილა. პოპულარობის წყალობით, 1900 წლის არჩევნებში ვიცე-პრეზიდენტის იდეალურ კანდიდატურად დასახელდა.

1901 წელს, 4 მარტს, ფიცი დადო აშშ-ის ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა თუოდორ რუზველტმა. სენატისადმი მოკლე მიმართვაში მან განაცხადა: „ჩვენ ვართ ახალი ნაცია, რომელიც უკვე განაგებს უზარმაზარ ძალას... ჩვენ ვართ წარმყანი ქვეყანა კონტინენტსა და ერთ ნახევარსფეროში. აღმოსავლეთით და დასავლეთით, ორი დიდი ოკეანის გადაღმა, ჩვენ ვხედავთ კიდევ უფრო დიდი სამყაროს ცხოვრებას, რომელმიც ჩვენც, გვინდა თუ არ გვინდა, უფრო და უფრო მეტად უნდა მივიღოთ მონაწილეობა“.

შემოდგომაზე, 14 სექტემბერს, შეიარა-ლებული თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა

პრეზიდენტი მაკ-კინლი. იმავე დღეს, 42 წლის თუოდორ რუზველტმა დადო ფიცი, როგორც ამერიკის 26-ე პრეზიდენტმა. შესაძლებელია ითქვას, რომ ჯონ ჰუინსი ადამსის შემდეგ, ამ პოსტისთვის ესოდენ მოშადებული კანდიდატურა თუთო სახლში აღარ ყოფილა. რუზველტი კარგად იყო დაუფლებული პოლიტიკოსის საქმიანობას, ერკეოდა შეოფლიო პოლიტიკურ პროცესებში და ახლო ურთიერთობა პქონდა ვეროპის წამყვან პოლიტიკოსებთან.


#### ფილახლეული რეზორმატორი

რუზველტი ენერგიულად შეუდგა მოქმედებას. მან განიზრახა, პოსტით მინიჭებული უფლებამოსილებანი გამოიყენებინა საკუთარი პოლიტიკური ხედვისა და რეფორმათა გასატარებლად. იმავდროულად, რუზველტს სიმოუნებდა ძალაუფლება, პოპულარობა და უკელა ის შესაძლებლობა, რომელიც მას პრეზიდენტის ამპლუაში მიეცა.

თავისი დიდი ოჯახით რუზველტი თუთო სახლში დაბინავდა და განკარგულება გასცა. შენობა მთლიანად გაერემონტებინათ. მისივე



პანამის არხის  
შენებლობა  
(1908 წ.)



ბრძანებით, თუთრ სახლს დამატებითი ფრთა მიაშენეს. რუზველტმა პიროვნული კვალი დამტკიცა თავის საპრეზიდენტო მოღვაწეობას. იგი ცდილობდა, თვითონაც და მისი ოჯახიც საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ეტალონი ყოფილიყო.

რუზველტმა გონივრული საკადრო პოლიტიკა წარმართა. 1904 წლის არჩევნებში გასამარჯვებლად მას ესაჭროებოდა მხარდამჭერთა რიცხვის ზრდა რესპუბლიკურ პარტიაში. ამიტომ ძალიან ფრთხილობდა — მან არ შეცვალა მაქ-კინლის პრეზიდენტობის დროინდელი კაბინეტის შემადგენლობა და კომპრომისებზე წასვლის შხაობასაც გამოხატვდა დაგვმილი რეფორმების გატარებისას.

1904 წელს ჩიკაგოში, რესპუბლიკური პარტიის დელგატების შეკრებაზე რუზველტი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატად ერთხმად დაასახელეს და დიდი უპირატესობითაც გაიმარჯვა. საარჩევნო დამეს მან განაცხადა, რომ 1908 წლის არჩევნებში კრწეს აღარ იყრიდა.

საშინაო პოლიტიკაში უმთავრესი ადგილი ეჭირა პრეზიდენტის ბრძოლას გიგანტური ტრესტების (მონოპოლისტური გაერთიანებების) წინააღმდეგ. იგი მათზე სახელმწიფო კონტროლის დამყარებას შეეცადა. პირველი განმაურებული პროცესი ტრესტის წინა-

აღმდეგ 1902 წელს დაიწყო. რუზველტის გენერალურმა პროკურორმა ფილანდერ ნოესმა 1890 წლის შერმანის ანტიტრასტულ (ანტიმონოპოლიურ) კანონზე დაყრდნობით (რომელიც მნამდე პრაქტიკულად ფიქციას წარმოადგენდა) დაიწყო სასამართლო პროცესი გავლენიანი ბიზნესების პრეზიდენტის — „ჩრდილოეთის სააქციო საზოგადოების“ წინააღმდეგ. 1904 წელს უმაღლესმა სასამართლომ ტრესტი დაშალა. ამას მოჰყვა სხვა პროცესები ტრესტების წინააღმდეგ.

აღსანიშნულია, რომ რუზველტი მონოპოლიზმს მიიჩნევდა საზოგადოებისა და კულტურული განვითარებისა და კუთილდღეობის შემაფერხებელ ერთ-ერთ მთავარ ფქქორისად, მაგრამ მეორე მხრივ მიაჩნდა, რომ კანონის ფარგლებში მოქმედი მსხვილი საწარმო თუ ბიზნესგაერთიანება საჭირო და აუცილებელიც იყო ქვეყნისთვის. ამგვარად, იგი ერთმანეთისგან „კარგ“ და „ცუდ“ ტრესტებს განარჩევდა. ამ მხრივ პრეზიდენტის ზომიერი ხედვა მაშინაც გამოვლინდა, როცა იგი არ დაუპირისპირდა უოლ სტრიტის ფინანსურ მაგნატებს.

1903 წელს რეფორმათა შესაბამისად, შეიქმნა ვაჭრობისა და შრომის სამინისტრო, კანონით დარეგულირდა ტარიფები კერძო სარკინიგზო ხაზებზე. განსაკუთრებით

„დიდი თური ფლოტი“ აშშ-ის სამხედრო საზღვაო  
ძალების დაჯგუფების პოპულარული სახელწოდება  
იყო. მან თურდორ რუზელტის ბრძანებით  
1907-1909 წწ. მსოფლიოს შემოუარა



მნიშვნელოვანი იყო 1906 წელს მიღებული „ხორცის შემოწმების აქტი“ და „სუფთა საკვებისა და წამლის აქტი“. მათი მეშვეობით აღმოიფხვრა უხეში დარღვევები საკვები პროდუქტებისა და ფარმაკოლოგიური პრეპარატების წარმოებისას. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია 1906 წელს ეურნალისტ გამომმიებელ ეტონ სინკლერის წიგნმა „ჯუნგლები“, სადაც აღწერილი იყო ჩიკაგოს ხორციროდუქტების წარმოებაში არსებული საშინელი ანტისანიტარია.

რეფორმათა მასშტაბი არ იყო ყოვლისმომცველი, მაგრამ ინიციატივები და ცვლილებები მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდა. საბოლოო ჯამში, რუზელტი თავს იკავებდა რადიკალური რეფორმებისგან, რის გამოც ოპონენტები აკრიტიკებდნენ.

აღსანიშნავია რუზელტის ჩარევა 1902 წლის მაღაროელთა გაფიცვაში, პენსილვანიაში. მუშები ხელფასის გაზრდას ითხოვდნენ. არმიის გაგზავნისა და მაღაროების ნაციონალიზაციის მუქარით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ პრეზიდენტმა იმას მიაღწია, რომ მებატრონე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას დათანხმდა და თანამშრომლებს ხელფასი გაუზარდა. მართლია, სარგომ მცირედით მოიმატა, მაგრამ ეს იყო

პრეცედენტი, რომ შრომითი კონფლიქტები კერძო, დახურულ საქმეს არ წარმოადგენდა. რუზელტმა პირველად მიაღწია სახელმწიფო სამართლის ძალის შრომით კონფლიქტებში ჩარევას. იგი შარს უჭერდა პროფესიონალების ფორმირებას.

### მსოფლიოს მასშტაბით

რუზელტი „მონროს დოქტრინის“ დაცვას შეეცადა. დოქტრინით აშშ პრეტეზიას აცხადებდა, ერთპიროვნული პოლიტიკური გავლენა პქონოდა მოულ დასავლეთ ნახევარსფეროში. თუმცა ეს დოქტრინა ეკონომიკურ ძალთა ბალანსით გამაგრებული არ იყო. ევროპული სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი გერმანია და ინგლისი, ფლობდნენ ეკონომიკურ გავლენას კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებზე. 1890-იანი წლებიდან გაიზარდა პოტენციური საფრთხე და ევროპის ქვეყნების შხაობა, თავისი ინტერესების დასაცავად სამხედრო ინტერესებით მოქმდინათ აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში. ამგვარად, „მონროს დოქტრინის“ დაცვა მხოლოდ ძალისძიერი გზით იყო შესაძლებელი. რუზელტმა კარიბის ზღვის აუზში სამხედრო ფლოტი გაგზავნა „დიდი ხელკეტის“ უზუქციით და გერმანიის ინტერესების საფრთხე მინიმუმამდე დაიყ-



**რუზველტი საფარის დროს მის მიერ მონაცირებული სპილოს გვერდით**

გნა. ამდენად, აშშ-მა კარიბის ზღვის აუზში იკისრა ე.წ. უანდარმის ფუნქციები.

ატლანტისა და წყნარ ოკეანებში ამერიკული ფლოტის მობილური გადაადგილების-თვის რუზველტის ჰერიონდში აშშ-მა პანამის არხის გაყვანის განსაკუთრებული უფლება მოიპოვა და მასზე კონტროლიც დაამტეარა.

რუზველტის აქტიური საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ეპიზოდია რუსეთ-იაპონიის ომში მონაცილეობა. მისი შუამაღლობათ მოხერხდა საბრძოლო მოქმედების შეწყვეტა, ხოლო სამშეიღობო ხელშეკრულება გაფორმდა პორტსმუთში, ნიუ-ჰემპშირში გამართული კონფერენციის შედეგად, რომელსაც რუზველტი ხელმძღვანელობდა. აშშ ასევე ჩაერია მაროკოს საკითხის მოგვარებაში და დაარგვულირა გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა. მაროკოს-თან დაკავშირებით რუზველტს რამე კონკრეტული ინტერესი არ ჰქონია, თუმცა როგორც ზესახელმწიფოს სტატუსის მქონე ქვეყანას, აშშ-ს უკვე უყალიბდებოდა ირიბი თუ პირდაპირი ინტერესები მსოფლიოს ყველა წერტილში.

რუზველტის პრეზიდენტობისას იქცა ამერიკა მსოფლიოში სიძლიერით მეორე საზღვაო სახელმწიფოდ. მიუხედავად საბრძოლო სულისკვეთის გამოვლინებისა, რუზველტი მილიტარისტი პრეზიდენტი არ ყოფილა. სამხედრო ძალაზე აქცენტირება პრეზიდენტის თვითმიზანი არ ყოფილა, შეიარაღებაზე

ფიქრი გლობალურ სამყაროში ამერიკის ადგილის მისეული ხედვიდან გამომდინარებდა. კიბილებამდე შეიარაღებულ სამყაროში აშშ-ს უფლება არ ჰქონდა, ბედის ანაბარა დარჩენილიყო და სამხედრო გაძლიერებაზე არ ეფაქრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ნაციონალურ ინტერესებს საფრთხე დაემუქრებოდა და ამერიკა დაემსგავსებოდა ჩინეთს, რომელიც უცხო ქვეყნების ინტერესებმა იმსხვერპლა. ჩინეთს და კნინგბული მდგომარეობა მისთვის იყო მაგალითი, როგორ შეიძლება დაეცეს განათლებული, მდიდარი, მაგრამ დასუსტებული, ცვილიზაციის სიახლეებთან ადაპტაციის უნარდაკარგული ქვეყანა.

1906 წელს რუზველტს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. თავად ეს ფაქტიც მოწმობდა XX საუკუნის მშეოთვარე და დაძაბულ ეპოქას. პრემიის გადაცემის ცერემონიაზე მან კიდევ ერთხელ მოუწოდა სახელმწიფოებს ზღვაზე განიარაღებისკენ, ჰავაის საერთაშორისო სასამართლოს გაძლიერებისკენ და გამოთქვა აზრი მშვიდობის ლიგის ფორმირების შესახებ, რომელიც საჭიროებისას ძალის მეშვეობით დასჯიდა მშვიდობის დამრღვევ მხარეს.

\*\*\*

საშინაო პოლიტიკაში გამორჩეული იყო რუზველტის ინიციატივები ბუნებისა და გა-

რესამყაროს დაცვის სფეროში. 1902 წელს შემუშავდა კანონი მელიორაციის შესახებ, ფართოდ გაიშალა მუშაობდა დასავლეთ შტატების გვალვიანი რეგიონების მოსარწყავად. აიკრძალა ტკების უმოწყალო გაჩერვა, ნაკრძალები გაფართოვდა და შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები.

მეტი სოციალური სამართლიანობა, ბიზნეს-მენთა და დასაქმებულთა შორის ჰარმონიის სკენ სწრაფვა, უხეში სოციალური უთანასწორობის კორექტირება, ინდუსტრიული ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად მიღებული პრობლემები — რეზევლტს მიაჩნდა, რომ ყველა ამ საკითხის მოგვარებისას სახელმწიფოს მეტი ფუნქცია და გალდებულება უნდა ეკისრა. ეს ახალ, უფრო პროგრესულ ეპოქას მოასწავებდა, რომლის პირველი პრეზიდენტი რუზველტი გახდა.



იგი არ ყოფილა აშშ-ის სულიერი ნოვატორი. მისმა პიროვნულმა თვისებებმა, ხასიათმა, ენერგიულობამ, რეალობის აღეკვატურმა აღქმამ, ქარიზმამ მისი სისუსტეები გადაფურა და აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ

პრეზიდენტადაც აქცია. ერთი რამ აშკარაა, რუზველტმა მანამდე არნახული ელფერი შესძინა პრეზიდენტის ინსტიტუტს. ისტორიულ ცნობიერებაში ის აშშ-ის ზესახელმწიფომდე აღმასვლის სიმბოლოა.

1912 წელს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით მან საკუთარი პროგრესივისტული პარტია შექმნა, თუმცა დამარცხდა და პოლიტიკას ჩამოშორდა. 1913 წელს ბრაზილიაში გაემგზავრა, წაიკითხა ლექციების კურსი, მონაწილეობდა ბრაზილიის გამოუკვლევ რეგიონებში მოწყობილ ექსპედიციაში. ჯუნგლებში იღრძო ფეხი და მაღარიით დაავადდა, რამაც ჯამბროულობა შეუწყა. გაუკეთეს ოპერაცია, რომელიც მძიმედ გადაიტანა. I მსოფლიო ომში საფრანგეთის ფრონტზე უმცროსი შვილის, კვინტინის დაღუპვამ რუზველტი ძალიან დათრგუნა. 1919 წლის 6 იანვარს იგი 60 წლის ასაკში გარდაიცვალა თავის სახლში — სეკერონ პილში, ნიუ-იორკთან ახლოს.

## **თიბილ პაროვაი,**

**თუ ისტორიის დოქტორანტი**



# ქართველ არგონავტთა ფათორაკების თავგადასავალი კოლექტი

საქართველოში  
1970 წელს აგებული  
„ოქროს საწინააღმდეგო“



**მითის გაცოცხავასაბუს ხომალი,  
ტიტ სავარიზო კეჩი, საკართველოში კამეს**

არგონავტების ხომალდის ძველ კოლხეთში მოგზაურობის რეალურობის „დასამტკიცებლად“, 1985 წელს, ინგლისელმა მოგზაურმა ჭიმ სევერინმა არგონავტების მარშრუტი 3 ათასი წლის შემდეგ გაიარა. ხომალდი ძველბერძნულ მითში მოთხოვდილ „არგოს“ კონსტრუქციას იმეორებდა. უცხოეთში მეცნიერებმა არ იციან და სამწუხაროდ, მაინცდამაიც აღარც ჩვენთან ახსოვთ, რომ 45 წლის წინ, გაცილებით ადრე ტიმ სევერინის მოგზაურობამდე, საქართველოში ანტიკური ხომალდის მსგავსი ააგდეს, რომელსაც „ოქროს საწმისი“ ქროდა. უძველესი მითის გაცოცხლება საქართველოშიც სცადეს.

ოქროს საწმისის ამბავი შორეულ ელინთა სამეფოში იწყება, უძველეს კოლხეთში გრძელდება და კელავ ელინთა ქვეყნაში სრულდება. თუმცა კი ოქროს საწმისის მაძიებელი გმირი არგონავტების განსაციითრებელი მოგზაურობის, მათი შეთაურის — იაზონისა და გრძელი შშენიერი კოლხი მედეას ტრაგიკული თავგადასავალი დღესაც „გრძელდება“.

ძველბერძნულ მითში არგონავტების შესახებ აისახა ელინთა წარმოდგენა კოლხეთის სამეფოზე, როგორც უმდიდრეს და უძლიერეს ქვეყანაზე. ეს არის მითი, რომელშიც ისტორიული სინამდვილეცაა ასახული.

ანტიკური ხანის გამოჩენილი ბერძენი მეცნიერი სტრაბონი წერდა: „ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად განხორციელდა ეს შორეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისევისა და მენელაოსისა... აიას ხომ მიგვითითებენ

ფაზისთან, ხოლო აიეტი რომ კოლხეთში მეფობდა, სარწმუნოა!“

ეს მითი ოქროს საწმისის თავგადასაცალიც არის. მას დიდებისა და სიუხვის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ არა მხოლოდ მოგვდავნი, არამედ ოლიმპის ღმერთებიც. საწმისის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებოდნენ მრავალი ქვენის მეფები, დედოფლები და გმორები. ღმერთები კი ხან ვის სწყალობდნენ და ხან ვის.

ოქროს საწმისს ქვეყნები ერთმანეთს ახლაც ეცილებიან. ათასგარი ცრუ და მართალი წერილოთ ამტკიცებენ, ჩვენიაო. ვინც რა უნდა ამტკიცოს, უძველეს კოლხეთს დღესაც გვირგვინად ადგას არესის ჭალაში, საუკუნოვან მუხის ხეზე გაკიდული ოქროსმატყლიანი ვერმის ტყავის — ოქროს საწმისის ბრწყინვალება...

## საიდან იფუბა საქართველო

ქართულ სახელმწიფოებრიობას უძველესი ტრადიციები აქვს, მაგრამ კონკრეტულად როდის შეიქმნა პირველი სახელმწიფო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამასთან დაკუშირებით საყოველთაოდ მიღებული აზრი არ არსებობს. იკვეუბა რამდენიმე პრიზიცია. ერთინი ზღვრად ძვ.წ. IV-III საუკუნეებს ადგენენ, როდესაც ფარნაგაზმა შექმნა სახელმწიფო. არის სხვა მოსაზრებაც — ეს გახლაფო ძვ.წ. VIII საუკუნის კოლხური დასავლურ-ქართული ცვილიზაცია. ზოგს პირველი სახელმწიფოები უფრო სიღრმეში ჩატყვეს — ამ პრიზით, ქართული სახელმწიფოებრიობა მინიმუმ 3 ათას წელიწადს ითვლის. არგუმენტები არგუმენტებად დარჩეს, ჩვენ კი თვალი გავადვინოთ შორეულ წარსულს და ვთქვათ, ვინ აღირიცხებიან პირველ მეფებად, თუნდაც მითოსურ, ლეგენდარულ, მაგრამ მაინც მეფებად. ეს ათასწლეულთა ისეთი სიღრმეა, როცა ჭირს ლეგენდის რეალობისგან გარჩევა. ვინ იცის, ისნი მართლა მეფები იყვნენ თუ ჯერ კიდევ ტომის ბელადები. შეიძლება ერთიცა და მეორეც.

ისტორიული წეაროების მიხედვით, გვიან ბრინჯაოს ხანაში — ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საფუძველი ჰერება ადრეკლასობრივ სახელმწიფოებს. ასეთი გაერთიანებანი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოცენებული დიაოხი (ტაოხი, ტაო) და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — უძველესი კოლხა (კულხა, კოლხეთი).

## დიარები

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსთვის ქართველ ტომთა განსახლების არეალში ჩნდება დიდი გაერთიანება, რასაც ადრეკლასობრივი სახელმწიფოს წარმოქმნა მოჰყვება. მას ურარტუს ლურსმული წარწერები დაითხად მოიხსენიებენ, ძველი ბერძნები — ტაოხად.

დიაოხი რომ ყველაზე ძლიერი იყო ასეურეთის მოქადაგები, ეს იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ასურეთის მეფემ, ტიგლათფილესერ I-მა ე.წ. ნაირის ქვეყნები დაიპყრო ძვ.წ. 1112 წელს, მისთვის ყველაზე დიდი წინააღმდეგობა დიაოხის მეფეს — მამაც სიენს გაუწევია. დამპყრობი კლდეზე ამოკვეთილი ლურსმული წარწერით გვამცნობს: „...ღვთაება ასურის შემწეობით — სამყაროს ოთხვე მხარეზე სამართლიანად ვმბრძანებლობ... ნაირის ქვეყნე-



ზომ სეურინგა „არგო“ 1985 წელს ააგო




ააზონი კოლხეთის მიწაზე დგამს ფეხს. XVII საუკუნის კულტივის მხატვრობა. კერამიკა

„არგონავტები“, ლორენცო კოსტა (1460-1535 წწ.).  
ნახატი დაცულია იტალიაში, პადუის მუზეუმში





„იაზონი და მედეა“ (ჯონ უილიამ ჟატერპაუსი, 1907 წ.)



ბის 23 მეტე გამომვება საომრად... მათი მეომ-რების გვამები მივფრნტ-მოვფანტე, ხელო ვიგდე 120 საბრძოლო ეტლი. ურიცხვი პირუტყვი წამოვიყვანე. ნაირის ყველა მეტე დაგატევვე, მაგრამ შევიწყალე, სიცოცხლე შევუნარჩუნე და გაგათავისუფლე. სიენი, მეტე დაიანის (ანუ დიაოხის) ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, ჩემს მეუფეს, ქალაქ ასურში წაყიყვანე და იქ შევიწყალე „...“

სამწუხაოდ, ერთ-ერთი პირველი ქართული სახელმწიფოს — დიაოხის ასვევე ერთ-ერთი პირველი მეფის შესახებ მეტი არაფერი ვიცით.

### აშავაშ კოლხეთის სამეფოს

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ყალიბდება კოლხა, კოლხეთის სამეფო. პირველი ცნობები კოლხთა ტომების შესახებ ასურულ ლურსმულ წარწერებში გვხვდება „ზემო ზღვისპირა ტომებისა და მათი მეფე-ების“ სახით.

კოლხეთის სამეფო ძელქართული წყაროებით იგივე ეგრისია. იგი აერთიანებდა დღევანდელ სამეცნიეროს, აფხაზეთს, აჭარას, სვანეთს, იმერეთს, გურიას, სოჭის მხარეს (ამჟამად რუსეთს ეკუთვნის), ასვევ თურქეთში მდებარე რიზეს, ართვინისა და ტრაკიზონის პროვინციების დიდ ნაწილს. არგონავტების მოგზაურობის მითურ პერიოდში კლასიკურ წყაროებში მას აიას სახელით მოიხსენიებენ. ანუ ეს არის ქვეყანა მდინარე ფაზისით (რიონი), ქალაქებით კუტაისა (ქუთაისი), დიოსკურია (სოხუმი), სარაპანა (შორაპანი), ფაზისი (ფოთი), არქოპოლისა (ნოქალაქევი)...

არ დარჩენილა ანტიკური ხანის ბერძნი მწერალი, თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი რომ არ დაეთმო არგონავტების ოქმულებისა და ძელი ქართველური ტომების აღწერისთვის. საყურადღებო ძეგლია აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტია“, რომელიც უმნიშვნელოვანეს ცნობებს განვიდის ქართველურ ტომთა გაერთიანების, უფრო ზუსტად, ქვეყნის — აია-კოლხეთის შესახებ. თხზულებაში ის მითურ საბურველში გახვეული ქვეყანაა, თუმცა კი ამავდროულად წარმოდგენილია ქართველურ ტომთა სამკ-

აშონი პელიას თქროს საწმისს გადასცემს.

გამოსახულება ანტიკურ ერატერზე (დიდი ზომის ჭურჭელი ღვინისა და წყლის შესარგვად), ძვ.წ. 340-330, დაცულია ლურერში



„ოქროს საწმისის“ შენებლობა ფოთის კოლმურნება „კოლხეთში“

ვიდრებლის, ყოფა-ცხოვრებისა და რიტუალების ამსახველი ეპიზოდები.

მკითხველს თავს არ შევწენთ არგონავტების ლეგენდად ჰცეული და კარგად ცნობილი მოგზაურობით. სამაგიეროდ, ამ მოგზაურობის საუკუნეების შემდგომი გაცოცხლების, ანუ ქართველ ახალ არგონავტთა ერთი არაჩეულებრივი მოგზაურობის შესახებ ვუამბობთ.

### ახალი „ოქროს საწმისი“

იდეა ერთი შეხედვით „განუხორციელებელს“ ჰგავდა და არც მანცდამაინც ბევრი მხარდამჭერი პყოლია. ახალგაზრდული ექსპედიციის წევრებმა, რომელთა სამეცნიერო ხელმძღვანელი ძველი კოლხეთის ისტორიის მკვლევარი, პროფესორი ნოდარ ლომოური იყო, რომ იტევიან, შეუძლებელი შეძლეს.

ექსპედიციის წევრებმა გადაწყვიტეს, ემოგზაურათ მდინარე ყვირილასა და რიონზე ძველთაძველი სანაოსნო გზით და მოეარათ დასავლეთ საქართველოს ის ადგილები, რომელთა „გაცნობაც“ მოუხდათ 3 ათასწლეულის წინ ოქროს საწმისის მიმტაცებელ არგონავტებს. ამავე დროს, ექსპედიციის მიზანს წარმოად-

გენდა ახალი მასალების მოპოვება კოლხეთის ისტორიულ წარსულზე, ფლორისა და ფაუნის ახლებური შესწავლა, ფლოკლორული მასალების შეგროვება... სტრაბონის ცნობით, შორაპნიდან ფაზისამდე ას ოცი ხიდი ყოფილა აგტული და მათგან თუნდაც ოცის „ნაკვალევიც“ რომ ენახათ, ესეც დიდი საქმე იქნებოდა.

ექსპედიციას უურნალისტი გვანჯი მანია ხელმძღვანელობდა, ხომალდ „ოქროს საწმისის“ კაპიტანი კი ასევე უურნალისტი რაულ ბაბუნაშვილი იყო.

ხომალდი ფოთში 1970 წელს აიგო. მთავარმა შენებელმა ლადო ქირიამ მუხის მორებისგან ხომალდის ისეთი „გულმეტრდი“ გამოჭრა და ისეთი შევენიერი პერანგით შემოსა, რომ კორპუსი საპატარძლოს დაამგვანა, წერდნენ მაშინდელ რესპუბლიკურ პრესაში.

ლადო ქირიას გემთშენებლები გიორგი ცეტტერაძე, ჯოდო ლორწომვილი, ავთანდილ ოგანეზოვი და კონსტანტინ პლატონენ კოქმარებოდნენ. მათ ნიჩბიან-იალქნიანი „ოქროს საწმისი“ ააგეს, რომლის პროტოტიპები იყო წყაროებში აღწერილი 33 საუკუნის წინანდელი აია-კოლხეთის მეზღვაურთა ხის გემები. ამ ხომალდების ხოტბას თვით



„ოქროს  
საწმინდის“  
ნიჩბოსნები

ბერძენ-რომაელ პოეტთა და ისტორიკოსთა ნაწარმოებებსა და ბერძნულ მთოლოვაში ვწვდებით. არგონაუტებზე ლეგენდებში ისიც კი არის ნათქვამი, რომ კოლმ მეზღვურებს აიეტის შვილის, აფესირტეს მეთაურობით არგონაუტებისთვის გზა თავიანთი ხომალდებით ისტორიის (დუნაის) შესართავთან მოუჭრიათ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება მსხლისებრი ფორმის გრანიტის ღუზა, რომელიც რიონშია ნაცოგნი და რომელიც კოლხ მეზღვურთა ოსტატობის მაღალ დონეზე მიუთიქებს. ასეთსავე ღუზებს იყენებდნენ ძვ.წ. VII-V საუკუნეების ბერძნებიც.

### განაცლებაული ხომალდი

მითური (ოღონდ ახალაგებული) „ოქროს საწმინდის“ სიგრძე 16, ხოლო სიგანე 4 მეტრზე მეტი იყო, რომელსაც გამოცდილი მეზღვურის ხელში შეეძლო გადაეცურა ზღვა დიდალი ტვირთითა და ეკიპაჟით. 9 მეტრის სიმაღლის ანძაზე 50 კვერ მსუბუქი სელის აფრა დაამაგრეს. ვერდისგამოსახულებიან ხომალდს ორივე მსარეზე 14 ხოფი ჰქონდა (განსხვავებით ანტიკური 50-52 ხოფის, ანუ ნიჩბისგან). ღუზა ქვის გახლდათ, სწორედ ისეთი, როგორსაც ჩვენი წინაპრები იყენებდნენ. მსხვილი ბაგირი ებძებოდა მსხლისებურად მოყვანილ წიწვეტებულ ქვას.

ხიფათის თავიდან ასაცილებლად ხომალდზე გათვალისწინებული იყო მაშველი საშუალებანი: თოკები, სათაღარიგო ნავები,

გაბერილი ტიკები წყალში ჩავარდნილის დასახმარებლად. მართალია, ეკაპაჟის ყველა წევრი კარგად ცურავდა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, სიფრთხილეს თაგი არ სტკიფაო...

დამით ხომალდს ხელოვნური სინათლის წყაროებით ანათებდნენ. ამისთვის ველური ბუერისგან დაამზადეს ათასი ცალი „მაშხალა“ (ნავთში დასველებული ბუერა დიდხანს იწვის). დამით ასეთი „ჟინეილებით“ განათებულ ხომალდს ბევრი დღესაც იხსენებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ძველკოლხური ვერდისთვისანი ხომალდი „ოქროს საწმინდის“ ეკიპაჟს კეთილშობილი მისია ამოძრავებდა. ისტორიული გზით — ყვირილარიონიდან და შავი ზღვიდან „დაელაშქრათ“ აია-კოლხეთი, რომელიც ოდითგანვე იზიდავდა ადგილობრივ თუ უცხოელ მოგზაურთ.

### „გაცურვა“... ზორაპილი

შორაპანში გემი მატარებლით ჩაიტანეს. ვაგონიდან ვერდისთვისანი ხის უჩვეულო ხომალდი ძლიერი ამწევების დახმარებით გადმოიდეს. მდინარეებდე მითოვება (მართალია ნაპირი შორს არ იყო) დიდხანს გაგრძელდა.

საგულისხმოა, რომ მითური არგონაუტები ეგეოსის ზღვის გაფლით, ჰელესპონტის სრუტიდან შევიდნენ შავ ზღვაში, კოლხეთისკენ სამხრეთ სახაპიროებით გამოემართნენ, მერე კი „არგო“ მდინარე ფაზისში (რიონში) შეაცურეს და აიეტის სამეფოში შევიდნენ. „ოქროს

საწმისის“ ეკიპაჟმა კი მოგზაურობა... შორაპნიდან, ანუ მდინარე ყვირილიდან, რიონისა და შავი ზღვის მიმართულებით დაიწყო...

ბუნებრივია, შეუძლებელი იყო ზუსტად განსაზღვრა, როდის დასრულდებოდა მოგზაურობა, რადგან არც ხომალდის მეჩეტშე დაჯდომა იყო გამორიცხული და არც სხვა სიძლიერე ან დაბრკოლება, რომლებიც ბერძენმა არგონავტებმა უფრო წყალუხევი მდინარეების პირობებში გადალახეს.

1970 წლის 25 ოქტომბერს „ოქროს საწმისი“ შორაპნიდან დაიძრა. ეკიპაჟის წევრებს ეცვათ ძველკოლხური სამოსი, ზოგს მოქარგული ცისფერი, ზოგსაც წითელი უსახელო მოკლე კაბები. მხოლოდ კაპიტანს — რაულ ბაბუნაშვილს შეუკერეს თეთრი ქიტონი.

ეკიპაჟის წევრები აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დახმარებით შეეცადნენ აღედგინათ ძველკოლხური ჩაცმულობის საგარაუდო სახე. ქართული ეროვნული კოსტიუმების სამკერვალოში შეკერეს წელში გამოყვანილი კართუბი და პაჭიჭები. სამკაულად გამოიყენეს სოფელ უერსათში ნაპოვნ უძველეს ქანდაკებაზე გამოსახული სიმბოლოები.

## ფათხრაპიანი დასაცხისი

თავიდან გემი ადგილიდან არ დაიძრა, რადგან წყლის სიღრმე საკმარისი არ აღმოჩნდა. კველანი ძირს ჩაცვიდნენ, ეცნენ გემს და რის ვაი-ვაგლახით მოსწყვიტეს ნაპირს. თუმცა „ზღვის მგლები“ წყალში ჩაცვიდნენ — ნაწილი ბაგირს ჩამოეკიდა, ნაწილი წყალმა გაიტაცა და წყალნაყლაპი, ქვიშაზე გარიყა. გაშლილ აფრას ქარი მოაწყდა და უეკპაჟოდ დარჩენილი გემი დოლაბით დაატრიალა. შემდეგ გვერდულად წავიდა და თავთხელზე დაჯდა. გემს ხელახლა დასჭირდა წყალში ჩაშვება. ამჯერად წყლის ძლიერმა ნაკადმა „ოქროს საწმისი“ კინაღამ კლდეს მიახეთქა. ეკიპაჟი, ცოტა არ იყოს, დაიძნა. შემდეგ კი ანძა მაღალი ძაბვის ხაზს წამოედო და ცეცხლმა თოკები გაწყვიტა... ბოლოს, როგორც იქნა, ხომალდმა გაცურა და ზესტაფონის ხიდეკვეშ გაიარა. ფათხრაკგამოვლილ „ოქროს საწმისის“ მოელი ქალაქი ვებებოდა.

ხიფათი გემს არც ზესტაფონის მერე დაპკლებია — თავთხელი, ქანების ნაშალით სავსე დინება, მავთულ ხლართებით გადაღობილი გზა და შემთხვევით გარღვეული წინაღობა, ლოდებს შორის ადუღებული შავი მორვეი,

ისევ წყლის მიღებით გზაგადაღობილი მდინარე და ამ მიღების ქეშ გაღწევა, სიირის ხიდის ბურჯზე მიხეთქება, გემის დაზიანება და ტრიუმში წყლის შემოჟონვა. საჭირო გახდა ტრაქტორის მოშველიებაც.

რამდენიმე დღის მგზაურობამ აშკარად დაანახვა მოგზაური, რომ თავისუფალი ნაოსნობისთვის მდინარის კალაპოტს გასუფთავება სჭირდებოდა. ნათელია, რომ ძველ დროში მდინარეები ასე არ ნაგვიანდებოდა.

სვირში ეკიპაჟმა მედეას „მიაგნო“. მეცხრეკლასელი მედეა შოთაძე „არგონავტებმა“ გემბაზე აიტაცეს და კართით შემოსილი, კაბიტნის ბოგურაზე დასვეს. მოხდენილმა შავგვრემანმა გოგონამაც მედეას „როლი“ მაღვე შეიფერა.

## კაპიტნის ნაამბობი

რაულ ბატუნაშვილი (ჟურნალისტი, „ოქროს საწმისის“ კაბიტანი): „პირველი ცხრა დღე რიონში ყვირილის შესართავამდე, კოლხურ ქალაქ როდოპოლისამდე (ვარდთა ქალაქი, ვარციხე) გაცურვას მოგანდომეთ.

პროკოფი კსარიელი წერდა: „დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი. რომელიც ყოვლისა უწინარეს ხვდებოდა გზა-

შედეა — სამტრედიელი მოსწყლე ლეილა კანდელაგი და „ოქროს საწმისი“ კაბიტანი რაულ ბატუნაშვილი





ასე წვდომნები გულშემატკოზები „ოქროს აწმის...“

ზე იძერითიდან კოლხეთში შემოსულოთ“. ჩვენც გვიმასპინძლა ვარცისებ. ბანაკი ვარცისის ხილთან, ჭინჭარაულის კუნძულზე გაშალეთ. ადგილობრივები ჩვენივე მაშველი ნავით გადმოდიოდნენ სტუმრად. სტუმრათა შორის მწერალი ლვან სანიკიძეც აღმოჩნდა, რომელმაც რქებდაგრეხილი ვერძი მოგვიყვანა საჩუქრად.

24 ნოემბერს დაიწყო მეორე ეტაპი და ხომალდი ქუთაისის სანახებიდან დაიმრა.

რიონის ფშანებიდან შეგვეგბა ჟყვიში, გალაკტიონისა და ტიციანის სოფელი. აქ არის წიქვაძის ფონი, რომელიც მდინარეში ნახევარგუნძულებით შეკრიილა. რიონის დინება ამ ტირიფებიან ქარაფთან ვეებერთელა მორვეს ატრიალებს.

მარჯვენა ნაპირიდან მდინარე მკვეთრად გადაუჭრით, მაგრამ მაინც ამოვევით თავი მორვები, რომელმაც ქარაფისკენ გაგვაქანა. უთუოდ ქვებს დაევახახებოდით, ჰყენიშელ ვაჟაკაცებს ნაპირზე გადასროლილი თოკები რომ არ დაექაჩათ. ამ განსაცდელს გადავრჩით თუ არა, ახლომახლო ბაზებიდან გამოცვიდნენ აიეტისდროინდელ ტანსაცმელში გამოწყობილი შვილდოსნები და ისრები დაგვაყარეს... ისინი განელი მოსწავლეები აღმოჩნდნენ, რომლებმაც თავისთან მიგვიპატიჟეს. მასპინძელთა შორის იყო ტიციან ტაბიძის ძმა — სიმონი, რომელმაც გვითხრა, რომ ჰყვიშში ხომალდით მოსული პირველი სტუმრები ვიყავით.

საჯავახოს ხილთან 28 ნოემბერს შევჩერდით. სამტრედიელები თავიანთი ქალაქის 100 წლისთავს ზეიმობდნენ. მედეა აქაც შემოგ-

ვაგებეს, სამტრედიელი ლეილა კანდელაკი, რომელიც თამამად ამოვიდა ჩვენს ხომალდზე და კაპიტინს, ანუ ჩემს ბოგირზე დადგა. ამდენად, ჩვენს ხომალდს სხვადასხვა დროს ორი უშმენიერესი მედეა ამშვენებდა.

ხომალდმა გზა განაგრძო. გვიარეთ საჯავახო და ოპაირიდან აფრააშვილული გაგედით. რამდენჯერ გვისურგვს ზურგის ქარი და მხოლოდ ახლა დაუბერა. გამოჩნდა აბაშისა და კეთილარის საძოვრები. გურიის მთები ნისკლში გახვეულიყო. მივუახლოვდით კაცობურის ნაკრძალს. ლაქაშითა და ლელიანით დაფარული ნაპირებიდან ხობების ყველი ისძმოდა.

ხომალდმა ზღვაში შეცურა. გამოჩნდა ფოთის ნავსადგურიც. „ოქროს საწმისი“ საოკეანო გემების მსგავსად, დარბაისლურად მიჰყვა სალოცვმნო კატარლას“.

ექსპედიციას წვერები იყვნენ ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები, კინოპერატორები, ფოტოგრაფები, მხატვრები, პოეტები, სპორტშენები, ქიმიკები, უურნალისტები, სტუდენტები და რაღა თქმა უნდა, ნაოსნები. კაპიტანმა გვითხრა, ყველას ვერ ჩამოუთვლი, რადგან შეიძლება ვინებ გამომჩერეს და ჩვენც დავთანხმდით, რადგან „ქართველი არგონაუტები“ თავგამოსახენად როდი მონაწილეობდნენ ამ ექსპედიციაში. მათ ეამაყებოდათ იმ ერთადერთი ხომალდის ეკაბაჟის წვერობა, რომელმაც მითი არგონაუტებზე რეალობად აქცია.

### ცოდარ შოშითაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

# პრსენალი

ინფორმაცია  
ნამდვილი მამაკაცებისთვის!



ყოველთვიური ჟურნალი!

იპითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!

# შარდენის საქართველოში მოგზაურობის . „დასასრული“

ჟან შარდენის საქართველოში მოგზაურობის აკადემიური გამოცემა ქართველად 1975 წელს გამოიდა. თუმცა, საბჭოთა ცენტურის პირობებში, თარგმანიდან არაერთი ადგილი ამოიღეს. აფტორი ზან აღმატებულად აქებს ქართველებს, ზოგჯერ კი მისი ძალები აშკარად გადაჭარბებულია და ასეთი შეფასებებისთვის გამართლებასაც ეძებს. გვესაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნებობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გიორგი სანიკიშვი.

ჟან შარდენი (1643 წ.)

— ჟან შარდენი პარიზში, მდიდარი პროტესტანტი იუველირის ოჯახში დაიბადა, 1643 წელს. კარგი განათლების მიუხედავად, იმდროინდელ საფრანგეთში პროტესტანტების არასახარბიელო მდგომარეობიდან გამომდინარე, კარიერული წინსვლის შესაძლებლობები მეტად შეზღუდული ჰქონდა. ამიტომაც გადაწყვიტა, შორეულ მოგზაურობაში წასულიყო



და ბედი აღმოსავლეთის ქეყნებში ეცადა. მან 1664-1679 წლებში სამჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთში. 1681 წელს შარდენი ლონდონში გადასახლდა. მსახურობდა ინგლისის ელჩად ჰილანდიაშიც. გარდაიცვალა ლონდონში 1713 წელს.

აღმოსავლეთში შარდენის მოგზაურობათა ამსახველია მისი მრავალტომიანი ნაშრომი



„შევალიე შარდენის მოგზაურობები სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომლის IX ტომი მის საქართველოში სტუმრობას მოიცავს. შარდენის თხზულებანი პირველად გამოიცა 1686 წელს ამსტერდამში. მისი ნაწარმოების ყველაზე სრულ კრისიად მიჩნეულია 1811 წელს პარიზში გამოცემული ათწომული.

— **როდის იმყოფებოდა შარდენი საქართველოში და რა მნიშვნელობა აქვს მის თხზულებას საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის?**

— საქართველოში შარდენი 1672 წლის აგვისტოში ჩამოვიდა, 1673 წლის 28 სექტემბერს კი გამგზავრა. მისი „მოგზაურობა“ ორმხრივ არის ფასეული. პირველ რიგში, ის გამორჩეულ პირველწყაროს წარმოადგენს იმდროინდელი საქართველოს ისტორიისთვის. შარდენმა შემოიარა იმ დროს დანაწევრებული ქვეყნის დიდი ნაწილი. გულისყურით აკვირდებოდა ყველაფერს და დეტალურად აღწერდა ნააზსა და განცდილს. პირად შობეჭდილებებზე დაფუძნებული ჩანაწერები, ბუნებრივია, ხშირად არის სუბიექტური; თითქოსდა ჩანს, რომ ზოგჯერ ავტორი საკუთარი გუნება-განწყობის მიხედვით აღწერს ფაქტებსა და მოვლენებს, ზოგჯერ გადაჭარბებულად აძაგებს ქართველებს, ზოგჯერ კი, პირიქით, მისი აღტაცება აშკარად გაზვადებულია. ისიც საინტერესოა, რომ შარდენს თავის თხულებაში შეტანილი აქვს მოსაუბრეთაგან (კათოლიკე მისიონერები) და თავად ქართველები (გაგებული ამბებიც), რაც ნაწარმოებს ნამდვილად ამდიდრებს.

შარდენი გულმოდგინედ მოეკიდა საქმეს, მოგზაურობისთვის საგანგებოდ მოემზადა და შეისწავლა ვეროპაში არსებული, მისთვის ხელმისაწვდომი მასალები საქართველოს შესახებ ბერძნ, რომაელ და სპარსელ ისტორიებთა თხზულებებიდან. XVII საუკუნის ევროპაში მართლაც ბევრი არაფერი იცოდნენ ჩვენს ქვეყნაზე, მაგრამ ეს იყო დრო, როცა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ დვივდებოდა ინტერესი საქართველოსადმი. შარდენს თავის „მოგზაურობაში“ შეტანილი აქვს იმ ხანებში საქართველოში მოვაწე კათოლიკე თუატინელი მისიონერის, დომ ჯოზეფ მარი ძმების ჩანაწერები. მაუხედავად იმისა, რომ ძმების თხზულება საკმაოდ მიკერძოებულია და წარმოადგენს ფაქტების მმრალ უარყოფით ან დადებით შეფასებას რელიგიური (კათოლიკური) კუთხით, ის მაიც ამდიდრებს მოგზაურის თხზულებას და შარდენის რედაქტირებული, მის ბუნებრივ ნაწილად წარმოდგება.


ევროპაში შარდენის „მოგზაურობა“ დიდხანს მიიჩნეოდა საქართველოს შესახებ უპირველეს წყაროდ. მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ფრანგი განმანათლებლები — შარლ-ლუი მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუსო, ფრანსუა-მარი არუე ვოლტერი; ინგლისელი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ედვარდ გიბონი და სხვები.

— **რა საკითხებზე ამახვილებს კურადღებას შარდენი თვის თხზულებაში?**

— შარდენი აღწერს საქართველოს სამეფო-სამთავროების იერარქიულ ორგა-

თბილისის ილუსტრაცია  
ეს შარდენის „მოგზაურობიდან“





„შეფალიც შარდენის მოგზაურობები სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (1686 წლის გამოცემა)

ნიზაკიასა და სტრუქტურას; მიმოიხილავს ქვეყანაში უხვად დაგროვილ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს. შარდენი, როგორც კომერსანტი, ვაჭრობისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩინს, ინტერესდება ქართველი ხალხის სამეურნეო ცხოვრებითაც. მის თხზულებაში არის არაერთი საინტერესო ეთნოლოგიური და კვირვება (ტანსაცმელი, ქორწილი, ოჯახური ყოფა, ღვინის სმის წესი და სხვ); აღწერილია სხვადასხვა რელიგიური დღესასწაული, ასევე მიმოიხილავს სასამართლოსა და სასამართლო წარმოების საკითხებს.

ფრანგი მოგზაური კარგად იცნობდა იმ მძიმე საგარეო პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც საქართველოს უხდებოდა არსებობა იმ ხანებში. მაგალითად, მან იცოდა, რომ ქართველი დიდებულები მხოლოდ ფორმალურად იყვნენ მოქცეული ისლამშე, ფარულად კი ისევ ქრისტიანობას აღიარებდნენ. მათი „მოქცევა“ კი უკავშირდებოდა თანამდებობების, ჯამაგირისა და სხვა პრივალეგიების შენარჩუნების სურვილს. შარდენი ასევე წერდა, რომ ქართლის მუსლიმი მეფე ქრისტიანული ეკლესიის საქმეებსაც განაგებდა და საქართველოს პატრიარქი მის მიერვე იყო დანიშნული. შარდენის ყურადღების მიღმა არც ის დარჩენილა, რომ ისედაც

სამეფო-სამთავროებად დანაწევრუბულ ქვეყანაში ცალკეული თაგადი საკუთარი ნების მიხედვით განაგებდა თავის სამფლობელოს და მეფე-მთავრებისგან, პრაქტიკულად, დამოუკიდებელი იყო.

— რომელიმე მონაკვეთს ხომ არ გამოჰყოფდით „მოგზაურობიდან“?


— როგორც ვთქვით, თხზულებაში უხვადაა ქართველთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შეფასებები. შარდენი აღწერს ქართველთა თავს დაძყვდარ მძიმე ისტორიულ ქარტებილებს და თავის ნებატიურ შეფასებებს ასეთ გამართლებას უძებნის: „როცა ისტორიის ამ ნაწილს წაიკითხავნ, ვფიქრობ, არ გამამტყუნებებ აქაური მცხოვრები ხალხის გადაჭარებით ცუდ შეფასებაში. მათი ზენ-ჩევეულებების უბრალო და პირუოვნელი აღწერა გამამართლებს მკითხველის თვალში“. მაგალითად, შარდენი არ მაღავს უარყოფით განწყობას მეცნიელი მამაკაცებისადმი და წერს: „კაცებს კიდევ უფრო ცუდი თვისებები გააჩნიათ, ვიდრე ქალებს. არ არსებობს ბოროტება, მათ აზრად რომ არ მოუვიდეთ კველა ისინი წვრილმან ქურდებად არიან აღზრდილი... უდიდესი კმაყოფილებით კვებიან თავიანთ ჩადენილ ქურდობაზე, რითაც

ამაყობენ და დიდ პატივსაც იმსახურებენ“.

— გამოცემულია თუ არა შარდენის თხ-ზულება ქართულად?


— გვილ ბარნოვის მიერ ნათარჯმი ამონარ-იდები შარდენის მოგზაურობიდან პირველად 1935 წელს გამოქვეყნდა. 1975 წელს კი შარდე-ნის საქართველოში მოგზაურობის აკადემიური გამოცემა გამოიდა. ფრანგულიდან თარგმანი, სათანადო გამოკვლევები და კომენტარები ეკუთვნის აწ გარდაცვლილ მხია მგალიბლიშ-ვილს (დედაჩემს). ამჟამად მე ვმუშაობ „მოგ-ზაურობის“ ხელახალ გამოცემაზე. ჯერ ერთი, 1975 წლის გამოცემა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. გარდა ამისა, იმ-დროინდელი საბჭოთა ცენტურის პირობებში, თარგმანიდან არაერთი ადგილია ამოღებული (მათ შორის, ზემოთ მოყვანილი პასაჟიც). ეს ამოღებული ადგილები და ასევე შარდენის თხზულებების სხვა ტომებში მოძიებული ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შევა ახალ გამოცემაში. დავამატებ იმასაც, რომ აღნიშვნული ეპოქის შესახებ არა-ერთი ახალი გამოკლევა გამოიცა. ყოველთვი-ეს უნდა აისახოს გადამუშავებულ და შესებულ გამოკვლევაში.

#### მანანა გაპრიშიძე




დარბაზი ისპაპანის სასახლეში

სტუმრებისთვის გამართული სადილი გახტანგ V-ის  
(შაპნაგაზის) სასახლეში თბილისში



# თბილისის დედაციხე ნაბიკი



თბილისის სილუეტის მკაფიო ელემენტი — ნარიყალა ანუ თბილისის დედაციხე, დედაქალაქის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. თავისი აღნავობითა და მდებარეობით იგი არასძროს რჩება შეუმნიველი და მუდმივ იქცვეს ყურადღებას. ციხე-კომპლექსის მოხაზულობა თბილისის იერსახის ერთ-ერთი საცნობი და განმასხვავებელი დეტალია, რომელიც გვხვდება ყველა ჩანახატსა თუ მინიატურაში, ძველ ფოტოებსა და ლითოგრაფიებში.

# ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაფილში შემორჩენილი კოშკების ნამთები შესაძლოა გახტაზ გორგასლის ეპოქას უკავშირდებოდეს



ტოპონიმი ნარიყალა გვიანდელია და უნდა წარმოდგებოდეს „ნარინყალისგან“ რაც სპარსულად შიძაციხეს, ციტადელს ნიშნავს. იგი უკვე IV საუკუნეში გვევლინება როგორც მნიშვნელოვანი ციხე, ქალაქის სიმაგრე (ამ დროს მას შერის ციხეს უწოდებდნენ), მონალებმა მას „ნარინქალა“ (მცირე ციხე-სიმაგრე) შეარქვეს. სხვადასხვა დროს იგი

მოიხსენიება როგორც კალა ანუ თბილისის ციხე და დედაციხე, ხოლო თავის ფუნქციას XIX საუკუნის დასაწყისამდე არ კარგას.

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ძნელბეღობის გათვალისწინებით, დედაციხე, როგორც დედაქალაქის უპირველესი, სტრატეგიული და თავდაცითი ნაგებობა, მრავალჯერ დაინგრა, ასევე მრავალჯერ აღადგი-

ცისქისიძეგრის ქარიბები  
პახაპერ ჩაღიჩაბას უოტომბი




ნეს თუ გადააკეთეს... ამაზე მისი დღვევანდელი სახე მეტყველებს. ყოველმა ეპოქამ დაამჩნაა კალი ნარიყალას, რაც დროთა განმავლობაში სულ უფრო ნათლად ვლინდება, ზოგი შემთხვევით, ზოგიც არქეოლოგიური გათხოვებით.

მტკიცე კედლებით ნაგები ციხე-კოშკებითა და ბასტიონებით არის გამაგრებული. ჩვენამდე მოღწეული, ხილული ნაწილი XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. სპეციალისტები გამოყოფენ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილ კოშკების ნაშთებს, რომლებიც ოლილი, კადრატული ქვებით არის ნაგები და გახტანგ გორგასლის ეპოქას შეიძლება უკავშირდებოდეს. მას შემდეგ, რაც საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმივიდა, იგი მტრის უმთავრეს სამიზნე ობიექტად გადაიქცა, ამიტომ მას განსაკუთრებულად იცავდნენ და ამაგრებდნენ. ერთიან გალავანში მოქცეულ ქალაქს რამდენიმე შესასვლელი ჰქონდა, რომლებიც საჭიროების დროს იღებოდა და იკტებოდა. იგი

აგრეთვე გამაგრუბული იყო რამდენიმე ციხით, რომლებიც ისტორიულ წყაროებში სახლდება: დარიჯელი, თაბორი, მეტქი და კალა ანუ იგვე დედაციხე, რომელიც ჩამოთვლილთაგან უმთავრესი იყო და სხვადასხვა დროს სამეფო რეზიდენციას ფუხქციასაც ითავსებდა. იგი სტრატეგიულად ყოველმხრივ ხელსაყრელ ადგილზეა აგებული, ფლობს გარემოზე ვიზუალურ უპირატესობას და გამოირჩევა მიუღიომელი გეგმარებით. ნარიყალის ციხე სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დამპყრობლის სამიზნე იყო. წყაროების მიხედვით, V საუკუნეში, თბილისში შემოჭრილ სპარსელებს დედაციხეც დაუნგრევიათ, მისი აღება VII საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის კეისარმა პერაკლემაც სცადა და მიუხედვად იმისა, რომ ამას თვისის ლაშქრის დიდი ნაწილი შესწირა, ძალით ვერაფერი დააკლო. დედაციხის ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდი, როდესაც იგი მთლიანად მათ

ციხესიმაგრის საერთო წედი და წმინდა  
ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი



მფლობელობაში გადავიდა და მხოლოდ მაშინ  
დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს, როცა 1122  
წელს დავით აღმაშენებელმა აიღო თბილისი  
და არაბთა ამირა განდევნა.

სასტიკად დაარბიეს დედაციხე მონილებ-  
მაც. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება დასა-  
ხელებაში ახალი და დღემდე ცოცხალი ტო-  
პონიმის შემოსველა — „ნარინ“ მონილურად  
„მცირეს“ აღნიშნავს. დანარჩენი საქართველოს  
მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დაზიანება  
ციხეს სასტიკა დამპყრობელმა თუმურ ლენგმა  
მიაყენა, ფაქტობრივად, იგი მიწასთან გაასწო-  
რა. დამპყრობელთა ხელში ნარიყალა კიდევ  
ერთხელ მოხვდა XVII საუკუნეში, როცა სპარ-  
სელები გახდნენ ქვეშის ფაქტობრივი მმართ-  
ველები, სანმ 1747 წელს იგი მეფე ერუალე  
II-მ არ გაათავისუფლა. დედაციხის სამხედრო  
ისტორიას საბოლოო წერტილი 1795 წელს და-  
ესვა, როცა თბილისში შემოჭრილმა აღა-მაპ-  
მად ხანმა ქალაქი ააოხრა. მოგვიანებით, 1801  
წლის შემდეგ, როცა ქართლ-კახეთის სამეფო

წარწერა ტაძრის რესტავრირებულ ნაწილზე





ტაძარში შესასვლელი სამხრეთის კარი

XIII სუკუნის ჩუქურთმიანი ქა



რუსეთმა მიიერთა, ქალაქს ახალ რეალობასთან მოუწია შეგუებამ, ყოველგვარმა გალავანმა და ციხესიმაგრემ, მათ შორის ნარიყალამაც, ფუნქცია დაკარგა და მხოლოდ ისტორიულ ღირსშესანიშნაობად დარჩა.

ციხე-კომპლექსის პირველი საფუძვლიანი გათხრები 1966 წელს დაიწყო და მაშინვე გამოვლინდა საყურადღებო დეტალები, რომელებმაც კიდევ უფრო გაზარდეს ძეგლისადმი ინტერესი. მათ შორის ყველაზე საინტერესო და მასშტაბურია მოხრდილი ტაძრის ნაშთები, რომლის სხვადასხვა დეტალზე შემორჩენილმა ჩუქურთმის ფრაგმენტებმა ტაძრის თარიღი



ნარიყალის ციხედან თბილისის  
შემნიშვნა ხედი იძუბა

შემორჩენილი ბაზისის დეტალი

მაშინვე საცნობი გახადა და იგი XIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნა. ფრაგმენტების სტილისტიკური ანალიზით, სხვა დათარი-ღებულ ძეგლებთან შედარების საფუძველზე, ცხადი გახდა მსგავსება მეტქის ტაძრის ჩუქურთმებთან და გაჩნდა ვარაუდიც, რომ ეს ორი ტაძარი შესაძლებელია თანადროულად აეგოთ დემეტრე თავდადებულის მეფობის ხანაში. მშენებლობის ტექნიკამ და გამოყენებული მასალის დამუშავების სტილმა სწორედ ამ პერიოდზე მიუთითა. გამოვლინდა იატაკი და აგურის სვეტები, აგრეთვე ჩამონაყარი მასალა, რომელიც საცნაურს ხდის ზოგიერთ



აღღღენილი ქონგურების  
სილუეტი ცის ფონზე



ახალი წეობა ძეველ ნაშენზე



დეტალს გუმბათის გადახურვის შესახებ. და ყველაზე მნიშვნელოვანი: ერთ-ერთ სვეტზე შემორჩენილი მცირე ნაშთის მიხედვით დადგინდა, რომ ტაძარი მოხატულიც ყოფილა.

აღმოჩენილი მასალის ისტორიულ საბუთებთან შედარებით ირკვევა, რომ რაღაც დროის განმავლობაში ტაძარი არ იყო მოქმედი. ჩანს, სხვადასხვა დროს ჯერ აბანოდ, ხოლო მოგვიანებით თოფის წმლის საწყობად გადაუკეთებიათ, რომელსაც 1827 წელს მეტი დასცემია და აფეთქებულა. განვითარებაში მდგრადი დაყრდნობით ირკვევა, რომ დედაციზის კარის ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელობის უზრად ყოფილიყო, თუმცა სავარაუდოა, რომ ამ ადგილას ტაძარი XIII საუკუნემდევ მდგარიყო, რასაც ნარიყალის კომპლექსის სიძველე და ზოგიერთი ნივთიერი მტკიცებულებაც აღასტურებს. 1990-იან წლებში ტაძარს სამშენებლო ეპოქის მხატვრული სახის გათვალისწინებით და თანამედროვე სარესტავრაციო კანონების დაცვით, არქიტექტორ ტარიელ კიპაროიძის ხელმძღვანელობით რესტავრაცია გაუკეთდა.

დედაციზეზე სხვადასხვა დროს წარმართული არქეოლოგიური სამუშაოების დროს, აღმოჩენილია არაერთი ნივთი, რომლებიც განვითარების ხაზის უწყვეტობაზე მიუთითებს. აგრეთვე გამოკვეთს მრავალმხრივ კულტურულ კავშირებს, გვხვდება სხვადასხვა ტიპისა და პერიოდის უძრავი საყოფაცხოვრებო ნივთის ნაშთი.

### ელისაბედ რევაზიაშვილი

თუ ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი

# ისეჩაცში უძო-უძო უძველესი ლინის მაჩანი ალმოარინეს

ჭურჭელი თულ კაბრის მარანში



მკვლევართა გუნდი აშშ-დან და ისრაელიდან აცხადებს, რომ მსოფლიო ცოდნისაციის ისტორიაში ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს ღვინის მარანს მიაკვლია. ის ისრაელის ჩრდილოეთში, ქანაანურა სასახლის სადღესასწაულო დარბაზის გათხრებისას აღმოაჩინეს.

ქალაქი, სახელად თულ კაბრი ძვ.წ. დაახლოებით 1700 წელს განეკუთნება, თუმცა არქეოლოგიური შრები მოწმობს, რომ დასახლება აქ ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდიდან არსებობდა. ბრინჯაოს ხანაში ქანაანელთა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალაქი თულ კაბრი დაახლოებით 3600 წლის წინ განადგურდა, სავარაუდოდ, მიწისძვრით. გათხრები 1980 წელს დაიწყო, მაგრამ სამუშაოებმა პიქს 2005 წელს მიაღწია, როცა პაიფასა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტების არქეოლოგებმა ერთობლივი ექსპედიცია ჩამოაყალიბეს.

ოთხწლიანი მუშაობის შედეგად სასახლის კედლებზე მინოსური სტილის ნახატების ნარჩენებს მიაკვლიერს. ეს ეგვიპტისან მომორჩებით ამგარი ხელოვნების ნიმუშის აღმოჩენის პირველი და ერთადერთი შემთხვევა.

2013 წლის ივლისში მკვლევრები სასახლის სადღესასწაულო დარბაზის ახლოს თიხის ნამსხვევებით სავსე ოთახს გადაწყდნენ. აქ 40 ცალი თიხის ჭურჭელი იპოვეს და შემდგომი შესწავლისთვის აშშ-ში გაგზავნეს.

მართალია, ჭურჭელი ცარიელი იყო, მაგრამ კვლევისას არქეოლოგიური ქიმიის სპეციალისტმა ენდრიუ კოპმა ორ მათგანში იასამნისა და ღვინის ქვის მეუჯის კვალი აღმოაჩინა. ორვე ღვინის საერთო ინგრედიენტია. ღვინის გარდა, შედის პიტნაში, თაფლში, დარიჩინსა და ღვინის კენკრაში. კოპმა ასევე

იპოვა ფისის კვალი, რომელიც, სავარაუდოდ, კედრის უნდა იყოს. ჩანს, ქანაანელები მას ღვინის უკეთ შესანახად იყენებდნენ და შესაძლოა, ფისი სასმელს მცროოდენ ფსიქოტროპულ თვისებებსაც სძნდა.

თულ კაბრის მარანი არა მხოლოდ თავისი ზომებით აკვირვებს მეცნიერებს. ისინ აღნიშნავნ, რომ აქ ღვინოს დიდი ოსტატობითა და საკუთარი ტექნოლოგიით აყენებდნენ და იგი ყველაზე მეტად ბერძნულ ტრადიციულ ღვინო რეცინას ჰგავს.

**მომზადებულია  
History.com-ის მიხედვით**

თულ კაბრის სასახლე



# უპველეს ევროკულ ეუმიას 61 ტატუ აქცე

კვროპაში უძველესი მუძიის სხეულზე ტატუ აღმოაჩინეს, რომელიც შესაძლოა სამკურნალო მიზნით გაეკვითებინათ. ტირილის მუზეუმში გადატანილ ყინულის აღმიანს, ანუ იოტცის, როგორც მას უწოდებენ, 61 ტატუ აქცე.



მთებში იმ აღილას, სადაც იოტცი იძოვეს, ნაშაა დაღგმული

ჯვრის ფორმის ტატუ იოტცის სხეულზე



იოტცი დაახლოებით 5 300 წლის წინ ცხოვრობდა. მის მუმიას ტიროლის ალპებში 3,2 კმ-ის სიმაღლეზე მიაკვლიერს, ასაკი კი რაღოც კარბონული ანალიზით დადგინდეს. მეცნიერების ვარაუდით, იოტცი თავდასხმის მსხვერპლი გახდა, გარდაცვალებიდან მალევე კი გაიყინა. ამიტომ მისი სხეული კარგადაა შემონახული. მის გვერდით ქვის დანა, სპილენძის ცული, შშვილდი, კაპარჭი და ისრებიც აღმოაჩინეს.

სწორედ ამ „ბენიერი“ შემთხვევის წყალობით, მეცნიერებმა იოტცის შესახებ ბევრი რაზ დადგინდეს. გარდაცვლილი 45 წლის იყო, შავთმიანი. იკვებებოდა მცნარეული და ცხოველური საკვებით. ამასთან, ბევრს გადააღილდებოდა მთიან მხარეში.

„ყინულის კაცი“ პრაქტიკულად სრულად გამოიკვლიერს თანამედროვე ტექნოლოგიებით, თუმცა ბოლო შედეგმა აჩვენა, რომ მას მეცნიერებისთვის სიურპრიზის გაკეთება კიდევ შეუძლია.

„ყინულის კაცი“ ერთ-ერთი ტატუ გულ-მკერდის ქვედა, მარჯვენა მხარეს აქვს. ეს 20-25 მილიმეტრის სიგრძის ხაზები ყველაზე აღრე გაუკეთებია. სპეციალისტებმა მოული კატალოგიც შექმნეს. 12 ჯგუფში 61 ტატუ გაერთიანდა. მათი სისქე ერთიდან სამ მილიმეტრამდე, სიგრძე კი შვიდიდან ორ-მოც მილიმეტრამდეა. ხაზების უმეტესობა ერთმანეთის პარალელურადაა განლაგებული. გამონაკლისია ჯვრის ფორმის გამოსახულება მარჯვენა მუხლსა და მარცხენა ტერფზე.

მეცნიერების განცხადებით, ტატუების 80% აკუპუნქტურის წერტილებს ემთხვევა და სავარაუდოდ, სამკურნალო მიზნით გაკეთდა. მათ შორის ემთხვევა წერტილებს, რომელიც გამოიყენება რევმატიზმის, კუჭის დაგადების, ზურგის ტკივილის სამკურნალოდ. ანუ იმ დაავადებების, რომელიც „ყინულის კაცი“ აწესდა.

იოტცის ტატუ ევროპაში ჯერჯერობით ყველაზე ძველია და ადასტურებს, რომ ადამიანები მას სულ მცირე ენეოლითის ხანიდან იკვებდნენ.

**მოშადებულია Journal of Cultural Heritage-ის მიხედვით**

1941 წლის 2 ნოემბერს აფეთქებული  
უსახნევის ტაძარი



## თავდასხეს ცლოვაპათის პრეზიდენტი

### რატომ აავათეს პირვ-პეჩორის ლაპრის უსკენსპის ტაძარი

მოსკოვი, 1941 წლის შემოდგომა.

ბერიამ მოხსენება დაასრულა. სტალინი ჩუმად იჯდა. მაშ ასე, გერმანელები კიევში შევიდნენ, მოსახლეობა მათ სიხარულით შეეგძა. დაიწყო საბჭოთა აქტივისტების მასობრივი დაპატიმრებები.

— გერმანელებმა უკრაინის დამოუკიდებლობა უკვე გამოაცხადეს? — ჩუმად იკითხა სტალინმა.

— ამას არც აპირებენ, — მიუკო ბერიამ, — მათ ლკოვში შექმნილი უკრაინის მთავრობა სრული შემადგენლობით დააპატიმრეს.

— კიევში ჩეენი ხალხი არ დაზარალებულა?

— ისინი საიმედოდ არიან შენიდტული.

— ძალიან კარგი, — სტალინი წამით გაჩუმდა, — დროა მოქმედებაზე გადავიდეთ.

#### ხრამათიპი ცეცხლში

მეორე დღესვე კიევში დივიზისიების მთელი სერია განხორციელდა. საბჭოთა დივერსანტები სახლებს აფეთქებდნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ცხოვრობდა იქ ვინმე თუ არა, ან რა

დაწესებულება იყო იქ განთავსებული.

— მიზანში ქალაქის ცენტრი იყო ამოღებული, — წერს ამერიკელი უურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი, — ის ნახტოვებად იქცა.

ხრეშხატიკი — ასე უწოდებენ უკრაინელები კიევის მთავარ ქუჩას. ნამდვილი კიეველისთვის ეს იგივეა, რაც თბილისელისთვის რუსთაველის პროსპექტი. ამით სტალინი უკრაინას ე.წ. „დალატისთვის“ სჯიდა. არსებობდა მეორე ფაქტორიც: კიევის ცენტრში აფეთქებების სერიას პიტლერელთავის თავზარი უნდა დაეცა. იძულებული გახდებოდნენ, მასობრივი რეპრესიებისთვის მიემართათ, რაც მოსახლეობას მათ წინააღმდეგ განაწყობდა.

— ხრეშხატიკის აფეთქება მოსკოვის კარგად გათვლილი მზაკვრული სკლა იყო, — წერს უკრაინელი საბჭოთა მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ოლეს გონჩარი.

ომის შემდეგ კიევის ცენტრი, ბუნებრივია, აღადგინეს, თუმცა ძველი ხრეშხატიკის აღორმინება ვერ მოხერხდა.



პიტლერისა და იოზეფ ტისოს შეხვედრა ბერლინში

1941 წლის ოქტომბერში კიევში ბანდერელთა სპეციალური ჯგუფი ჩაფიდა. მას სათავეში ბანდერას ნდობით აღჭურვილი პირი დმიტრო მირონი (მეტსახელად ორლიკი) ედგა. კიევში ბანდერელთა ცენტრის ფორმირება დაიწყო.

— ჩეენ როგორც გერმანიის, ასევე სსრკ-ის წინააღმდეგ მიმისვის ვეზრადებოდით, — წერს ამ ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე სტეპან მუდრიკი (1919-2003).

ვინ იდგა ხრეშჩატკიას აფეთქების უკან? SD-ს (პიტლერელთა უშიშროების სამსახური) ოფიცერი შტურმბანფიურერი (მაიორი) ჰუგო ზანდარტი მემუარებში წერს, რომ ყველა ვერსია განიხილებოდა — ისიც, რომ აფეთქებები ბანდერელებმა მოაწყვეს; ისიც, რომ ეს რუსების ნახელადა.

— ბანდერელები ჩვენზე განაწეობული იყვნენ, რადგანაც ფიურერი უკრაინის დამოუკიდებლობას არ დათანხმდა და ლვოვში თვითნებურად აღმოცენებული უკრაინული მთავრობაც დაშალა, — წერს ზანდარტი.

გამოძიება წინ ვერ მიდიოდა. SD-მ მხოლოდ ის დაადგინა, რომ კიევში კარგად აწყობილი საბჭოთა სადაზვერვო-დივერსიული ორგანიზაცია მოქმედებდა. მას სათავეში ედგა კადრის ჩეკისტი, მეტსახელად მაქსიმი. ყველაფერი მიუთითებდა, რომ ხრეშჩატკი ამ ჯგუფა ააფეთქა.

გერმანული არმია მოსკოვს უახლოვდებოდა. პიტლერს სურდა, მოკაფშირე სლოვაკეთისთვის ეჩვენებინა, რომ ოკუპაციურბულ ტერიტორიაზე გერმანია ვითარებას მოტლიანად ფლობდა. სლოვაკეთის პრეზიდენტი იოზეფ ტისოსთან საუბარში პიტლერმა აღნიშნა:

— გაქვთ სურვილი, კიევში ჩახვიდეთ და კივა-პეჩორის ლავრაში წირვას დაესწროთ?

1941 წლის 1-ელ ნოემბერს ტისო კიევში გაემგზავრა.

## სლოვაკეთის დამოუკიდებლობა

სლოვაკური ეროვნული თვითშევნების გამოღიძება XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ეროვნულ მოძრაობას საფუძველი კათოლიკე ძღვდელმა, ანდრეი გლინკაშ (1864-1938) ჩაუყარა. სწორედ მან შექმნა სლოვაკეთის სახალხო პარტია, რომელმაც დღის წესრიგში სლოვაკეთის ავტონომიის საკითხი დააყენა და ჯერ უნგრელი ფერდალების, შემდეგ ჩეხი ბიუროკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდა. გლინკას გარდაცვალების შემდეგ პარტიას სათავეში მისი მოწაფე, ასევე კათოლიკე ძღვდელი, იოზეფ ტისო (1887-1947) ჩაუდგა.

იოზეფ ტისომ საფუძვლიანი რელიგიური განათლება მიიღო. 1913 წელს თუოლოგიის დოქტორის ხარისხიც მოიპოვა. მიუწედვად ამისა, პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტზე მოხალისედ წავიდა და საველე მღვდელი

(კაპელანი) გახდა. ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთის იმპერია დაემხო. სახალხო პარტიამ, კერძოდ გლინკამ და ტისომ, მხარი დაუჭირეს ერთიანი ჩეხოსლოვაკიის შექმნას. თუმცა მალე გამოჩნდა, რომ ახალშექმნილმა რესპუბლიკამ სლოვაკების იმედები ვერ გაამართლა. ჩეხი ლიდერები (მასარიკი, ბენეში და სხვ) ერთიანი ჩეხოსლოვაკი ერის კონცეფციას იზიარებდნენ. სლოვაკებმაც აუტონომის მოთხოვნა დაიწყეს. ჩეხები სლოვაკ პატრიოტებს არ სდევნიდნენ. მეტიც, სახალხო პარტიას პარლამენტში მუდამ სოლიდური წარმომადგენლობა ჰყვდა. ტისოს რამდენჯერმე მინისტრის პოსტიც ეკავა, თუმცა უმრავლესობას მუდამ ჩეხები შეადგენდნენ. სლოვაკეთის აუტონომიაც აუხდენელ ოცნებად რჩებოდა.

მიუხეხის ხელშეკრულების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩეხოსლოვაკიის დღეები დათვლილი იყო. სლოვაკებმა აეტონომია მოითხოვეს. ჩეხები შექმნილ კითარებაში გამწვევებას მოერიდნენ და დათანხმდნენ. ამან ჩეხოსლოვაკია ვერ იხსნა. მალე პიტლერული ვერმახტი ქვეყანაში შეიჭრა. გერმანელებთან ერთად შევიდა მათი მოკავშირე უნგრეთის არმიაც. უნგრელები სლოვაკეთს თავიანთ პროვინციად მიიჩნევდნენ. სლოვაკეთს უნგრეთის ნაწილად გადაქცევის საფრთხე დაემუქრა.

— უნგრეთის არმიამ დაიკავა კოშიცე და ბრატისლავისკენ დაიძრა, — წერს ცნობილი სლოვაკი მწერალი ვინცენტ შიგულა.

სლოვაკი პატრიოტები ტისოსგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდნენ. ტისო ყოფილი მალა არ გააჩნდა. დამოუკიდებლობაც მხოლოდ პიტლერული გერმანიის დახმარებით იყო შესაძლებელი. სანამ პრეზიდენტი ყოფილი ჩეხები შევიდნენ. მათ დააპატიმრეს ტისო, სლოვაკეთის პარლამენტი კი დაშალეს. თუმცა ეს ამბები მალე დასრულდა. პრაღის დაცემის შემდეგ ჩეხურმანში დატოვეს, სლოვაკეთის დედაქალაქს კი უნგრელები უახლოვდებოდნენ. ტისო დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხოლოდ ახლა დათანხმდა.

— დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიისთვის დახმარების თხოვნით მიმართვა სლოვაკეთისთვის ერთადერთი გამოსაყალი იყო, — წერს უილამ შირერი.

გერმანიამ თავისი გავლენა გამოიყენა და უნგრელებს, რომლებიც უკვე ბრატისლავის გარეუბნებში იმყოფებოდნენ, შეჩერება აძლელა. მსოფლიო რეკაზე ახალი სახელმწიფო — სლოვაკეთის რესპუბლიკა გაჩნდა. უნგრელთა ხელში კი დარჩ მოზრდილი ტერიტორია ქალაქ კოშიცეთი, სადაც იმსანად უნგრელი მოსახლეობა ჭარბობდა.

სლოვაკეთში არჩევნები გაიმართა და ტისო პრეზიდენტად ტაშის გრიალში აირჩიეს. ბერლინში ვიზიტს გერმანიის მიერ სლოვაკეთის დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარება მოჰყა. მალე სლოვაკეთი აღიარეს იტალიამ, ესპანეთმა, იაპონიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა. მოლოტოვ-რიბენტორის პაქტის დადების შემდეგ სლოვაკეთი სსრკ-მაც ცნო. მოსკოვში სლოვაკეთის საელჩო გაიხსნა.

სახალხო პარტიაში არსებობდა ექსტრუ-

#### ხრუშჩავიცი ცეცხლის აღში





კიჯის ცენტრი აფეთქების შემდეგ

მისტული ფრთა ვინმე მახის მეთაურობით, რომელიც შპართველობის ჰიტლერული მოლელის გადმოტანას მოითხოვდა. ტისო ამას კატეგორიულად შეწინააღმდეგა, რამაც ჰიტლერის უკამაყოფილება გამოიწვია. ცენტრის ტი ტისოს პოზიცია აშკარად არ მოსწონდა.

— ფიურერმაც ნაცად მეოთხს, ანუ ძალისმიერ ზეწოლას მიმართა, — წერს უილიამ შირური.

პატარა სლოვაკეთისთვის გერმანელთა ზეწოლის გაძლება ძალიან მნელი იყო. ტისოც პოზიციას პოზიციაზე თმობდა. ის იძულებული გახდა, 1941 წლის 22 ივნისს რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინა და სლოვაკური ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტზე გაეგზავნა. შემდეგ სლოვაკეთიდან ებრაელთა დეპორტაციასაც დაჰყაბულდა.

### ტაძრის ავათება

1992 წელს ბრატისლავაში რამდენიმე საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდა. ისინი ადასტურებენ, რომ ტისოს უახლოეს გარემოცვაში მოსკოვის აგენტურა მართლაც მოქმედებდა. კერძოდ, მოსკოვსა და ინგლისელებზე მუშაობდნენ ტისოს პირადი დაცვის უფროსი, სლოვაკთის კონტრდაზერვის შეფი და ტისოს პირადი მდიგარი. სტალინს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა, რომ სლოვაკეთის პრეზიდენტი კივჭი 1941 წლის 1-ელ ნოემბერს ჩაფინადა. მან ტისოს კივჭური მარშრუტის მთელი პროგრამა იცოდა. პუგო ზანდარ-

ტი თავის მხრივ ამბობს, რომ SD-ს ჰქონდა ინფორმაცია სლოვაკეთის პრეზიდენტზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, თუმცა ჰიტლერულებმა არ იცოდნენ, სად და როდის მზადდებოდა ტერაქტი. მიუხედავად ამისა, გაიცა ბრძანება, რომ ტისო გაძლიერებულად დაეცვათ ამან რუსებს დამატებითი პრობლემები შეუქმნა.

საინტერესო ცნობებს იძლევა სუკს კოფილი ოფიცერი იური ნოსენკო, რომელიც შემდგომში დასავლეთში გაიქცა. ნოსენკოს ცნობით, ბერიამ სტალინს მოახსენა, რომ 2 ნოემბერს სლოვაკეთის პრეზიდენტი წირვას დაესწრებოდა კივჭ-პეტროს ლაგრაში, უსპენსკის ტაძარში. მისი ლიკვიდაციის ერთადერთი საშუალება კი უსპენსკის ტაძრის აფეთქება არისო და სტალინმაც ბრძანება გასცა.

...კივჭი, 1941 წლის 2 ნოემბერი.

უკრაინის რაიხსკომისარი ერიჳ კოხი, სლოვაკეთის პრეზიდენტის დასახვედრად, როვნოდან კივჭში ჩაფრინდა. კოხის დანახვაზე ტისო უქმაყოფილოდ შეიშმუშნა. მან იცოდა, რომ კოხმა კივჭის მუზეუმიდან ძვირად დირებული სურათები მიითვისა. რაიხსკომისარმა კივჭ-პეტროს ლაგრიდან ძვირფასი საეკლესიო ნივთებიც ამოიღო. კოხი ხმამაღლა იცინოდა, ტისოს აგრძნობინებდა, თქვენი დამოუკიდებლობა დროებითა, რასაც ადრე თუ გვიან გერმანული სამხედრო მმართველობა ჩანაცვლებსო.

— თქვენ ხომ კათოლიკე ბრძანდებით, არ მესმის, მართლმადიდებლურ წირვაზე დასწრება რატომ გადაწყვიტეთ, — შეეკითხა კოხი.

— მაინტერესებს, ოცწლიანი ათეიზმის შემდეგ რელიგია თავს როგორ გრძნობს, — ჩუმად წარმოოქმნა ტისომ.

მალე ორივე უსპენსკის ტაძრის გვენ გაემართა. ყოველ გზაჯვარედიზე შეიარაღებული პატრიულები იდგნენ, სახურავებზე გერმანელი სნაიპერები ისხდნენ. ყველა და ყველაფერი კონტროლდებოდა. შემდგომში ტისო თავის დღიურში დაწერს: ისეთი გრძნობა დამტეულა, თითქოს ალყაშემორტმულ ციხესიმაგრეში ვიმყოფებოდიო.

მიუახლოვდნენ ტაძარს, რომელზეც პიტლერული გერმანიის ღროშა ფრიალებდა. იქაურობა სამხედროებით, ფორმიანი და გადაცმული SD-ს აგენტებით გაჭედილიყო. ტისო უკამაყოფილებას არ მალგადა. ტაძარში ნელი ნაბიჯით შევიდა, პირჯვარი გადაიწერა და ღვთისმშობლის ხატს ემთხვია. დაიწყო წირვა. ტისო მალე წავიდა, მოიმიზეზა, შეუძლოდ ვარო. ათი წუთის შემდეგ უსპენსკის ტაძარი, კულტურის ეს უნიკალური ძეგლი, ნანგრევებად იქცა.

### აპრალელური გამომიგაბა

ხრეშჩატიკის შემდეგ უსპენსკის ტაძრის აფეთქებამ ბანდერელები შოკში ჩააგდო. დმიტრო მირონმაც (ორლიკმა), ტაძრის ამ- უეთქებელთა ვინაობის დაღვენის ბრძანება

გასცა. ზოგიერთი ამას შევწინააღმდეგა. ოპუპაციის პირობებში ამგვარი გამოძიების უხმაუროდ ჩატარება პრობლემატურია, გერმანელების ყურადღებას აუცილებლად მივიქცევთ, SD-ც ჩვენზე დარტყმას განახორციელებსთ. ორლიკი შეუვალი იყო და ბანდერელებმა გამოიხება დაიწყეს.

— დავადგინეთ, რომ აფეთქება რუსმა ჩეკისტებმა მოწყვეს, — წერს სტეპან მუდრიკი.

1942 წლის თებერვალში ბანდერელებმა გაიტაცეს კივის პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვინებ ვალერი მოგილნი. ის ტყეში გაიყვანეს და დაკითხეს. მოგილნიმ აღიარა, რომ სინამდვილეში შინსახომის აგენტია და კივში საგანგებოდ დატოვეს. მან რამდენიმე თანამონაწილის გვარიც დაასახელა, რომლებთან ერთადაც უსპენსკის ტაძრის გუმბათში ასაფეოქებელი ჩაამონტაჟა. ისიც აღიარა, რომ ბრძანება რეზიდენტმა გასცა.

— მე მხოლოდ მისი ფსევდონიმი ვიცი, მაქსიმი, არასოდეს მინახავს, არც ის ვიცი, სად ცხოვრობს.

— ვისი მეტვეობით უკავშირდები?

— შუამავლის.

— სახელი, გვარი ამ შუამავლისა!

— ფიშერი ვედოკა ფანოვნა, წარმოშობით გერმანელია, ამიტომაც ფოლსკდოიჩედ (ადგილობრივი წარმოშობის გერმანელი) დაწერა.

ბანდერელებმა ევდოკიას თვალთვალი დაიწყეს. მზადდებოდა მისი გატაცების ოპე-





სლოვაქები თავის  
პრეზიდენტს,  
ომშეფე ტისის  
ესალმებიან

რაცია. ყველაფერი ჩუმად და წყნარად უნდა გაკეთებულიყო, რათა იღუმალი მაქსიმი ვერაფერს მიმხვდარიყო. ეს ვერ მოხერხდა. ბანდერელთა გარდა უსპენსკის ტაძრის აფეთქების საქმეს SD-ც იკვლევდა. გერმანელები თავიანთი არხებით ვეღოვა ფაშისტები გაფიღნენ, თუმცა მისი დაკავება ვერ შეძლეს. უკანასკნელ წამს ფიშერმა შხამით თავი მოიკლა.

— მიუხედავად ამისა, გამოიძებას მაინც განვაგრძობდით, — წერს მუდრიკი.

აქტიურობა SD-სთვის შეუმჩნეველი არ დარჩენლა. ნაცისტებმა ბანდერელთა კიევის ცენტრის წევრთა მასობრივი დაპატიმრებები დაიწყეს. ჰიტლერულებთან შეტაკებისას დაიღუპა ორლიკი, გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ მუდრიკი და კიევის ცენტრის სხვა ხელმძღვანელები. შექმნილ ვითარებაში გამოიძების გაგრძელება შეუძლებელი იყო.

### ჩეგისტები ნაცისტების ხაფანეზი

იღუმალ მაქსიმს SD კვალში ჩაუდგა და მოუხელთებელი რუსი რეზიდენტის ცოცხლად შეპყრობა მოახერხა. ჰიტლერულთა ხელში მოხვდა მისი თანაშემწე, რომელიც ქალი აღმოჩნდა.

— მაქსიმს სინამდვილეში იყან კუდრია ერქვა, მის თანაშემწეს კი — რაისა ოკიპნაია, — წერს ნოსენკო.

გერმანელებმა მოახერხეს გაენადგურებინათ კუდრიას მთელი ქსელი, რომელიც მოიცავდა კიევს, ვასილკოვს, ფასტოვს, ბროვარის.

დაკავებულებმა ამომწურავი ჩვენება მისცეს. ივან კუდრია (1912-1942) კადრის ჩეკისტი აღმოჩნდა, რომელმაც კველა საფეხური გაიარა უბრალო აგენტობიდან ოფიცრობამდე.

— კიევში საგანგებოდ დამტოვეს. ჩემი ამოცანა სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის ორგანიზება იყო, — განაცხადა კუდრიამ.

საინტერესო ბიოგრაფიის პატრონი გამოდგა მისი თანაშემწე და საყვარელი რაისა ოკიპნაია (ქალიშვილობის გვარი კაპუშენკო). ის მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1930 წელს მამამისი, როგორც სასულიერო პირი, დააპატიმრეს, თავად ოკიპნაია კი მუსიკალური სასწავლებლიდან გარიცხეს. შემდგომ დააპატიმრეს მისი ქმარიც. ოკიპნაია იმიტომ გადარჩა, რომ შინსახომის აგენტი გახდა. მალე იგი კვლავ გახდა კიევის ოპერის მოძღვალი. ნაცისტების მოსვლას თავისი ხელგაშლილი შეგება. აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს ლამაზი მომდერალი ქალი შინსახომის აგენტი გახლდათ.

— ოკიპნაია თავს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შევიწროებულად ასალებდა და ამ როლს დიდებულად ასრულებდა, — წერს ზანდარტი.

შტურმბანფიურერი ერთ-ერთი იმათვანი იყო, ვინც ოკიპნაია დაკითხა. თავის წიგნში დაკითხვის ოქმებიდან ნაწყვეტებიც მოჰყავს:

**„კითხვა:** შინსახომის აგენტი როდის გახდით?

**პასუხი:** 1930 წელს, როცა მამაჩემი დააპა-

ტიმრეს, მე კი მუსიკალური სასწავლებლიდან გამრიცხეს.

— როგორც აგენტი, რას აკეთებდით?

— არაფერს. შინსახეობის ერთ-ერთი მა- დალიჩინოსანი ჩემი საყვარელი გახდა. მან საქმე ჩამიწყო და არაფერს მაგალებდნენ. 1937 წელს ის დახვრიტეს, მე კი მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას მაიძულებდნენ. არაფიარი ჩვენება არ მიმიცია, დაპატიმრებასაც იმიტომ გადაუწიო, რომ მეორე, არანაკლებ გაღლენი- ანი საყვარელი მყავდა. ის ცეკაში მუშაობდა. მისი დამსახურებაა, რომ ხელი არ მახლეს“.

ზანდარტი ქალისაღმი უნებლიერ სიმპა- თით განეწყო. ოკანააია ამტკიცებდა, სტალი- ნური ტერორის დროს არავინ დამიბეჭდებია, პირიქით, ხალხს კიდევაც ვეხმარებოდიო. ამის შემოწება შეუძლებელი იყო, სამაგიროდ, ზანდარტმა დაადგინა, რომ გერმანული ოკუ- პაციის დროს ოკანაამ მართლაც არაერთი ადამიანი გადაარჩინა. დადგინდა ისიც, რომ ქალმა უსპენსკის ტაძრის ან ხრეშჩატიკის აფეთქების თაობაზე არაფერი იცოდა.

— მე სადაზვერვო ინფორმაციის შეჯრო- ვება მევაღლებოდა. ტუდორიაც არ მახედებდა იმაში, რაც ჩემს კომპეტენციაში არ იყო, — თქვა ოკიპნააია.

კუთხეში მიმწყვდეულმა რეზიდენტმა მაქსმბა, ანუ იუნ კუდრიამაც ამომწურავი ჩვენება მისცა. თვის შესახებაც დაწერილე- ბით მოყვა. დაიბადა გლეხის ოჯახში. ოთხი წლისას მამა გარდაეცვალა, დედამ სამი შვი- ლი მარტომ გაზარდა. შინსახეობის აგენტი მაშინ გახდა, როცა პედაგოგიურ სასწავლე- ბელში სწავლობდა.

„კითხება: როგორც აგენტი, რას აკეთებ- დით?

**პასუხი:** თანაკურსელებზე თვალთვა- ლი მევაღლებოდა, უნდა გამერკვია, ვის რა აინტერესებდა, ვის გააჩნდა მიღრეკილება ანტისაბჭოური ანეკდოტებისა თუ ლიტერა- ტურისადმი და სხვ.

— საბჭოთა წყობილებისა და სოციალიზ- მისა გჯეროდათ?

— ისეთი სასაკლაო გამართეს, რამის რწმენა გამორიცხულია. ვინც ამტკიცებს, საბჭოთა ხელისუფლების ან სტალინის მწამ- დაო, ან გატყუებთ, ან დებილია.

— აბა, რა გამოძრავებდათ?

— გადარჩენის სურვილი! ობლობაში გა- ვიზარდე, დამხმარე არავინ მყავდა. რუსეთში

კი ჯოჯოხეთური ლატარია თამაშდებოდა. ან დახვრუტილთა შორის უნდა ყოფილიყავი, ან მათთან, ვინც ხვრუტდა. მეც ჩეკასტი გახდი.

— ოფიცირობა პედაგოგიური სასწავლებ- ლის დამთავრებისთანავე მოგანიჭეს?

— არა, ვმსახურობდი სასაზღვრო ჯარებ- ში. ეს უშიშროების ჯარია. მალე შინსახეო- ბის სკოლაში გამგზავნეს. მისი დამთავრების შემდგე კი ოფიცირობა მომანიჭეს“.

კივზი გუდრია საგანგებოდ დატოვეს. მისი ამოცანა დივერსულ-სადაზვერვო საქმიანო- ბის გაშლა იყო. ხეშჩატიკიცა და უსპენსკის ტაძარიც მან მოსკოვიდან მიღებული ბრძანე- ბის თანახმად ააფეთქა.

## აღსასრული

ჩავარდნილი ჯაშუში განწირულია, გან- საკუთრებით ომის დროს. ზანდარტს კუდრია არ ებრალებოდა, ოკიპნაასადმი კი უნებლიე- ბის თანახმად.



ოჯან კუდრია  
(მაქსიმი)



რაისა ოკიპნაა

## საპოვითის ისტორიული მნიშვნელობის დაცვის

პატივის გრძნობდა. სიკვდილით დასჯის წინ შტურმბანფიურური მას საკანზი ესტუმრა.

— რა შემიძლია რომ გაგიკეთო, ფრაუ?

— შეეგითხა ზანდარტი.

— მღვდელი მომიყვნეთ, — ჩუმად წარმოთქა ოკიპნაიამ, — მინდა აღსარება ჩავა-ბარო.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ზანდარტმა ჩა-ახველა.

— ფრაუ, — ჩუმად წარმოთქვა გერმა-ნელმა, — მითხარით, უსპენსკის ტაძრისა და ხრეშჩატიკის აფეთქების შესახებ მართლა არაფერი იცოდით?

— არ ვიცოდი! — მტკიცედ წარმოთქვა რაისამ, — რომ მცოდნობდა, კუდრიას ტევიას დაგახლილიდა.

— და ჩვენს მხარეს გადმოხვიდოდით, — გერმანელის ხმაში დაუფარავი დაცინვა გა-მოკრთა.

— თქვენ ისეთივე მტარგალები ხართ, რო-გორიც რუსები, — ქალს თვალები აქნთო, — ამიტომ ბანდერელებს შევუერთდებოდი. ვწუხვარ, რომ ასე არ მოხდა.

ზანდარტმა ქალს უკანასკნელი თხოვნა შეუსრულდა. ოკიპნაია სიკვდილს ღირსეულად შეტევდა. კუდრია კი მუხლებზე დავარდა, ტი-როდა და შებრალებას ითხოვდა.

\*\*\*

სლოვაკეთის პირველი პრეზიდენტი ტი-ო-სო სიკვდილს ვერ გაექცა. მეორე მსოფლიო

ომის შემდეგ ის გაასამართლეს და ჩამოახრ-ჩვეს. რაც შეეხება მუდრიკს, მან გერმანელთა ტევებიდან გაცევა შეძლო. მუდრიკი უპა-ს (უკრაინის აჯანყებულთა არმიას) შექმა-ში აქტიურად მონაწილეობდა. 1943 წელს ის კვლავ ჰიტლერელთა ხელში აღმოჩნდა. მუდრიკი გა ნაცისტური საკონცენტრაციო ბა-ნა კების საშინელებები გამოიარა, იყო ზაქსენ-ჰაუზენის, რავენსბრიკის, დახაუს ტუსალი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში დამკვიდრდა, აქტიურად მონა-წილეობდა ეროვნულ მოძრაობაში, წლების განმავლობაში ოუნ-ის (უკრაინელ ნაციო-ნალისტთა ორგანიზაცია) კონტრდაზვერვას ედგა სათვეში. გარდაიცვალა 2003 წელს.

დღეს რუსეთი კვლავაც ცდილობს ოუნდაც უკრაინის ნაწილზე კონტროლის აღდგენას. მოსკოვსა თუ პეტერბურგში ერთომეორის მიყოლებით გამოდის წიგნები, სადაც ნათევა-მია, რომ უსპენსკის ტაძარი ჰიტლერელებმა ააფეთქეს. ამ თემს თავის გამოსვლაში პუ-ტიიც შეხვედრას მოახდინა.


— ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ უსპენსკის ტაძარი ჩეკისტებმა ააფეთქეს, არა მხოლოდ ფსევდომეცნიერები, არამედ არაკაცებიც არიან! მოვა დრო და ამ ხალხს ისევე გაასა-მართლებენ, როგორც თავის დროზე ფაშიზმი გაასამართლეს!

ბრძოლა ჩეკისტური მეოდებით გრძელდება.

**თიპა თვალია დოკუმენტი**

ისტორიის დოკუმენტი

უსპენსკის  
აღდგენილი ტაძარი





რეზო ჩხეიძე

## ქართული კინოს ლეგენდა დასრულდა...

ქართული კინოს საგანძურში შესული ფილმები „მაგდანას ლურჯა“, „ჩვენი ეზო“, „ჯარისკაცის მამა“, „ლიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „ლონ კიხოტი“ და კიდევ ბევრი სხვა ერთი სიცოცხლეება — სიცოცხლეები კინოფილმებით განვლილი. ამ ფილმებით ნებისმიერი ქვეყნა იამაყებდა... ჩვენც გვიყვარს, გვეამაყება, დიდი სიამოუნებით ვუფურებთ. ამაზე დიდი წარმატება რეჟისორისთვის არ არსებობს...

ის ძალიან დიდხანს ემსახურა ქართულ კინოს. ბოლო ხანსაც ფველას უონა, ახალი ფილმის გადაღებას კიდევ მოასწრებდა. ხუმრობა ხომ არ არის, ფლობდე ამდენ ინფორმაციას, იყო იმ ეპოქის თვითმხილველი, რომელსაც უკვე წარსული ჰქვია, გასული საუკუნის კუთვნილებადაა მიჩნეული... თვითმხილველი კი არა და — მონაწილე! ისტორიის ერთგვარი შემქმნელი!

რეზო ჩხეიძე — ქართული კინოს ლეგენდა სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა...

როცა ერთხელ რეზო ჩხეიძეს საყვედურით უთხრეს, — რაიკომის მდივანს რატომ იღებო, მან უპასუხა: მე იმიტომ ვიღებ, რომ გოდერ-დი ჩოხელმა და ოქტობრ ბაბლუანმა ეს ფილმი არასოდეს გადაღონოს...

ის არ იყო მარტივი კაცი, არც მისი ცხოვრება ყოფილა მარტივი და ცალსახად გასაშიფრი. თვითონ თითქოს რამდენიმე მესიჯი გამოპქონდა განვლილი ცხოვრებიდან და დანარჩენი შენ უნდა წარმოგედგინა, მართლად დაგენახა, თუნდაც ფანტაზიით შეგექმნა... არ იყო გრძნობებზე მეტყველი კაცი, არც ძალიან გულახდილი. ბევრი რამ ჰქონდა სა-

კუთარ თავში ჩატრიალებული და სამუდამოდ შენახული.

— როცა კინოს იღებ, ქვეყანას სულ სხვა თვალით უყურებდა... ის ადგილი, სადაც გადაღება გაქეს დაგემილი, ძალიან კარგად უნდა გაიცნო. იქაური ხალხი, იქაური ბუნება გაითვისო. ასე უფრო უახლოედები და ერწყმი გარემოს. კინემატოგრაფისტის ბუნება ასეთია, ყველაფერს ზედმიწვნით უნდა იცნობდე. ამან თავისი კვალი დატოვა ჩემზე...

ბაღდათთან ახლოს არის სოფელი ტაბაკანი. იქ ჩვენი საგვარუულო ეკლესია და სასაფლაოა. მახსოვეს, ბაჟშეობაში შშობლებმა



კადრი ფილმიდან „მაგდანას ლურჯა“ (დამდგმელი რუსისორუბი: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე. 1955 წ.)



რეზო ჩხეიძე  
(1966 წ.)

წამიყვნეს ტაბაკანში. მეორედ იქ 1956 წელს ჩავედი, „ჩვენი ეზოს“ ეპიზოდებს ვიღებდი... სამწუხაროა, კარგა ხანია, აღარ ვყოფილვარ.

მამაჩემი დავით ჩხეიძე (ფსევდონიმით დია ჩიანელი), მწერალი და საზოგადო მოღვწე გახლდათ. ამავე დროს პედაგოგიც იყო, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

მე ქუთაისში ვარ დაბადებული. ხუთი კლასი იქ დავამთავრე.

ჩვენი ოჯახი ლიტერატურულ-თეატრალურ სალონს ჰყავდა. ვის არ ნახვდით ჩვენთან, მთელი ქართული ინტელიგენცია თავს იყრიდა ჩვენს ოჯახში.

მამა 1937 წელს დააპატიმრეს, სახლიდან გამოგვეარეს. მამა ციხიდან წერილებს გვწერდა თუთუნის შესახვევ ძალიან პატარა და თხელ ქაღალდებზე. ეს წერილები ერთ ქალბატონს გამოჰქონდა სრულიად უსასეიდლოდ. მამა გვწერდა ყველას: დედას, ჩემს დებს, მე... მაგრამ ძირითადად ჩემზე წერდა. არ ვიცი იმიტომ, რომ ბიჭი ვიყავი, თუ იმი-

ტომ, რომ უმცროსი ვიყავი. დედას სწერდა: რეზოს სახელს თქვენ გაბარებთო. ამ მსხვერპლად შეწირული კაცის სიტყვამ თავისი ქნა. ვცდილობდი და ვცდილობ, ქრისტიანი ვიყო, თუმცა მისგან ჯერ კიდევ შორს ვდგავარ. ამას არ გამბობ მოკრძალების გამო. სრული შეგნებით გეუბნებით. მე ამ გზის დასაწყისში თუ ვდგავარ. ქრისტიანობა ძალიან როელია და დიდ ნებისყოფას მოითხოვს.


ბავშვობაში დედას მი გედლებული ვიყავი. ამის გამო ბაღშიც არ ვიარე... დედა 1996 წელს გარდამეცვალა. ისე წავიდა ამქვეყნიდან, ერთხელ არ ამიწვევია ხმისთვის მასთან საუბრისას. არც შევკამათუბოვარ, არც სიტყვა შემიბრუნებია.

ერთი დოკუმენტური ფილმია ჩემშე გადაღებული, იქ ამბობს დედაქემი, — რეზოს ადრე ვერ ვიშორებდი, ისე იყო მოკედლებული ჩემშე და ახლა ვეღარ ვპოულობ, სულ წასულიაო... დედა არაჩვეულებრივი ქალი იყო. მამა რომ დააპატიმრეს და მიპყვდათ, საფულე ამიოღო, იქ სულ 26 მანეთი ედო, ის დაუტოვა დედას, მეტი ვერაფერი... დედამ სამივე შეილი გაგვზარდა, ფქშე დაგვაყენა. ამას ვერასოდეს დავივიწყებ.

კომუნისტურ სისტემაში ბევრი რამ დარჩებოდა გაუგებარი, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხალხი სხვანაირად ფიქრობდა და არა ისე, როგორც ამას პარტია მოითხოვდა. უამისოდ ვერც ერთ რეალობას, რომელიც კომუნისტურ რეჟიმში იყო, ვერ გაიგებთ. გიამბობთ ერთ ეპიზოდს: ჩავედი მოსკოვში კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გამოცდის ჩასაბარებლად ვავსებ ანკუტას. სოციალური წარმოშობის გრაფაში ჩავწერ „თავადური“. მერე იყო მშობლების საქმიანობის ჩასაწერი გრაფა. დავწერე: მამა რეპრესირებულია 1937 წელს, დედა მუშაობს ბაბლიოთეკაში. მეორე დღეს მითხრეს, დეკანი გიბარებსო. სულ არ ვიცნობდი, ვინ იყო, პირველად ვნახე. მითხრა, — ერთი კარი მოხურეო. მივხურე. დეკანმა დაიწყო: შენ, ქართველო, ნორმალური თუ ხარ, ეს რა დაწერე, ამით ვინ მიგიღებს ინსტიტუტშიო? რომ წერ, თავადური წარმოშობისა გარო, ახლავე ჩაწერე: მოსამსახურთა ოჯახიდან! მამა დააპატიმრებულიაო... ვინ გეკითხება ამას, ვინ იცის მოსკოვში ეს? დაწერე მამის პროფესიაც და დედის პროფესიაცო. განცხადება უცნობი რეუსი ადამიანის ხელშეწყობით



სერგო ზაქარიაძე და რეზო ჩხეიძე „ჯარისკაცის მამას“ გადაღებისას



კადრები ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“ (1964 წ.)  
შავ-თური ფილმი 2012 წელს გააფერადეს





კახი კაჯსაძე,  
მამუკა  
კაკალეიშვილი  
და რუსო  
ჩხეიძე ფილმის  
„ცხოვრება  
დონ-კახოტისა  
და საჩოსა“  
გადაღების  
დროს

გადაღებრები. არადა, როგორც დეკანს, შეეძლო  
შევერისახე. ის ფრონტიდან იყო დაბრუნებუ-  
ლი, სამხედრო ფორმა ეცა, გულზე ორდე-  
ნები ეკეთა. სახელმწიფოს წარმოადგენდა.  
იმის ნაცვლად, რომ საბჭოთა სახელმწიფოს  
ინტერესები დაეცა, მე დამიცა. ასეთი რამ  
ხშირად შემხვედრია.

ქვეყანა დაყოფილი იყო შრებად. ამ და-  
ყოფამ გამოიწვია საბოლოოდ კომუნისტების  
კრახი. მნელი დასაჯერებელია, რასაც ახლა  
გეტევით მამა რომ წაიყანეს, ჩვენთან შინ-  
სახომელი მოვიდა ავეჯის ასაწერად. რთა ხში  
როიალი გვედგა. რომ შემოვიდა, ჩვენთვის  
არც შემოუხდავს, ვითომ კედლებს ათვალი-  
ერებდა. თან ამბობდა: ნათესავი ან მეზობელი  
არავინ გყავთ, ეს როიალი გაიტანეთო. მარ-

თლაც გაუიტანეთ. მერე როცა ძალიან გაგვი-  
ჭირდა, გავყიდეთ და იმ როიალის ფულით  
ერთი წელიწადი ვირჩენდით თავს.

საქართველოში ცეკას მდივანსაც კი ყო-  
ველთვის პქონდა მეორე მხარე — ადამია-  
ნური.

უკვე რეჟისორი ვიყავი, რომ მკითხავდ-  
ნენ, ვისი შვილი ხარ, შვილოო და ვეტყოფდი,  
დავითისო, ყველა კარი იღებოდა ჩემ წინ.  
ამან შეუწყო ხელი იმას, რომ ჩვენი თაობის  
ინტელიგენცია სულ რეპრესირებული ოჯახის  
შვილები გახლდათ. ხალხმა შეინახა ისინი.

რუსეთშიც კი ბევრ განყოფილებაში ისხ-  
დნენ ისეთები, რომელთაც სწორედ თვითმყო-  
ფადი, ეროვნული მოსწონდათ. გვეუბნებოდ-  
ნენ: გადაიღეთ, ფული იქნებაო. ეს არ იყო

ვინმესადმი პიროვნულად გამოცხადებული სიმპათია. ეს იყო მათი სურვილიც.

„ჯარისკაცის მამის“ გადაღების იდეა სცენარისტ სულიკო ქლენტს ეგუთვის. მე და სულიკო ერთმანეთს მოსკოვიდან ვიცნობდით, სადაც საკაფშირო კინემატოგრაფის სახელმწიფო ინსტიტუტში ვსწავლობდით. ერთ შშვენიერ დღეს კინოსტუდიაში ვიყავი. მაშინ „ზღვის ბილიკს“ ვიღებდი, რომელშიც სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. გადაღებების დასრულების შემდეგ ხალხი იკრიბებოდა და საუბრობდნენ. სულიკო ქლენტიც იქ იყო. შევამჩნია, ხელში რაღაც ფურცლები ეჭირა, მაგრამ დიდად არ დაგვაირვებივარ. მითხრა, ბათუმში მივდივარ და შენთან ერთი რაღაც მაქეს სათქმელიო. გვერდით გამიყვანა და ფურცლები მომაწოდა. თან დამავალა, რომ იმ დღესვე წამეკითხა და პასუხი მეთქენა. ეს იყო მისი მომავალი სცენარის ჩანაფიქრი.

კინოსტუდიიდან რომ გამოვედი, ტრამ-გაშმ ჩავჭექი და თან სცენარის ფურცლა დავიწყე. სულ ხუთი-ექვსით ფურცელი იყო და სათაური ჰქონდა „ჯარისკაცის მამა“. მაშინვე მომწონა.

მეორე დღეს სერგოს ვუამბე, სულიკო ქლენტმა სცენარი გაღმომცა, წაგიკითხე და მგონია, რომ აქედან რაღაც დიდი ნაწარმოების გაეთხობა შეიძლება მეთქი. სცენარი მოკლედ მოუყევი. რაც მეტს ვუყვებოდი, ვატყობდი, როგორ ეცვლებოდა სახე და

„ძალიან ბევრი წლისა გარ. ასკათან ერთად სულდაც მატულობს. კიდევაც რომ გამიხარეს რამე, ბოლოს სულდაში გადადის ეჭვლაფერი“

უფრო და უფრო ინტერესდებოდა, გრიმიორ ქალსაც ნაკლებ შენიშვნას აძლევდა. როცა სცენარის თხრობა დაგამთავრე, აღტაცებით თქვა: „ბიჭო, რა კარგი რამეა!“ სერგო ატირდა, მეც ავტირდი და გადაწყდა, ამ სცენარზე ფილმი გადაგვეღო.


ნახევრი წელიწადი სცენარზე ვმუშაობდით მერე კი დაწყობ ბრძოლა მის დასაღდელად, რადგან კინოსტუდიას არავრით არ უნდოდა, გადაღებები დაგვწყო. მიზეზი ჩემთვის დღემდე გაუგებარია.

„ჯარისკაცის მამამ“ თავისი მისია შეასრულა... ამდენი წელიწადი გავიდა და ხალხს ისე უყვარს. 2013 წლის 7 მაისს მოსკოვში ფერადი „ჯარისკაცის მამის“ პრემიერა შედგა, 9 მაისს კი — თბილისში. თანაც, ჩემი სახელობის გარსკვლავის გახსნას დაემთხვა.

მარტო ის რომ გიამბორ, რამდენჯერ რა ფილმშე რა წინააღმდეგობის დაძლევა მიხდებოდა, ათო სტატია არ ეყოფა.

პოლიტიკის თვალსაზრისით, ზეწოლა „მოსფილმსა“ და „ლენფილმშე“ უფრო იყო, ვიდრე „ქართულ ფილმშე“. ჩვენ გვერიდებოდნენ. ქართული ინტელიგენციისა მათ უფრო ეშინოდათ. მოსკოვში ჩემს დანახვაზე იტყოდნენ: Вот приехал грузинский танк! Аმით ჩემს პიროვნულ თვისებებს კი არ აღნიშნავდნენ... იცოდნენ, რომ საქართველოსთვის ბევრის დათმობა მოუხდებოდათ.

ალბათ გინახავთ რეზო ესაძის „ერთი ნახ-





ვით შეყვარუბა“ ეს სურათი „ლენინილმშია“ გადაღებული. გასცეს ბრძანება, დაწვითო. ერთ ლამეს რეზო ესაძემ დამირკეა ლენინგრადიდან: ასეა ჩემი საქმე, რა ვქნაო. ვუთხარი, ახლავე ჩამოლი-მეთქი. როგორ ჩამოვიდე, გზის ფული მე არ მაქვს, ფილმი ჩაკვრილია, არ მატანენო. გამოგიგზავნი გზის ფულს, სურათი მოიპარე და ჩამოლი-მეთქი. ასეც მოიქცა. ფილმი რომ ვნახე საქართველოში, წავედი მოსკოვში, კინემატოგრაფიის მინისტრ ერმაშს ვკითხე, რატომ არ უშვებთ ამ ფილმს, რა არის აქ ანტისაბჭოთა მეთქი. იცი, რას გეტყვიო... თუ გაბედავ ტიტრებში „ქართული ფილმის“ დაწერას, მაშინ გაუშვიო.

ცხადია, გავტედე. პარადოქსია, მაგრამ საქართველოს ერიდებოდნენ და პატივს სცემდნენ.

ერთ მშვინიერ დღეს მოსკოვიდან ქალბატონი გვესტურა. ვმსჯელობი, რა გადავიღოთ... ჩენ ერთს ვეუბნებით, ის მეორეს გვეუბნება. ბოლოს გვეკითხება: თქვენ „დათა თუთაშია“ წაკითხული გაქვთო? გაგვიკვირდა, ამ რომანის დაბეჭდები ის-ის იყო დაიწყო უურნალ „ცისკარში“. ორიოდე ნაწევეტი დაიბეჭდა ერთ რუსულ უურნალშიც. ჩვენ გთავაზობთ „დათა თუთაშიას“ გადაღებასო... ეს გვითხრა რუსმა და რა დროს! ასე რომ,

რუსები აკვირდებოდნენ და პატივს სცემდნენ ქართულ კულტურას. რუსულმა ინტელიგენციამ ყოველთვის იცოდა ჩვენი ფასი.

რუსისორობა მძიმე პროფესიაა...

გადაღებაზე მოუმშადებელი არასდროს წავსულვარ. ვმუშაობდი გაუთავებლად. სცენარის უამრავ ვარიანტს ვამზადებდი. ვერც ახლა ვგრძნობ, რომ დავბერდი და ადარ შემიძლია. ერთხელ მიშა ჭიაურელმა მითხრა, გადაღების წერტილის შერჩევისას მიწაზე დაწოლა და მაღლა ასვლა რომ შეგეზარება, შევილო, მაშინ უნდა დაანებო თავი რეჟისორიბასო. მე ჯერ არ მიგრძნია, რომ მიწაზე დაწოლა და მაღლა ასვლა დამზარებოდეს...

ერთი კი არის, ასაკს მე კი არა, ფაუსტ-მაც ვერ აჯობა... ძალიან ბევრი წლისა ვარ. ასაკთან ერთად სევდაც მატულობს. კიდევაც რომ გამიხარებს რამე, ბოლოს სევდაში გადადის ყველაფერი.

ერთ ათონელ მამას უთქვამს: არის ბუზი, რომელიც დაფრინავს ქვეყანაზე, ყოველგვარ სიბინძურეს შეკრებს და მოგიტანს; არის ფუტკარი, რომელიც იქვე დაფრინავს და ნექტარს აგროვებსო. ამაში დიდი სიბრძნეა. ადამიანმა სილამაზე უნდა ეძებოს, ეს სევდაზე ძლიერიც იქნება.

**ლელა ჯიქაზვილი**

# ისტორიული ამგები ქველი უკრაი- გაზეთებიდან



გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული უურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილა ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგე მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დღოება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენტრო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

## წერილი აფხაზეთიდგან

დაბა გუდაუთა მდებარეობს სამხრეთი, სოხუმიდან 42 კვითის მანძილზე. მდებარეობა მშენიერი აქვს და რამდენსამე საჟენით მაღალია ზღვაზე მაშინ, როდესაც სოხუმი სიმაღლით ზღვის თანასწორადაა. ბევრი ხანი არ არის მას შემდგე, რაც გუდაუთა დაარსდა. 1880 წელს ვინმე ალექსანდროვჩის (ნაწილის უფროსის) წინადაღებით, სოფელ ლიხინში მოვაჭრე მეგრულები და ორიოდე ხონელები,

თუ გურულები გუდაუთაში გადმოსულან, რომელიც იმ დროს გაუვლელ ჭაობიანს ტყეს წარმოადგენდა და რომელიც სავსე იყო სხვადასხვა საშიში მხეცებით. მეგრელებს, რასაკვირელია, სოფელ ლიხინის დატოვება არ უნდოდათ, რადგანაც ლიხინი უწინ და ახლაც ითვლება შესანიშნავ სოფლად თავისის ბუნებრივ სიმძიდროითა და მდებარეობით, მაგრამ ალექსანდროვჩი თურმე ურჩევდა: „აქ ზღვის პირაა, ოდესე შესანიშნავი ნაკიაღგუ-

„გუდაუთაში დასასახლებლად ბევრი სხვადასხვა ჯურის ხალხი გამოიტვირა ... შად დახვდათ დასასახლებლად მეგრულებისგან გაკაულ-გასწორებული ადგილი, მაგრამ ქართული ახდაშისა არ იყოს: გარულმა თავმა შინაური თავი გააგდო“ (გუდაუთა, ბობბორის რუსული უიაბაზა)





გარდამოხსნა.  
გელათის  
ფრესკა

რი იქნებოდა და მასთან დიდი მოძრაობაც „. მეგრულებმა მართლა მოინდომეს, შეუღდნენ გუდაუთის ტყის გაკაფვესა და ჭაობის ამოშრობას, მაგრამ ხმირად ენერგია ეკარგებოდათ და ამბობდნენ: „ნუთუ აქ ოდესმე, ამ ჭაობში, რაიმე მოძრაობა იქნებოდაც“. ალექსანდროვიჩი კი ამხნევებდა მათ და თავად აძლევდა დესეტინა მიწას, 25-32 მანეს, რაც კი რამე გააჩნდათ და მოუგიათ რამე, ყველა აქ ჩაჰყარეს ჭაობის ამოსაშრობად და რამოდენისამე ხნის შემდეგ აქ ჭაობის ნაცვლად წამოჭიმულ იქნა შევენიერი კოხტა დუქნები. შემდეგ შეუღდნენ ელესიის აღშენებას და ჩინებული ეკლესია გააკეთეს. პირველად მღვდელს სხვა სამრევლოდება იწვევდნენ, რაღაც აქ გაჩერება არავის ჰსურდა; შემდეგ თავიანთი საკუთარი მღვდელიც იშოვეს და ჯამაგირიც თავიანთი ჯიბიდებან დანიშნეს. რაკი მაგრა მოიკიდეს ფეხი, სკოლაც დაარსეს და მასწავლებელს თვითონვე ინახავდნენ თავიანთს ხარჯზედ, რამდენსამე ხნის შემდეგ მთავრობამ კეთილი ინება და მასწავლებელს ჯამაგირი დაუუზნა, სკოლა კი ორკლასიანად გადააკეთა. ქრლა დიდებული შენობაა აგებული სახელმწიფო ხარჯზედ, რომლის კურთხევაც 8 სექტემბერს იყო.

ამრიგად, უმთავრესი ღვრწლი გუდაუთის დაარსების საქმეში სულ მცირე, ქართველობას მიუძღვის. რაკი აქ ჩვენებურებმა ფეხი მოიკიდეს და ცოტაოდენი მოძრაობა გაჩნდა, გუდაუთაში დასასახლებლად ბევრი სხვადასხვა ჯურის

ხალხი გამოიტევა: სომეხი, ბერძენი, თათარი და ჩვენებურიც. ბოლოს მოსულს ხალხს აქ შხად დახვდა დასასახლებლად მეგრულებისგან გაკაფულ-გასწორებული ადგილი, მაგრამ ქართველი ანდაზისა არ იყოს: „გარუელმა თავმა, შინაური თაგვი გააგდო“ კინაღამა ასე დაგმართა ქართველებს. ახალმოსულებმა მასპინძელ-ქართველებს გუდაუთიდენ დენა დაუწევს. ნეტავი ვიცოდე, რა დაგვიშვებია? იმედია, მთავრობა ასე არ დასტოებს აქ ერთ მუქს ქართველებს, რომ ფურადება არ მაიქციოს და არ გამოიკვლიოს კარგად — 1880 წელს, ე.ი. გუდაუთის დარსების დროს, ვინ გაჩნდა აქ პირველად და ვინ გაჰყაფა და გაასწორა აქაური უდაბური ტყე, ვინ ააშენა ეკლესია, სკოლა, ვინ დაარსა წიგნთ-საცავ-სამქითხველო და სხვ.

„იუერია“, 1900 წ. №203

\* \* \*

ტობოლსკიდან მოუვიდა მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას ფოტოგრაფიულად გადმოღებული ზედწარწერა გარდამოხსნისა ქართველს ენაზედ. რამდენათაც შეიძლებოდა გარჩევა, ვეცადეთ აღგვედგინა მისის შინაარის. ზედწარწერა ასომთავრული ხეცურია. ვის დროს წაუღიათ ტობოლსკში ეს გარდამოხსნა, არა სჩანს და არც არავინ იცის. აი, თვით ზედწარწერა:

გარდამოხსნა

წმიდაო ღმერთო და დიდო ალავერდის

მთავარ მოწამეთა მოწამეო, წმინდა გიორგი, შევწიე და ცოდვათა შენდობით დაიცვენ პატიოსანი მეფე ალექსანდრე და ძენი მათნი იტ... (დიმიტრი?) მეფე გიორგი და ლეონ და ანა დედოფალი შეიწყალე და ცოდვანა მათნი შეუნდვნენ და მეოს ეყან წინაშე ქრისტესა ღმერთსა. ჩვენ ცოდილმან (კიძღვნით?) მცირე ესე შესაწირავი ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად და (ქრისტეს?) საღიძებლად შეიწირე და მეოს გვჟან წინაშე ღმერთსა იცხო ქრისტესა.

გარდამოხსნის გარშემო რამდენიმე სურათია ხელოვნურად დახატული. ზოგიერთს მინწერი აქვს „იერუსალიმი“, „მიქელ-გაბრიელ“, „წმ. ნიკიდომე“, „კაიაფა, იუდა“, „პილატისა განკითხვა“, „ჯვარისა აღვსვლა“. როგორც წხედავთ, შესანიშნავი ადგილები წმინდა სახარებისა „სურათად“ არის წარმოდგენილი ამ გარდამოხსნაზედ.

აქ მოხსენებული მეფე ალექსანდრუ უნდა იყოს, ჩემის აზრით, ალექსანდრუ პარველი კახის მეფე (+1511). მის მეუღლედ ისტორიული წყაროები ასახელებს ხან თინათინს, ხან ანას; ჩვენი ზედ წარწერა იხსენიებს უკანასკნელს სახელს. აქვე მოყვანილი მეფე გიორგი არის გიორგი მეორე, სახელწოდებული ავგიორგად (+1513). თუ ორი ასო, ძნელად გამორკვეული იტ... პნიშვის „დამიტრისა“, მაშინ ჩვენ უნდა ვიცნოთ ძე ალექსანდრესი დამიტრი თვალშევნიერი. ლეონი, ძე ალექსანდრესი, არ არის ცნობილი „ქართლის ცხოვრებაში“, შვილიშვილი — კი, მისი ლევან მეორე, ძე ავგიორგისი მოხსენებულია ჩვენს ისტორიაში. ჩვენ არ გვითხოვთ, რომ აქ ეს იგულისხმებოდეს, შეიძლება ალექსანდრეს პყადა ძე, ლეონ (ლევან) და მემატიანებ არ მოიხსენა, რაიცა ხშირია. ამ ზემოქარწერის, ზემო მოყვანილ ცნობების მიხედვით, ჩვენ მივწერო XVI საუკუნის დამდგას. „ივერია“, 1891 წ. №5

\*\*\*

### ნაგესი

ბეჭან დადიანი, სამეცნიეროს თავადიშვილი, გრიგოლ დადიანის ქვრივის გაპყვა პეტერბურგში. იქ ბატონიშვილებმა მიიწვიეს საღილად. საღილი დიდ-კაცურად საღამოს შვიდ საათზე იყო. მეგრულ ჭითე საღილს დაჩვეულმა დადიანმა დიდად იუცხოვა, რომ საღილი ასე გვიან იყო. იუცხოვა აგრეთვე ევროპული სკამი.

შინ რომ დაბრუნდა, პკითხეს, რა გვარი სადილი გქონდა.

— კარგი საჭმელები იყო, კარგი მოგცეს, მაგრამ რა გინდა? მიმინოსავით ქანდარაზე შემსვეს და ეგ კიდევ არაფერი: საღილზედ დამიძახეს და ვახშამი კი მაჭამესო.

„ივერია“, 1886 წ. №151

\*\*\*

### გასართობი

ახალგაზრდა ემანუილი კაცი, რომელ-საც ტფილისში ქუჩის ტკეპნა მოსწონდა, ახლა სოფელში წაბრძანდა სათარუშოდ. აქ მას რაღაცაზედ ვიღაცასთან ჩხუბი მოუხდა, რისთვისაც მამასახლისმა მიიხმო სოფლის სამსჯავროში და სამის დღით დაპატიმრება მიუსაჯა. ემანუილმა კაცმა ეს იწყინა და ასე შეეგითხა სოფლის „ტეტია მამასახლასს“:

— რომელის მუხლის ძალით გარდაწყვიტე ეგ საჯელი?

მამასახლისს ევონა მისს საკუთარს მუხლზედ ეკითხებოდნენ და რომ ეჩვენებინა, რომელი მუხლის ძალით გარდაუწვევიტა, დაიკრა მარჯვენა მუხლზედ ხელი და უთხრა:

— აი, ამ მუხლის ძალითო და მართლაც იმავე მუხლის ძალით შეაგდო დამნაშავე სოფლის საპატიმროში.

„ივერია“, 1895 წ. №75

### მოაშადა თუ ცაგურიშვილმა

ბეჭან  
დადიანი



**სანორილი ჟურნალი  
„კანისელისგან“**

გვერდი მეტა სამუშაოზე, კონტაქტზე, თავადგენა და  
სამარტინო ასეზო თავისუფალი გამართას ფრინვლი

1. 3-4 წლიანი  
ცხენების  
დღით
2. მაწისტევების  
ტრანსპორტი
3. იტალიელი  
მარტინის  
გამარტინის  
ტა ...
4. გონილ-  
ლეინების  
სიმძლა

5. დაპირის  
კუნძული
6.
7. ცალკეული  
ნაწილების  
გამარტინება
8. ისრაელის  
ნარმატების  
უტომეტური  
პასტოლეტი
9. საუ-  
რანგვის  
რეალუციის  
გრო-ერთი  
წინამდებობა

10. დაპირის  
ბრინჯას  
არავი
11. სულიანი  
ლექსი

12. რომის  
პაპის პირა-  
ბულება
13. ქალაშვი-  
ლის ქართი
14. ნიანგის  
სახომა
15. ჩერჩებ-  
ლის ქალი

16. ტუ-  
რისტის  
გამარტინი  
„სახია“
17. მუნის  
ნაფაფი
18. ტელ-  
გაზრის  
„სახე“

19. გვარის  
მომხრიბა
20. დიდი  
უმნიშვილი  
თუ-  
მაფები
21. მიკა-  
ლექსილის  
დატორება
22. სული-  
ლისტინგენტის  
ნაწილი
23. მუკის  
რომანი
24. იტალი-  
ელი კამინ-  
ზიტორი ...  
მორიკენ
25. ტერალი  
... აქები  
აქები
26. ფრანგი  
ნიკელისტი

წინა ნომერში გამოვევენებული სკანორდის პასუხები:

1. „სერსო“; 2. სტამბოლი; 3. მერქ; 4. ტირქ; 5. ერქ; 6. აქილევსი; 7. ზამინდარი; 8. „მუმუ“; 9. ქლა; 10 აბუ; 11. რივა; 12. დრო; 13. პოლო; 14. დილება; 15. იდეა; 16. განდალი; 17. ვის; 18. გესიდა; 19. დეგა; 20. პესო; 21. დონ; 22. პარმა; 23. იფი; 24. ანაბიოზი; 25. ფონ; 26. რეალია; 27. ლუარა. სშრამზე: სერგო ზაქარიაძე.

# Auto Bild

საქართველო

# № 1

საავტომობილო  
უკრნაცი  
მსოფლიოსა  
და საერთობის




ყველაფერი ავტომობილის შესახებ

[www.autobild.ge](http://www.autobild.ge)

# საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის

## 24 ტომები




დაინახვა განი  
ისტორია

ტომი 8

## ფარნავაზი

ISSN 2233-3843



მაზრა „პეტრის გალიონის თასთავა“ ერთად

18-მაისიდან

შემდეგი ნომერი: ქართული მხატვრობა

